დილავარდისა დავითულიანი

კულტურის ეკონომიკა

დამხმარე სახელმძღვანელო

გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2009

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სახელმძღვანელო

რედაქტორი: **გიორგი მალაშხია**, ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის
დარგში, საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

სარედაქციო საბჭო: **თეონა კახიძე,**
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
ზურაბ ზანგურაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

კონსულტანტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი - **ნაზი ფირცხალავა**

გარეკანის დიზაინერი: **თინათინ ებრალიძე,**
რეზი ლაცაბიძე

კორექტორი: **მანანა გოშაძე**

დამკაბადონებელი: **ეკატერინე ოქროპირიძე**

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-9059-6-4

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

თავი 1. კულტურის ეკონომიკა, როგორც მეცნიერება
1.1. ეკონომიკის რაობა და როლი საზოგადოების ცხოვრებაში 7
1.2. კულტურა როგორც ეკონომიკის დარგი 11
1.3. კულტურის ეკონომიკის საგანი და მეთოდი 16

თავი 2. „კულტურა და ხელოვნება“, როგორც ეროვნული მეურნეობის დარგი
2.1. კულტურა და ხელოვნება, მათი სტრუქტურა 20
2.2. კულტურის ორგანიზაციების დახასიათება და მათი საქმიანობა საქართველოში 27
2.3. კულტურის ორგანიზაციების გაადგილების თანამედროვე პრინციპები, ფაქტორები და განვითარების ძირითადი ტენდენციები 35

თავი 3. კულტურის სფეროს რესურსები
3.1. რესურსების არსი და მისი სახეები კულტურაში 39
3.2. კულტურული საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფა 43

თავი 4. შრომა და მისი შედეგები კულტურაში
4.1. შრომის სპეციფიკა კულტურის სფეროში 46
4.2. კულტურული სიკეთე და მისი ტიპოლოგიები 47

თავი 5. კულტურის ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი
5.1. კულტურის ორგანიზაცია, როგორც სამეურნეო სუბიექტი, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და სახეები .....
52
5.2. კულტურის არაკომერციული ორგანიზაციების დამფუძნებლების უფლება-მოვალეობები. კულტურის ორგანიზაციები, როგორც იურიდიული პირები 57

თავი 6. საკუთრებითი ურთიერთობები კულტურაში
6.1. საკუთრება, მისი ობიექტები და სუბიექტები

კულტურის სფეროში 62
6.2. კულტურის დაწესებულებების გაძღოლის სპეციფიკა. განსახელმწიფოებრიობა, პრივატიზაცია კულტურაში 65

თავი 7. მეურნეობის გაძღოლის სისტემა კულტურაში
7.1. კულტურის სფეროს სამეურნეო მექანიზმი. კულტურის ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობა 69
7.2. კულტურის ორგანიზაციების სამეურნეო მექანიზმის ძირითადი ქვესისტემები 72

თავი 8. კულტურის სფეროს დაგეგმვა
8.1. დაგეგმვა საერთოდ 75
8.2. დაგეგმვა კულტურის სფეროში 78
8.3. კულტურის ორგანიზაციების დაგეგმვა 85

თავი 9. კულტურის სფეროს დაფინანსება
9.1. დაფინანსების არსი, კულტურის დაფინანსების მოდელები 89
9.2. კულტურის დაფინანსება თანამედროვე პირობებში და მისი მდგომარეობა საქართველოში 90

თავი 10. ფასწარმოქმნა კულტურის სფეროში
10.1. წარმოების დანახარჯები კულტურაში 100
10.2. ფასები და ფასწარმოქმნა კულტურაში 101

თავი 11. შრომის ანაზღაურება კულტურის სფეროში
11.1. ხელფასის არსი და შრომის ანაზღაურების სატარიფო სისტემა კულტურაში 106
11.2. შრომით ურთიერთობათა სახელშეკრულებო რეგულირება 112

თავი 12. საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობა და საქართველოს კულტურული პოლიტიკა 114

ნაშრომში გამოყენებული ტერმინების განმარტება 123
გამოყენებული ლიტერატურა 137
დანართი 1 139
დანართი 2 147

წიგნი ეძღვნება ძვირფასი მშობლების, ზინაიდა ინწკირველისა და ვარლამ დავითულიანის ნათელ ხსოვნას.

წინასიტყვაობა

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე ამზადებს კულტურის სფეროს კვალიფიციურ მენეჯერებს. ამ სპეციალობის სტუდენტებს თანაბრად მოეთხოვებათ როგორც მენეჯმენტის,ასევე ეკონომიკური დისციპლინების, მათ შორის,კულტურის სფეროს ეკონომიკის ცოდნა. ამიტომ გადავწყვიტეთ გვეცადა დაგვეწერა წინამდებარე წიგნი, რომელშიც გაშუქებულია კულტურის ეკონომიკის საკვანძო საკითხები. ამისათვის გამოვიყენეთ უცხო ენებზე,მათ შორის, რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურა, ოფიციალური და ფაქტობრივი მასალები ჩვენს ქვეყანაში კულტურის განვითარების საკითხებზე.

ქართულ ენაზე კი საჭირო ლიტერატურა ნაკლებად მოიპოვება. წიგნის დაწერაში დიდი დახმარება გაგვიწია ქართულ ენაზე გამოცემულმა უცხოელი ავტორების: მილენა დრაგიჩევიჩ-შეშინის და ბრანიმერ სტოეკოვიჩის წიგნმა „კულტურა, მენეჯმენტი, ანიმაცია, მარკეტინგი“, რომლის ადაპტირებული ქართული ვარიანტი თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორებმა: ლევან ხეთაგურმა და იური მღებრიშვილმა მოამზადეს. მასში მოკლედაა განხილული კულტურის ეკონომიკის საკითხებიც; წიგნში განხილულია საქართველოში კულტურის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი სოციალურ-კულტურული სფეროს, განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებანი, კულტურის სფეროს და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება, საქართველოს კულტურული პოლიტიკა, საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობა და სხვა საკითხები.

წიგნი წარმოადგენს ქართულ ენაზე კულტურის სფეროს ეკონომიკური რეგულირების საკითხების გარკვეული

წრის გადმოცემის პირველ ცდას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში. ამიტომ ავტორებს არა გვაქვს პრეტენზია, რომ წიგნი სრულყოფილია, უზუსტობებისაგან დაზღვეულია. ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ შენიშვნებს და მოსაზრებებს წიგნის შინაარსთან დაკავშირებით.

იმედი გვაქვს, ეს წიგნი გარკვეულ სამსახურს გაუწევს კულტურის სფეროს, აგრეთვე კულტურული ტურიზმის მენეჯმენტის შემსწავლელ სტუდენტობას და სხვა დაინტერესებულ პირებს.

ავტორი დიდ მადლობას უხდის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ქალბატონ ნაზი ფირცხალავას, წიგნზე მუშაობაში მიღებული მონაწილეობისათვის.

თავი 1. კულტურის ეკონომიკა როგორც მეცნიერება

1.1. ეკონომიკის რაობა და როლი საზოგადოების ცხოვრებაში

საზოგადოებისა და მისი წევრების ცხოვრება მრავალმხრივია. ის მოიცავს დოვლათის – საქონლისა და მომსახურების წარმოებას, კულტურას, განათლებას და მეცნიერებას, დასვენებას და ა. შ. არ არის ადამიანი, რომელიც ცხოვრების მხოლოდ ერთი რომელიმე სფეროთი იყოს დაინტერესებული. მაგრამ არის საქმიანობის დარგი, რომელიც საფუძვლად უდევს თითოეული ადამიანის არსებობას, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობს და მოღვაწეობს იგი. ესაა ეკონომიკური საქმიანობა, რომლის გარეშე შეუძლებელია ადამიანთა საქმიანობის სხვა დანარჩენი სახეები.

ეკონომიკური საქმიანობა მიმართულია ადამიანთა საზოგადოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო მატერიალური დოვლათის – საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად.

ამასთან ეკონომიკა ფართო გაგებით მოიცავს არა მარტო მატერიალური დოვლათის წარმოებას, არამედ მისი განაწილების, გაცვლის და მოხმარების სტადიებსაც. მათ, ყველას ერთად კვლავწარმოების სტადიები ეწოდება. სწორედ კვლავწარმოების ამ სტადიებში განხორციელებულ ურთიერთობებს ეწოდება ეკონომიკური ურთიერთობები.

მოთხოვნილება – ეს არის ადამიანთა სიცოცხლისუნარიანობისათვის, პიროვნებისა და მთელი საზოგადოების განვითარებისათვის რაღაც აუცილებლის საჭიროება.

ეკონომისტები სწავლობენ მატერიალურ და არამატერიალურ მოთხოვნილებებს – ადამიანთა სურვილს შეიძინონ და მოიხმარონ საქონელი და მომსახურება,რომელიც მათ სჭირდებათ. ამას,პირველ რიგში,მიეკუთვნება ადამიანთა პირადი სასიცოცხლო საჭიროების საქონელი და მომსახურება

(საკვები,ტანსაცმელი,ბინა ექიმის მომსახურება,თმის შეჭრა, საოჯახო ტექნიკის შეკეთება, იურისტის კონსულტაცია და ა. შ.). ასევე მნიშვნელოვანია საწარმოების, სამთავრობო დაწესებულებების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოთხოვნილებებიც შენობებზე, ნაგებობაზე, მოწყობილობებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე და სხვა. ქვეყნის მოქალაქეებს კოლექტიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ესაჭიროებათ რკინიგზები, გზატკეცილები, სკოლები, საავადმყოფოები და სხვა.

საშუალებებს, რომლითაც კმაყოფილდება ადამიანთა მოთხოვნილებები – სიკეთე ეწოდება. ზოგი სიკეთე პრაქტიკულად განუსაზღვრელია (ჰაერი, წყალი, მზის სითბო და სხვა), ზოგი კი რაოდენობით შეზღუდულია, მის მისაღებად საჭირო გარკვეული საშუალებები, ანუ რესურსები, ხარჯების გაწევა. მათ ეკონომიკური სიკეთე ეწოდება.

ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ არა უბრალოდ საზოგადოების წევრები, არამედ ეკონომიკური აგენტები, რომელთაც მიეკუთვნებიან როგორც ეროვნული მეურნეობის რიგითი მუშაკები, ისე მენეჯერები, ბანკირები, მიწის მფლობელები, ფერმერები, წარმოების ხელმძღვანელები და სხვ. მათ შეუძლიათ, აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღება და სხვადასხვა მეთოდისა და ხერხის გამოყენებით მათი რეალიზაცია ეკონომიკური დოვლათის შესაქმნელად, შემოსავლის (მოგების) მისაღებად.

ეკონომიკის განვითარების ისტორია და თანამედროვე სამეურნეო პრაქტიკა მოწმობს, რომ ეკონომიკურ აგენტებს მუდმივად უხდებათ სამი ძირითადი პრობლემის გადაწყვეტა: რა (და რამდენი), როგორ და ვისთვის აწარმოონ, თანაც შეზღუდული რესურსების არსებობის პირობებში. რესურსები – ეკონომიკური სიკეთის, მატერიალური და არამატერიალური დოვლათის შექმნისათვის გამოყენებული საშუალებებია,რომელსაც წარმოების ფაქტორებს უწოდებენ. იგი მოიცავს ბუნებრივ, ადამიანურ და ადამიანის მიერ შექმნილ რესურსებს. რესურსები ძირითადად იყოფა შემდეგ ჯგუფებად: 1). მატერიალურ რესურსებად (მიწა,

სანედლეულო რესურსები, ტექნიკური საშუალებები); 2). ადამიანურ რესურსებად (შრომის უნარი და სამეწარმეო უნარი); 3). ფინანსურ რესურსებად (ფულადი კაპიტალი); 4). ინფორმაციულ რესურსებად (მეცნიერული ცოდნა, ტექნოლოგიური სიახლეები და სხვ.). ეკონომიკურ მეცნიერებაში ამ რესურსებს აერთიანებენ შემდეგ წარმოების ფაქტორებში (სიმბოლური სახელწოდებები): მიწა, შრომა, კაპიტალი,მეწარმეობრივი უნარი,სახელმწიფოს,მთავრობის ეკონომიკური ფუნქციები.

ცნება „მიწა“ წარმოების ბუნებრივ ფაქტორს გამოხატავს. იგი აერთიანებს ყველა ბუნებრივ რესურსს: სახნავ და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ფლორას და ფაუნას, წყლის რესურსებს, სასარგებლო წიაღისეულს. მიწა არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ფაქტორი, არამედ ყოველგვარი წარმოების საფუძველია. იგი რაოდენობრივად შეზღუდულია. საკმარისია ითქვას, რომ ადამიანის სასარგებლოდ გამოსაყენებლად ვარგისია დედამიწის ფართობის მხოლოდ 30%-მდე. ამ მიწების ნაწილიც სხვადასხვა მიზეზის გამო მწყობრიდან გამოდის, რის გამოც მეცნიერებს შორის არსებობს აზრი, რომ სავარაუდოა ეკონომიკური კატასტროფა,ამიტომ იგი სათუთ, რაციონალურ გამოყენებას საჭიროებს. ამასვე საჭიროებს წიაღისეულიც, რომელიც ამოწურვადი და შეუვსებადია.

ცნება „კაპიტალი“ წარმოების საწარმოების ყველა საშუალებას მოიცავს,რომელიც გამოიყენება მატერიალური დოვლათის წარმოების,მომსახურების გაწევისათვის და მისი საბოლოო მომხმარებელთან მიტანისათვის.

ცნება „შრომა“ გულისხმობს წარმოებისა და მომსახურების სფეროში გამოყენებული ადამიანების ფიზიკური თუ გონებრივი,კვალიფიციური თუ არაკვალიფიციური სამუშაოს შესრულების უნარს. წარმოების აღნიშნულ სამ ფაქტორს (მიწა, კაპიტალი, შრომა) თავისთავად, დამოუკიდებლად თითქმის არაფრის შექმნა არ შეუძლია. ისინი მეწარმემ უნდა აამოქმედოს,შეაერთოს. სწორედ მეწარმის სამეწარმეო უნარზეა დამოკიდებული წარმოების შედეგიანობა. სამეწარმეო უნარი,ანუ მეწარმეობა,ადამიანური რესურსების

განსაკუთრებული სახეა, რომელიც დანარჩენი ფაქტორების ეფექტიანი გამოყენების უნარად გვევლინება.

გარდა ამ ფაქტორებისა,მნიშვნელოვანია აგრეთვე მეხუთე ფაქტორიც – სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა (როლი), რაც მდგომარეობს იმაში,რომ მან ქვეყნის მასშტაბით უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების პირობები, უწინარეს ყოვლისა შექმნას მეწარმეობის საკანონმდებლო ბაზა, დაადგინოს ეკონომიკური თამაშის წესები და აკონტროლოს მათი განხორციელება. მისი ფუნქციაა აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციის ხელშეწყობა, ინფლაციასა და უმუშევრობაზე ზემოქმედება და საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების მხარდაჭერა.

ეკონომიკურ რესურსებს, ანუ წარმოების ფაქტორებს, ერთი საერთო თვისება აქვს. ისინი იშვიათია ან შეზღუდული რაოდენობით არსებობენ. იშვიათობა იმას ნიშნავს, რომ რესურსები უფრო ნაკლებია, ვიდრე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაა საჭირო. მეტ-ნაკლებად შეზღუდულია სახნავი მიწები, წიაღისეული, წარმოების საშუალებები, სამუშაო ძალა. რესურსების იშვიათობის გამო იზღუდება წარმოების მოცულობა, ანუ, საზოგადოებრივ წარმოებას არ შეუძლია აწარმოოს საქონლისა და მომსახურების ის მოცულობა, რომელიც საჭიროა მთელი საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

რადგანაც ადამიანთა მოთხოვნილებები უსაზღვროა,ხოლო რესურსები ნაკლები, შეზღუდული მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, ამიტომ საჭიროა გონივრულად იქნას გადაწყვეტილი საკითხები: რა, როგორ და ვისთვის ვაწარმოოთ. უნდა სწორად გადაიჭრას,რომელი საქონლისა და მომსახურების წარმოებაა აუცილებელი და რომლის არა. ეფექტიანობის პრობლემა არის ეკონომიკის ძირითადი პრობლემა და სწორედ ეკონომიკური მეცნიერება არის მეცნიერება ეფექტიანობის, შეზღუდული რესურსებით რაც შეიძლება მეტი დოვლათის წარმოების შესახებ. ეკონომიკური ეფექტიანობა ახასიათებს კავშირს წარმოების პროცესში გამოყენებული რესურსების რაოდენობრივ მხარესა და

წარმოების პროცესის განხორციელების შედეგად მიღებული პროდუქციის რაოდენობას შორის, ანუ, დამოკიდებულებას დანახარჯებსა და შედეგებს შორის.

დანახარჯის მოცემულ რაოდენობაზე მიღებული პროდუქციის გადიდება ნიშნავს ეფექტიანობის ამაღლებას, ხოლო კლება – ეფექტიანობის შემცირებას.

1.2. კულტურა, როგორც ეკონომიკის დარგი

კულტურა ისევე ძველია,როგორც კაცობრიობა. კულტურა ადამიანის სულიერი ცხოვრების შედეგია,მისი განვითარების მაჩვენებელია.

პირველყოფილი საზოგადოების კულტურის ცნობილმა მკვლევარმა ე. ტაილორმა ჯერ კიდევ 1871 წ. მოგვცა კულტურის კლასიკური განმარტება, რომლის თანახმადაც „კულტურა – ეს მთლიანის შემადგენელია, რომელიც მოიცავს ცოდნას, რწმენას, ხელოვნებას, ადათ-წესებს, ტრადიციებს, კანონს, ჩვეულებას და აგრეთვე მრავალ სხვა შესაძლებლობას და ჩვევას, ადამიანის მიერ როგორც საზოგადოების წევრისა აღქმულს“ [8.24]. დღეისათვის მიჩნეულია, რომ კულტურა არის საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა განათლების, მეცნიერების,ტექნიკის,ხელოვნების,აგრეთვე ყოფა-ცხოვრების დარგში. ადამიანის საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური აზროვნება, აღზრდა, განათლების სისტემა, ხალხური შემოქმედება თუ დამწერლობა-მწიგნობრობა, მეცნიერება, ხელოვნება, სპორტი და სპორტული თამაშობები, რელიგია, ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებები, ეროვნული სამზარეულო კულტურის შემადგენელი ნაწილებია, მისი ელემენტებია.

ტერმინი „კულტურა“ პირველად კლასიკურ ლათინურში ძვ. წელთაღრიცხვის III ს. გვხვდება, როგორც სასოფლო-სამეურნეო შრომის აღმნიშვნელი ცნება. მომდევნო პერიოდში ეს წმინდა სასოფლო-სამეურნეო ტერმინი გადატანილ იქნა ადამიანთა საზოგადოებაზე,როგორც ამა თუ იმ პიროვნების აღზრდა-განათლების, მისი განვითარების მაჩვენებელი.

პლუტარქე თვლიდა: როგორც მიწათმოქმედთათვის აუცილებელია მიწა, გამოცდილი მეურნე და ჯანსაღი

თესლი, ასევე კულტურის, სულიერების აღზრდისა და განვითარებისათვის საჭიროა ბუნებრივი ნიჭი, სწავლა და პრაქტიკული მოღვაწეობა.

სიტყვა „კულტურა“ საქართველოში XIX ს. მეორე ნახევრიდან ვრცელდება ჯერ სამეცნიერო-ელიტარულ წრეებში, შემდეგ კი ყოველდღიურ ყოფით ლექსიკონში.

თანამედროვე მეცნიერებაში სიტყვა კულტურა გამოიყენება სამი ძირითადი მნიშვნელობით.

ფართო გაგებით – როგორც ყოვლისმომცველი მოვლენა და პროცესი, რომლის დროს ხდება ბუნების, მატერიალური საშუალებების და თვით ადამიანის გარდაქმნა. ვიწრო გაგებით: როგორც სულიერი მოთხოვნილების დარგების ერთობლიობა, რომელიც გამიზნულია ადამიანზე ზემოქმედებისათვის.

ამავე დროს კულტურა შეიძლება განვიხილოთ როგორც ნაციონალური, ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი დარგი, რამდენადაც იგი არ არსებობს ეკონომიკური რესურსების – შენობა-ნაგებობების, სათანადო ტექნიკური საშუალებების, ფინანსური წყაროების (ინვესტიციები, შრომითი შემოსავალი და სხვ.) გარეშე, რომელთა გამოყენების პროცესში მყარდება ეკონომიკური ურთიერთობები.

კულტურა სოციალური სფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს. სოციალური სფერო კი საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ერთობლიობაა, რომლებიც ახორციელებენ სოციალურ-კულტურული და ინფორმაციული დანიშნულების საქონლისა და მომსახურების წარმოებას, განაწილებას, შენახვასა და მოხმარებას მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

სოციალურ სფეროს მიეკუთვნება: განათლება, კულტურა, ჯანდაცვა, ფიზკულტურა და სპორტი, სოციალური უზრუნველყოფა, მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციების საშუალებები და სხვ., რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანისეული პოტენციალის განვითარებას.

კულტურა – განსაკუთრებული დარგია, რომლის პროდუქტი აკმაყოფილებს ადამიანთა სულიერ, კულტურულ მოთხოვნილებებს. იგი სხვა სფეროებისაგან იმით განსხვავდება, რომ ეს ხდება განსაკუთრებული წესით.

იგი ზემოქმედებს როგორც სუბიექტზე, ისე ობიექტზე, შესაბამისად, კულტურის სფეროში შრომითი პროცესიც სპეციფიკურია.

გარკვეული დროის განმავლობაში სხვადასხვა შეხედულება არსებობდა კულტურის სფეროში ეკონომიკური ურთიერთობების არსებობაზე.

1. XX საუკუნის 70-იანი წლებში გაჩნდა აზრი, რომ ამ სფეროში არ შეიძლება, ადგილი ექნეს ეკონომიკურ ურთიერთობებს,რამდენადაც არ იწარმოება მატერიალური დოვლათი.

2. კულტურის სფეროში არსებობს ეკონომიკური ურთიერთობანი,მაგრამ ისინი მეორეხარისხოვანია. შეიძლება მსჯელობა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კულტურაში მოიხმარება პროდუქტი,რომელიც შექმნილია მატერიალური წარმოების სფეროში.

80-90-იან წლებში საქართველოში იწყება კულტურაში ახალი ეკონომიკური მექანიზმების ძიება. 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში მკვიდრდება საბაზრო ეკონომიკა, რომელმაც შეაღწია კულტურის სფეროში.

თანამედროვე პირობებში მიღებულია, რომ კულტურულ საქმიანობაში არსებობს სრულფასოვანი ეკონომიკური ურთიერთობანი, რომლებიც დაკავშირებული არიან კულტურული ფასეულობების და კულტურული სიკეთის შენახვასთან, შექმნასთან, განაწილებასა და ათვისებასთან.

კულტურისათვის დამახასიათებელია სპეციალური ეკონომიკური ურთიერთობანი.

კულტურის სფეროში გამოკვეთილია შენახვის პროცესი, იმასთან დაკავშირებით, რომ გროვდება კულტურული პოტენციალი;

კულტურული საქმიანობის შედეგებად ითვლება კულტურული ფასეულობანი და კულტურული სიკეთე.

კულტურული ფასეულობებია: ესთეტიკური იდეალები, ქცევის ნორმები და ნიმუშები, ენები, დიალექტები, ნაციონალური ტრადიციები და ჩვეულებები, ფოლკლორი, მხატვრული ხელოსნობა, ხელოვნებისა და კულტურის ნაწარმოებები, კულტურული საქმიანობის სამეცნიერო

კვლევების შედეგები და მეთოდები; არსებული ნაგებობების, საგნების და ტექნოლოგიების ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობანი, ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით უნიკალური ტერიტორიები, ობიექტები და სხვ.

კულტურული სიკეთე – მოქალაქეთა კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ორგანიზაციების და ფიზიკური პირებისაგან წარმოდგენილი პირობები და მომსახურებაა. კულტურული სიკეთის შექმნის საფუძველია კულტურული ფასეულობები. შესაძლებელია კულტურული სიკეთის გარდაქმნა კულტურულ ფასეულობად. კულტურის ეკონომიკისათვის უფრო ადეკვატურია კულტურული სიკეთე, როგორც კატეგორია. კულტურული სიკეთის ბაზრის წარმოქმნის ძირითადი სუბიექტებია: სახელმწიფო, მწარმოებელი, მომხმარებელი, შუამავლები, პროფესიული კრიტიკის წარმომადგენლები და სხვ.

კულტურული სიკეთის შემქმნელებია:

თავისუფალი შემოქმედნი, ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ კულტურის სფეროში ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას იურიდიული პირის წარმოშობის გარეშე, აგრეთვე ინსტიტუციურად გაფორმებული სტრუქტურები, როგორიცაა: ორგანიზაციები, იურიდიული პირები, კულტურის ორგანიზაციები.

სუბიექტები, რომლებიც შედიან კულტურის ორგანიზაციების ეკონომიკურ ურთიერთობებში შემდეგია: მომხმარებლები, დამფუძნებლები, სახელისუფლებო სტრუქტურები, სპონსორები, ქველმოქმედი და სხვა ორგანიზაციები.

კულტურული საქმიანობის ინფრასტრუქტურაა ორგანიზაციების ურთიერთდაკაშვირებული კომპლექსი, რომელიც განაპირობებს კულტურული საქმიანობის მონაწილეთა ურთიერთგავლენას. ინფრასტრუქტურის ელემენტებია: სალაროები, სპეციალური მაღაზიები, სახელოსნოები, თეატრალური ბირჟა, პროდიუსერული ცენტრები და სხვა. აუცილებელია გავითვალისწინოთ კულტურის არსებობის თავისებურება საბაზრო პირობებში და მისი ფუნქციონირება საბაზრო საწყისებზე, კულტურის სფეროში „ბაზრის ჩავარდნის“ შესაძლებლობა; სახელმწიფოს

როლი, როგორც კულტურული სიკეთის ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სუბიექტისა; სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები; კულტურული საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირება, კულტურის ორგანიზაციების და შემოქმედებითი მუშაკების ფინანსური მხარდაჭერა, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა სოციალური დაცვა და სხვ.

კულტურული საქმიანობის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, განხილვა დაიწყო ფრანგულ, შვედურ, ინგლისურ და სხვა მეცნიერულ სკოლებში. პოსტსაბჭოთა სივრცეში, კერძოდ რუსეთში, პირველი ნაშრომები კულტურის ეკონომიკის სფეროში გამოჩნდა XIX საუკუნის ბოლოს და XX ს. დასაწყისში.

ამერიკელი ეკონომისტების: უ. ბაუმოლის და უ. ბოემის შრომაში „საშემსრულებლო ხელოვნება: ეკონომიკური დილემას (1966 წ.), პირველად არის დასმული კულტურის ეკონომიკის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, კერძოდ, წარმოების ფაქტორებზე ფასების წინმსწრები ზრდა კულტურული მომსახურების ფასებთან შედარებით, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ბაუმოლის ავადმყოფობა“, ანუ „ფასების ავადმყოფობა“. სწორედ ამან განაპირობა საშემრულებლო ხელოვნების სახელმწიფო და საზოგადოებრივი მხარდაჭერის აუცილებლობა.

ფრანგმა კულტუროლოგმა ა. მოლმა ნაშრომში „კულტურის სოციოდინამიკა“ (1967 წ.), მოგვცა სოციოკულტურული ციკლის საერთო თეორია, რომელიც მოგვაგონებს ეკონომიკური საქონელბრუნვის სისტემას და ეხება კულტურული საქმიანობის მნიშვნელოვან ეკონომიკურ კატეგორიებს: საქონელს, ღირებულებას, თვითღირებულებას, ფასის, მოგების, ბაზრის და სხვ. სოციოკულტურული ციკლი, ა. მოლის მიხედვით, შედარებით დაშლილად, გაფანტულად გამოხატავს ინტელექტუალური პროდუქტის ბაზარზე შემოქმედისა და მომხმარებლის ურთიერთკავშირს. ამ კავშირურთიერთობის მონაწილეებად გამოდიან შემოქმედნი, მიკროსამყარო, ანუ კოლეგები, კრიტიკოსები, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, მაკროსამყარო, ანუ განათლებული მომხმარებლები და ფართო მასები.

სერიოზული გამოკვლევები კულტურის ეკონომიკის პრობლემებზე რუსეთში დაიწყო XX საუკუნის 70-იან წლებში. გამოიცა შრომები, რომლებშიც კულტურა განიხილება როგორც ეკონომიკური სისტემის აქტიური ელემენტი. საქართველოში ამ საკითხებით მკვლევარი ეკონომისტები ჯერჯერობით არ დაინტერესებულან.

XX ს. უკანასკნელ ათწლეულში დასავლეთ ქვეყნებში ფორმირდება კულტურასა და ეკონომიკას შორის ახალი გაგება: დამოკიდებულება კულტურისადმი, როგორც ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების ფაქტორისადმი, ხოლო კულტურის პროდუქტის მიმართ – როგორც საქონლისადმი. კულტურის ინდუსტრიის განვითარების კურსი მიმართულია კულტურული სიკეთის ბაზრის გლობალიზაციისაკენ.

1.3. კულტურის ეკონომიკის საგანი და მეთოდი

კულტურის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების რამდენიმე მიმართულება არსებობს. ეს მიმართულებებია: პოლიტიკურ-ეკონომიკური – იგი ეფუძნება კულტურის სფეროში ეკონომიკურ ურთიერთობებს.

გამოყენებითი – ძირითად ყურადღებას ამახვილებს კულტურის სფეროს სამეურნეო მექანიზმის და ორგანიზაციის მართვის პრობლემების გადაწყვეტაზე;

დისციპლინათაშორისი – ეყრდნობა სხვა მეცნიერული დისციპლინების მიღწევებს, სწავლობს კულტურის სფეროს ფუნქციონირების საერთო საკითხებს.

თანამედროვე პირობებში კულტურის სფეროში ეკონომიკური ურთიერთობების მეცნიერული ცოდნის სისტემის ჩამოყალიბებისას შეიმჩნევა ყველა ამ მიმართულებების შერწყმა, რაც მდგომარეობს შემდეგში:

– იზრდება ჩატარებული კვლევების თეორიული დონე;

– ძლიერდება მათი პრაქტიკული მიმართულება;

– მხედველობაში მიიღება სხვა მონათესავე დისციპლინების მიღწევები.

– განსაკუთრებით ხაზგასასმელია კულტურული საქმიანობის ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და

სამართლებრივი საფუძვლების ურთიერთკავშირი.

კულტურის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, საგანი არის ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობანი კულტურული სიკეთის და ფასეულობების შექმნის, შენახვის, გავრცელების და მოხმარების საქმეში, ანუ, ეკონომიკური კანონების მოქმედების კონკრეტული ფორმები კულტურის სფეროში.

ისევე როგორც ნებისმიერი დარგი,კულტურის ეკონომიკაც თავისი ობიექტის შესწავლისათვის იყენებს მეთოდების, პრინციპების, ხერხების ერთობლიობას. უპირველეს ყოვლისა, იგი ეყრდნობა დიალექტიკურ მეთოდს, მიდგომას, როგორც ბუნების, საზოგადოების და აზროვნების განვითარების კანონების შეცნობის მეთოდს. ეს მეთოდი ყველა ეკონომიკურ მოვლენასა და პროცესს განიხილავს როგორც ობიექტურად არსებულს,ურთიერთდაკავშირებულს და ურთიერთგანპირობებულს, ისტორიული განვითარების თვალსაზრისით.

კულტურის ეკონომიკა მიეკუთვნება გამოყენებით მეცნიერებას, შეისწავლის კულტურული მოღვაწეობის სფეროში ეკონომიკურ ურთიერთობათა პრინციპებისა და რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენებას. ეს დისციპლინა განიხილავს კულტურას როგორც საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფორმას, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური ნიშნები. კულტურა უზრუნველყოფს ადამიანთა მომსახურებას, მას გააჩნია უშუალოდ საზოგადოებრივი და ეკონომიკური ეფექტი. მისი საზოგადოებრივი ეფექტი არის ის, რომ იგი აკმაყოფილებს როგორც პირად, ასევე კოლექტიურ მოთხოვნილებებს კულტურის ფასეულობებზე. მისი ეკონომიკური ეფექტი უფრო ირიბია და იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივ შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამავე დროს თვით კულტურულ მოღვაწეობას შეიძლება გააჩნდეს უშუალო ეკონომიკური ეფექტიც შემოსავლის (მოგების) სახით,ასეთია,მაგალითად, გამომცემლობითი საქმიანობა, კინოწარმოება, ხმის ჩამწერი წარმოებები და სხვ.

კულტურა აგრეთვე გვევლინება ტურისტული დარგის, კერძოდ, კულტურული ტურიზმის ერთ-ერთ კომპონენტად.

ჩვენს ქვეყანაში კულტურული ტურიზმის სექტორი ჯერჯერობით მცირე მასშტაბითაა წარმოდგენილი, რაც გამოწვეულია არა კულტურული მემკვიდრეობის სიმწირით, არამედ საერთოდ ტურიზმის განვითარების დაბალი დონით. კულტურა ასევე წარმოადგენს მთელი რიგი ხანგრძლივი მოხმარების კულტურული პროდუქციის მწარმოებელი დარგის განვითარების საფუძველს.

კულტურის ეკონომიკის მეთოდებია იმ ობიექტური ეკონომიკური კანონზომიერებების ანალიზის პრინციპების და წესების ერთობლიობა,რომლებიც მოქმედებენ კულტურის სფეროში. მათ შორის მნიშვნელოვანია სისტემური ანალიზის და სტატისტიკური მეთოდი.

სისტემური ანალიზის თვალთახედვით კულტურის ეკონომიკა წარმოადგენს სისტემას, რომელიც, ერთი მხრივ, აქტიურად ზემოქმედებს მთლიანად ეკონომიკურ კომპლექსზე, მის მიკროგარემოზე, მეორე მხრივ, კი თითონ შედგება ურთიერთდამოკიდებული ქვესისტემებისაგან.

კულტურის ეკონომიკის შესწავლა უნდა ეფუძნებოდეს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზის ერთიანობას, სადაც პრიორიტეტი ენიჭება ხარისხობრივ შეფასებებს.

კულტურის სფეროში ეკონომიკური პროცესები შესწავლილი უნდა იქნეს როგორც დინამიკაში, ანუ, როგორც გარკვეული დროის განმავლობაში ცვალებადობის მონაცემების საფუძველზე, აგრეთვე სტატიკაში, ანუ, დროის გარკვეულ კონკრეტული მომენტის მდგომარეობის მიხედვით.

კულტურის ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ დისციპლინებთან და კულტუროლოგიასთან.

კულტურის ეკონომიკა, ერთი მხრივ, ეყრდნობა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს, რომლებსაც შეისწავლის მთელი რიგი ეკონომიკური დისციპლინა, როგორიცაა: ეკონომიკის საფუძვლები, მიკრო, მაკრო ეკონომიკები, ფინანსები და კრედიტი, შრომის ეკონომიკა და სხვ. იგი აგრეთვე დაკავშირებულია სოციალური სფეროს სხვა დარგების (განათლება,ჯანდაცვა

და ა. შ.) ეკონომიკასთან. იგი იყენებს სტატისტიკის მეთოდებსა და სტატისტიკურ ინფორმაციას. მეორე მხრივ, კულტურის ეკონომიკა ეყრდნობა კულტურის თეორიის და ისტორიის შემეცნებას, კულტურის ფილოსოფიას, კულტურის სოციოლოგიას და სხვ. ეს მეცნიერებები სწავლობს კულტურის არსს, კულტურული განვითარების კრიტერიუმებს, ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში კულტურული ფასეულობების ფუნქციებს,როლს. კულტურის ეკონომიკისათვის ასეთი ცოდნა ამოსავალ წერტილად, კვლევის აუცილებელ ბაზად და ფონად ითვლება. თვით კულტურის ეკონომიკა წარმოადგენს კულტურის ორგანიზაციის საკითხების შესწავლის მეთოდოლოგიურ ბაზას.

საკონტროლო კითხვები:

1.რა არის ეკონომიკური საქმიანობა და რას მოიცავს იგი?
2.რა არის მოთხოვნილება, რა და რა სახისაა იგი?
3.რა არის სიკეთე და მათ შორის – ეკონომიკური სიკეთე?
4.რა ძირითადი პრობლემებია გადასაწყვეტი ეკონომიკაში?
5.რა არის წარმოების ფაქტორები და დაახასიათეთ ისინი.
6.რა არის ეკონომიკური რესურსების, ანუ, წარმოების ფაქტორების საერთო თვისება?
7.რა კავშირშია ეკონომიკა და ეფექტიანობის პრობლემა?
8.რა არის კულტურული ფასეულობები?
9.რა არის კულტურული სიკეთე და ვინ ქმნის მას?
10.რა არის კულტურის ეკონომიკის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, საგანი და მეთოდი და მისი კავშირი სხვა მეცნიერებებთან.

თავი 2. კულტურა და ხელოვნება, როგორც ეროვნული მეურნეობის დარგი

2.1. კულტურა და ხელოვნება, მათი სტრუქტურა

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ,ეკონომიკა,ანუ მეურნეობა, არის სფერო, სადაც იქმნება **მატერიალური დოვლათი** ან გაიწევა რაიმე სახის მომსახურება. აქედან გამომდინარე, ზოგადი სახით ეროვნული მეურნეობა იყოფა ორ დიდ სფეროდ: **მატერიალურ წარმოებად** და **არამატერიალურ**,ანუ სოციალურ სფეროდ. ეს დაყოფა დაკავშირებულია შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სისტემაში საქმიანობის სახეობათა განცალკევებასთან. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება კი არის შრომის დანაწილება მისი სახეების მიხედვით. იმის გამო, რომ ყველა ადამიანს არ შეუძლია ყველაფერი აკეთოს, მან უნდა აკეთოს ძირითადად ის, რაც ყველაზე კარგად გამოსდის, რისი სპეციალისტიც არის. მაგ.: პური უნდა გამოაცხოს მეპურემ,ტანსაცმელი შეკეროს თერძმა,ფეხსაცმელი შეკეროს მეწაღემ,ფოლადი გამოადნოს მეფოლადემ, ექიმმა უმკურნალოს ავადმყოფს, მასწავლებელმა ასწავლოს მოსწავლეებს და ა. შ.

მატერიალური წარმოების სფეროში იქმნება მატერიალური დოვლათი, სიმდიდრე, საქონელი, პროდუქცია, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანთა მატერიალურ მოთხოვნილებებს, ხოლო არამატერიალური, ანუ სოციალური სფერო, არ ქმნის მატერიალურ დოვლათს, იგი ემსახურება ადამიანის სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას,როგორიცაა: ვაჭრობა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა და ხელოვნება და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წლამდე მთელ საბჭოთა სივრცეში მოქმედებდა ეკონომიკური საქმიანობის სახეების ერთიანი კლასიფიკატორი, რომელიც ითვალისწინებდა ეკონომიკის სფეროს დაყოფას დარგებად და ქვედარგებად. ამ კლასიფიკატორის მიხედვით კულტურა და ხელოვნება წარმოდგენილი იყო როგორც ერთი დარგი, იგი აერთიანებდა:

– **კულტურას**,რომელსაც მიეკუთვნებოდა: ბიბლიოთეკები, ფილმი და ფონოტეკები, მუზეუმები და გამოფენები, საკლუბო დაწესებულებები,სკოლამდელი აღზრდა,სახალხო უნივერსიტეტები,კულტურისა და დასვენების პარკები,ტელე და რადიომაუწყებლობის რედაქციები,წიგნის პალატები.

– **ხელოვნებას,** რომელსაც მიეკუთვნებოდა: სანახაობითი დაწესებულებები,ანუ თეატრები,კინოთეატრები,საკონცერტო ორგანიზაციები და კოლექტივები, ცირკები, იზოსტუდიები, სამხატვრო გაფორმებითი და ხელოვნების სამეურნეო ორგანიზაციები.

1997 წლის იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებულია ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაცია ევროპული სტანდარტების საფუძველზე. ამ სტანდარტებით გაკეთდა ეკონომიკურ საქმიანობის საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი. იგი უფრო ვრცელია,უფრო თანამედროვეა და დაწვრილებითია ადრინდელთან შედარებით,ითვალისწინებს იმას, რომ ადამიანთა მოღვაწეობის არეალი უფრო გაფართოებულია, შეიქმნა ახალი დარგები, ქვედარგები, მომსახურების სფეროები, ცალკეული სახეები და სხვ.

ამ კლასიფიკატორშიც კულტურა და ხელოვნება ერთ გამსხვილებულ ჯგუფშია მოქცეული და იწოდება „საქმიანობა დასვენების,გართობის,კულტურის და სპორტის ორგანიზაციების დარგში“. ეს განყოფილება შედგება 6 ქვეგანყოფილებისაგან. ესენია:

I. კინო და ვიდეოფილმებთან დაკავშირებული საქმიანობა;

II. საქმიანობა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სფეროში;

III. დანარჩენი სანახაობრივ-გასართობი საქმიანობა;

IV. საინფორმაციო სააგენტო საქმიანობა;

V. დანარჩენი საქმიანობა კულტურის სფეროში;

VI. საქმიანობა სპორტის სფეროში;

V ქვეგანყოფილება, თავის მხრივ, კრებსითია და აერთიანებს რამდენიმე პუნქტს, ქვეჯგუფს.

კერძოდ, ეს ქვეჯგუფებია:

1. ბიბლიოთეკების, სამკითხველო დარბაზების,

ლექტორიუმების საქმიანობა:

ა). ბიბლიოთეკების, სამკითხველო დარბაზების, ლექტორიუმების საქმიანობა;

ბ). ფილმო და ფილმოტეკების მომსახურება;

გ). არქივების საქმიანობა;

დ). წიგნის პალატების საქმიანობა;

ე). კულტურის სხვა დაწესებულებების საქმიანობა.

2. მუზეუმების საქმიანობა და ისტორიული ადგილებისა და შენობის დაცვა. აქ შედის ყველა სახის მუზეუმების საქმიანობა, ისტორიული ადგილებისა და შენობების, კულტურის ძეგლების დაცვა;

3. ბოტანიკური ბაღების, ზოოპარკების და ნაკრძალების საქმიანობა.

ეს დაყოფა ისევე, როგორც მთელი ეკონომიკის, მთელი მეურნეობის დაყოფა მუდმივი არ არის და ცხოვრების განვითარების, დინამიკურობის შესაბამისად იცვლება.

კულტურის სფეროში საქმიანობა მიმართულია ადამიანთა ყოველმხრივი ინტელექტუალური, ესთეტიკური, ზნეობრივი და ა. შ. აღზრდისა და მათი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. ასეთ საქმიანობას არა აქვს სისტემური ხასიათი. ამ სფეროში ადამიანების საქმიანობა შეიძლება ხორციელდებოდეს ადამიანის მიერ თავისთვის ან სხვა ადამიანებისათვის. კულტურის სფეროში საქმიანობა ხორციელდება პროფესიულ, ნახევრად პროფესიულ და არაპროფესიულ (მოყვარულთა) დონეზე.

იუნესკოს რეკომენდაციების მიხედვით კულტურის სფეროს მიეკუთვნება:

– კულტურული მემკვიდრეობა (ისტორიული ძეგლები, არქივები, მუზეუმები და სხვა);

– პუბლიკაციები და ლიტერატურა (წიგნების გამომცემლობა, პერიოდული გამოცემები, ბიბლიოთეკები და სხვა);

– მუსიკა (მუსიკალური ნაწარმოებები, მუსიკალურ-დრამატული წარმოდგენები (ოპერა), მუსიკალური ნაწარმოებების გავრცელება,მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება და რეალიზაცია და სხვ.);

– საშემსრულებლო ხელოვნება (ცირკი,დრამატული და ქორეოგრაფიული წარმოდგენები და სხვ.);

– სახვითი ხელოვნება (შესაბამისი ნაწარმოებების შექმნა, გავრცელება და სხვ.);

– კინემატოგრაფია და ფოტოგრაფია;

– რადიო და ტელემაუწყებლობა;

– სოციალურ-კულტურულ სფეროში საქმიანობა (მასობრივი მუშაობა, თვითშემოქმედებითი პროცესის განვითარება და ა. შ.);

– სპორტი;

– ბუნებასა და გარემოში საქმიანობა (კულტურული დასვენების ნაგებობების მშენებლობა, ნაკრძალების, ეროვნული პარკების,ქალაქის პარკების,საბავშვო მოედნების აშენება და ექსპლოატაცია;

– საერთო მართვა (საერთო სახელმწიფოებრივი მართვა, მართვის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები და სხვ.).

საზოგადოების კულტურული სიმდიდრე ეკონომიკური თვალსაზრისით წარმოადგენს კულტურის პროდუქტების მასას,რომელთაც გააჩნიათ სპეციფიკური,აღქმადი თვისებები და აკმაყოფილებენ კულტურულ მოთხოვნილებებს.

კულტურის პროდუქტს, პირველ რიგში, უნდა გააჩნდეს სარგებლიანობა,რომელიც დამოკიდებულია მის კულტურულ ფასეულობაზე,ანუ,პროდუქტის თვისებაზე,დააკმაყოფილოს კულტურული მოთხოვნილებები.

კულტურული დოვლათი არაერთგვაროვანია. ამიტომ მიზანშეწონილად ჩაითვალა მათი დაყოფა კულტურულ მოთხოვნილებათა ფორმირებისა და დაკმაყოფილების მატერიალურ და არამატერიალურ ობიექტებად. მატერიალური ობიექტებია: კულტურის საშუალებები, კულტურის საგნები, არამატერიალური ობიექტია – მომსახურება.

კულტურის საშუალებები,თავის მხრივ,იყოფა საწარმოო საშუალებებად (მუსიკალური ინსტრუმენტები, სამხატვრო საშუალებები,თეატრალური კოსტიუმები და სხვ.),რომელთა მეშვეობით მიმდინარეობს კულტურული დოვლათის წარმოება, ინფორმაციის მიღების საშუალებებად (რადიომიმღებები,

ტელევიზორები და ა. შ.) და კულტურის საგნებად (ნახატები, სურათები და ა. შ.).

არამატერიალური ობიექტები იყოფა შემდეგ ჯგუფებად: 1. მომსახურებად, რომელიც კულტურაში ასრულებს გადამცემის ფუნქციას (ბიბლიოთეკებში წიგნების გაცემა, მხატვრული შემოქმედების საგნების, წიგნების გაყიდვა, თეატრალური კოსტიუმების გაქირავება და ა. შ.); 2. მომსახურებად,რომელიც ასრულებს უშუალოდ კულტურულ ფუნქციას (მსახიობის მუშაობა,შემსრულებელთა კონცერტი, პროფესიული გუნდის საქმიანობა, მეცნიერის ლექცია და ა. შ.).

კულტურულ მოთხოვნილებათა ობიექტები ერთმანეთს განაპირობებენ. ობიექტების ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობა კულტურის სფეროში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მოხმარების ჩვეულებრივ საგნებში, რაც აიხსნება კულტურის საგნების სპეციფიკური თვისებებით. მაგალითად, არ ვიყიდით სხვა წიგნს იმ შემთხვევაში, თუ ვერ ვიშოვეთ ჩვენთვის სასურველი ავტორის წიგნი.

კულტურის სფერო, მისი შინაარსი და სტრუქტურა არ არის მუდმივი, საბოლოოდ დადგენილი, რადგანაც იგი მეტად დინამიკური და პროგრესულია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში კრებსითია და შედგება მთელი რიგი სფეროს მიმართულებებისაგან.

საქმიანობის სახეებს,რომლებიც ჩართულია კულტურის სფეროში ამ დარგის სპეციალისტები ყოფენ ოთხ მსხვილ ჯგუფად [5.16]:

1. მხატვრული შემოქმედება:

ლიტერატურული შემოქმედება,

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება,

საშემსრულებლო ხელოვნება.

2. კულტურული მემკვიდრეობის შენახვა:

ისტორიისა და კულტურის უძრავი ძეგლების რესტავრაცია და დაცვა:

სამუზეუმო საქმე,

საარქივო საქმე,

საბიბლიოთეკო საქმე.

3. საკლუბო და გასართობი საქმიანობა:
საკლუბო საქმიანობა,
ატრაქციონები,
შოუ-ბიზნესი,
კაზინო (სამორინე).

4. კულტურული სიკეთის მასობრივი შექმნა და გავრცელება:
პრესა,
წიგნების გამოცემა,
აუდიოვიზუალური პროდუქციის წარმოება,
კინემატოგრაფია,
ვიდეო პროდუქციის წარმოება,
აუდიოპროდუქციის წარმოება,
რადიო,
ტელევიზია,
ინტერნეტი.

კულტურის **სფერო** შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ორი სისტემა: „კულტურა და ხელოვნება“ და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ჩვენ ყურადღებას უფრო ვამახვილებთ „კულტურასა და ხელოვნებაზე“ და კულტურული სფეროს ეკონომიკის საკითხები განხილულია ამ სფეროს მიხედვით.

კულტურული საქმიანობის სახეების გამოცალკევება დაკავშირებულია მის მიერ შესასრულებელ ფუნქციებთან.

დიდი ხნის განმავლობაში კულტურის ძირითად ფუნქციად სახელმწიფოს მიერ განიხილებოდა იდეოლოგიური ფუნქცია, რომლის რეალიზაცია უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ფინანსური რესურსებით. ამჟამად კულტურის სფერო ახორციელებს უპირატესად სოციალურ ფუნქციებს: ინტეგრაციულს, აღმზრდელობითს, განმანათლებლობითს, ესთეტიკურს,კომუნიკაბელურს,ინფორმაციულს,გასართობს, რაც პიროვნების ინდივიდუალური უნარის რეალიზაციის შესაძლებლობას იძლევა.

ცნობილია, რომ დარგი განისაზღვრება როგორც ერთობლიობა ორგანიზაციებისა და, შესაბამისად, მართვის ორგანოების, რომლებიც აწარმოებენ ერთგვაროვან

პროდუქციას ან არასამრეწველო ხასიათის ერთგვაროვან მომსახურებას. დარგის „კულტურა და ხელოვნება“ გაგებაში იგულისხმება იმ ორგანიზაციების ერთობლიობა, რომელთა ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია კულტურული სიკეთის, ფასეულობების, შენარჩუნებასთან, შექმნასთან, გავრცელებასთან საერთოდ, მართვასთან. მართალია, „კულტურასა და ხელოვნებას“ აქვს ეკონომიკის გარე სოციალურ-კულტურული მიზნები, მაგრამ ეს სრულადაც არ ამცირებს მასში მოქმედი ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელობას.

დარგის „კულტურა და ხელოვნება“ ეკონომიკური საზღვრები შემოიფარგლება შესასრულებელი ფუნქციის ხასიათით. ეს დარგი, თავის მხრივ, შედგება ორი მსხვილი ბლოკისაგან: 1. კულტურა და 2. ხელოვნება. მათ აქვთ საერთო მიზნები, საქმიანობის ერთგვაროვანი პრინციპები და ერთნაირი სამეურნეო მექანიზმი, მაგრამ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გადასაწყვეტი ამოცანების შედგენილობით, გამოყენებული ტექნიკური საშუალებებით და სამუშაოთა ფორმებით.

კულტურის ორგანიზაციებია: ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საკლუბო და კულტურულ-დასვენებითი დაწესებულებები, კულტურისა და დასვენების პარკები, ზოოპარკები და სხვ.

ხელოვნების ორგანიზაციებია: თეატრები, კინოთეატრები, ცირკები, საკონცერტო ორგანიზაციები და კოლექტივები, სხვა სანახაობითი ორგანიზაციები და ხელოვნების დაწესებულებები.

დარგის ადმინისტრაციული მიჯნები განისაზღვრება ამა თუ იმ ორგანოსადმი უწყებრივი მიკუთვნებით, ორგანიზაციის მიერ შესასრულებელი ფუნქციების ხასიათის მიუხედავად.

დარგის ადმინისტრაციული საზღვრები ასახავს ეკონომიკურ საზღვრებს, მაგრამ არ ემთხვევიან მათ. ეს საზღვრები მოძრავია და დაკავშირებულია ქვეყანაში გატარებულ ადმინისტრაციულ რეფორმებთან. ამჟამად საქართველოში დარგის „კულტურა და ხელოვნება“ მართვის ძირითადი **ფედერალური** ორგანოა კულტურის ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო.

ქვეყნის დამოუკიდებლობამდე ცალკე არსებობდა კულტურის სამინისტრო. რეგიონულ დონეზე მას ექვემდებარებოდა კულტურის სამინისტროს სამმართველოები. მუნიციპალურ დონეზე – მუნიციპალური წარმონაქმნები – კულტურის სამმართველოები ან განყოფილებები.

დღეისათვის კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს შესაბამისი ქვედა რგოლები ძალზე შემცირებულია და რაიონებში არსებობს თითო წარმომადგენელი, რომელიც ექვემდებარება ადგილობრივ გამგეობებს, ხოლო დიდ ქალაქებში არსებობს შესაბამისი სამსახურები და ისინი ექვემდებარება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს.

კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს სტრუქტურა, მასში შემავალი ორგანიზაციების ჩამონათვალი მოცემულია დანართ 2-ში.

2.2. კულტურის ორგანიზაციების დახასიათება და მათი საქმიანობა საქართველოში

ბიბლიოთეკები იყოფა სახალხო (მუნიციპალურ), სასწავლო, სამეცნიერო, სპეციალურ (ცოდნის დარგების მიხედვით) და სპეციალიზებულად, რომლებიც ემსახურება გარკვეული კატეგორიის მოსახლეობას.

საკლუბო (კულტურულ-დასვენებითი) დაწესებულებები იყოფა კულტურის სახლებად და სასახლეებად, საქალაქო და სასოფლო, სოციო-კულტურულ კომპლექსებად, დასვენების ცენტრებად.

მუზეუმებში გამოყოფენ სამხარეო, ისტორიულ-არქიტექტურულ და სამხედრო-ისტორიულ, ლიტერატურულ-მემორიალურ,

საბუნებისმეტყველო, სამეცნიერო, მხატვრულ და სხვა სახის მუზეუმებს.

თეატრები იყოფა დრამატულ, ოპერისა და ბალეტის, მუსიკალური კომედიის, მოზარდ მაყურებელთა, თოჯინების, პანტომიმის თეატრებად და სხვ.

საკონცერტო ორგანიზაციების შემადგენლობაში

შედის ფილარმონიები, დამოუკიდებელი საკონცერტო დარბაზები,საკონცერტო გაერთიანებები,რომლებიც ეწევიან საგასტროლო და საფესტივალო საქმიანობას.

დამოუკიდებელი საკონცერტო კოლექტივები შეიძლება იყვნენ ფილარმონიული და საესტრადო. ფილარმონიულ კოლექტივებს მიაკუთვნებენ სიმფონიურ ორკესტრებს, კამერულ ორკესტრებს და ანსამბლებს, ხალხური ინსტრუმენტების და სასულე ორკესტრებს,ხალხურ გუნდებს და სხვ. ცირკებს ყოფენ სტაციონარულ, მოძრავ (შაპიტო) ცირკებად, ზოოპარკებად და სხვ.

კულტურის თითოეული ორგანიზაცია განსაკუთრებულ როლს ასრულებს დარგში. კულტურის ორგანიზაციების მნიშვნელობა და ფუნქციები იცვლება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცვლილებების შესაბამისად.

საქართველოში კულტურის ორგანიზაციების მდგომარეობა და მუშაობის მაჩვენებლები 2000-2006 წლებში დახასიათებულია ქვემოთ.

ცხრილი 1.

მუზეუმების რიცხვი, დამთვალიერებელთა და გამოფენათა რაოდენობა საქართველოში

	2000 წ.	2003 წ.	2004 წ.	2006 წ.	2006 წ. %-ში 2000 წ.-
თან					
მუზეუმები სულ	101	112	116	111	109,9
მათ შორის: ისტორიულ-					
არქეოლოგიური	12	15	16	15	125,0
მემორიალური	34	40	41	42	123,5
მხარეთმცოდნეობის	38	38	38	37	97,3
ხელოვნების	12	14	16	13	108,3
ლიტერატურული	2	2	2	1	50,0
დარგობრივი	3	3	3	3	-
დამთვალიერებელთა რიცხვი, ათ. კაცი	376,3	412,5	274,8	301,0	80,0

[31.61]

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს,2006 წელს 2000 წელთან შედარებით მუზეუმების საერთო რიცხვი გაიზარდა 9,9%-ით მათ შორის: ისტორიულ-არქეოლოგიურისა – 25%-ით, მემორიალური მუზეუმებისა – 23,5%-ით, ხელოვნებისა – 8,3%-ით, მხარეთმცოდნეობის მუზეუმების რიცხვი კი შემცირდა 2,7%-ით, ლიტერატურული მუზეუმებისა – 50%-ით. დარგობრივი მუზეუმები კი იმავე რაოდენობის დარჩა. გაიზარდა აგრეთვე მოწყობილ გამოფენათა რაოდენობა 12,3%-ით, დამთვალიერებელთა რიცხვი კი 20%-ით შემცირდა.

საქართველოში თეატრების რაოდენობა 2000 წელთან შედარებით 2006 წ. გაიზარდა 10,8%-ით, მათ შორის: დრამატული მუსიკალური კომედიის და მინიატურების თეატრებისა – 11,1%-ით, მოზარდ

მაყურებელთა – 10%-ით, თოჯინებისა – 16,6%-ით, ოპერისა და ბალეტის თეატრებისა კი შემცირდა 33,4%-ით. შემცირდა აგრეთვე თეატრებში ადგილების რიცხვი 12,7%-ით, სპექტაკლზე დასწრებათა რაოდენობა – 50 %-ით,საშუალოდ ერთ სპექტაკლზე დასწრებათა რიცხვი შემცირდა ასევე 50%-ით.

ცხრილი 2.

თეატრების რაოდენობა, ადგილებისა და მაყურებელთა

	2000 წ.	2003 წ.	2004 წ.	2006 წ.	2006 წ. %-ში 2000 წ.-თან
თეატრები (პროფესიული) სულ	37	41	36	41	110,8
მათ შორის:					
ოპერისა და ბალეტის	3	3	3	2	66,6
დრამის, მუსიკალური კომედიის და მინიატურების	27	28	25	30	111,1
ბავშვთა და მოზარდ მაყურებელთა	1	1	1	2	200,0
თოჯინების	6	9	7	7	116,6
ადგილების რიცხვი, ათასი	15,8	15,2	11,1	13,8	87,3
სპექტაკლების რაოდენობა	2195	2988	2163	2279	103,8
ახალი სპექტაკლები სპექტაკლებზე დასწრებათა	49	71	80	92	187,7
რიცხვი, ათასი კაცი	508,2	301,2	250,3	256,0	50,0
საშუალოდ ერთ სპექტაკლზე დასწრებათა რიცხვი, ათასი კაცი	0,2	0,1	0,1	0,1	50,0

[31.62]

გაიზარდა ახალი სპექტაკლების რაოდენობა 87,7%-ით, სპექტაკლების საერთო რაოდენობა – 3,8%-ით, რაც კარგი მაჩვენებელია.

უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად გაუარესდა კულტურის დარგის ფუნქციონირების ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა, ბიბლიოთეკების მუშაობა, რაც ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

ცხრილი 3.

მასობრივი და უნივერსალური ბიბლიოთეკები,მკითხველთა, წიგნების და მუშაკთა რაოდენობა

	2000 წ.	2003 წ	2004 წ.	2006 წ.	2006 წ. %-ში 2000 წ.-თან
მასობრივი და უნივერსალური ბიბლიოთეკები	2208	2123	2090	2056	93,1
მკითხველთა რაოდენობა, ათასი კაცი	2409,5	1421,3	1528,9	1566,1	65,0
მკითხველთა რიცხოვნობა საშუალოდ ერთ ბიბლიოთეკაზე	1091,3	669,5	731,5	761,7	69,8
ეგზემპლარების რაოდენობა მლნ.	31,1	29,6	28,5	28,3	90,9
მუშაკების რიცხოვნობა	4414	3819	3730	3727	84,4

[31.63]

როგორც ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, მასობრივი და უნივერსალური ბიბლიოთეკების მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა. ყველა მაჩვენებელი 2006 წლისა 2000 წელთან შედარებით საგრძნობლად გაუარესებულია, კერძოდ: ბიბლიოთეკების რიცხვი შემცირდა 6,9%-ით, მკითხველთა რაოდენობა – 35%-ით, მკითხველთა რაოდენობა საშუალოდ ერთ ბიბლიოთეკაზე – 30,2%-ით, წიგნების ეგზემპლარების რაოდენობა – 9,1%-ით, ხოლო მუშაკთა რიცხოვნობა – 15,6%-ით.

არასასურველი ტენდენცია შეინიშნება კულტურის საქმიანობის ისეთ სფეროში, როგორიცაა: წიგნების, ჟურნალების და გაზეთების გამოცემა (იხ. ცხრილი 4).

2006 წელს 2000 წელთან შედარებით შემცირდა წიგნებისა და ბროშურების გამოცემის ტირაჟი 25%-ით, გამოცემული გაზეთების რიცხვი – 96 ერთეულით, ანუ 52,2%-ით, გაზეთების წლიური ტირაჟი – 54,6%-ით, გაზეთების ერთჯერადი ტირაჟი – 54,6%-ით, ხოლო ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების წლიური ტირაჟი კი გაიზარდა 57%-ით.

ცხრილი 4. წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების გამოცემა

	2000 წ.	2003 წ.	2004 წ.	2006 წ.	2006 წ. %-ში 2000 წ.-თან
წიგნებისა და ბროშურების ტირაჟი, მლნ. ეგზემპლარი	0,4	0,3	0,3	0,3	0,75
ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების წლიური ტირაჟი, მლნ. ეგზემპლარი	0,7	1,1	0,7	1,1	157
გამოცემული გაზეთების რიცხვი	184	175	122	88	47,8
გაზეთების ერთჯერადი ტირაჟი, მლნ. ეგზემპლარი	0,6	0,9	0,6	0,4	66,6
გაზეთების წლიური ტირაჟი, მლნ ეგზემპლარი	39,4	29,6	35,4	17,9	45,4

[31.63]

2.3. კულტურის ორგანიზაციების გაადგილების პრინციპები, ფაქტორები და განვითარების ძირითადი ტენდენციები

ისევე როგორც ყველა საწარმოს და ორგანიზაციას, კულტურის ორგანიზაციებსაც გააჩნიათ მათი განლაგების პრინციპები და მასზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები.

განლაგების მთავარი პრინციპებია:

– სამეურნეო და სოციალ-კულტურული დანიშნულების ობიექტების განვითარებას შორის ოპტიმალური პროპორციების დაცვა;

– მოსახლეობის ყველა ფენისათვის კულტურული სიკეთის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

– ქვეყნის რეგიონების მიხედვით კულტურული სიკეთით უზრუნველყოფის დონეთა დაახლოება;

– ეროვნულ კულტურათა თანაბარუფლებიანი განვითარება.

კულტურის ობიექტების განლაგებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებია:

– დასახლებული ადგილის ტიპი (ქალაქი, სოფელი, დაბა);

– დასახლებული ადგილის ადმინისტრაციული სტატუსი;

– მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი სიმჭიდროვე;

– მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურა (ასაკი, სქესი, განათლების დონე);

– ტერიტორიის ისტორიული და კულტურული ტრადიციები;

– ბუნებრივ-კლიმატური პირობები;

– ეროვნულ წეს-ჩვეულებათა თავისებურებები;

– რეგიონში ეკონომიკური სიტუაცია;

– გეოგრაფიული მდებარეობა, კერძოდ, მსხვილ კულტურულ ცენტრთან სიახლოვე;

– საკურორტო სტატუსი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა კულტურის დაწესებულებების საერთო რაოდენობას, არამედ

ამ დაწესებულებათა მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებელს. მისი ანალიზისათვის გამოიყენება „ქსელური მაჩვენებლები“, რომლებიც იყოფა მარტივ და რთულ მაჩვენებლებად.

მარტივი (აბსოლუტური) ქსელური მაჩვენებლები ასახავს კულტურული დაწესებულებების საერთო რიცხოვნობას,ხოლო რთული ქსელური მაჩვენებლები გამოხატავს შეფარდებით სიდიდეებს. მაგალითად, კულტურის დაწესებულებების რიცხვი ყოველ 1000 ან 10000 მცხოვრებზე დასაჯდომი ადგილების რაოდენობა ყოველ 1000 ან 10000 მცხოვრებზე ან კულტურის ერთ დაწესებულებაზე. ასეთ რთულ ქსელურ მაჩვენებლებს ჩვენს ზემოთ განხილულ ცხრილებში წარმოადგენს მუზეუმებში დამთვალიერებელთა რიცხვი თითოეულ გამოფენაზე. თუ 2000 წ. თითოეულ გამოფენას ჰყავდა 1161 დამთვალიერებელი, 2006 წლისათვის იგი 820-მდე, ანუ 30 პროცენტით, შემცირდა. ასევე მაჩვენებლებია თეატრებში ერთ სპექტაკლზე დასწრებათა რიცხვი,რაც 2006 წლისათვის 2000 წელთან შედარებით 0,2 ათასიდან 0,1 ათას კაცამდე,ანუ 50%-ით,შემცირდა,მასობრივ და უნივერსალურ ბიბლიოთეკებში მკითხველთა რაოდენობა, რომელიც საშუალოდ ერთ ბიბლიოთეკაზე 2006 წელს 2000 წელთან შედარებით შემცირდა 1091-დან 761-მდე, ანუ 30,2%-ით.

კულტურისა და ხელოვნების დარგის განვითარების ძირითადი ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

– დარგობრივი „ვერტიკალის“ – კულტურის მართვის ორგანოების იერარქიის ფორმირება ფედერალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე;

– არასასურველი ძვრები დარგში, რაც მდგომარეობს კულტურის მასობრივი დაწესებულებების: ბიბლიოთეკების, კლუბების, კულტურისა და დასვენების პარკის ქსელის შემცირებაში;

– დივერსიფიკაცია და ინტეგრაცია, ანუ, კულტურის ახალი ტიპის დაწესებულებების განვითარება, რომლებიც ერთდროულად გამოიყენებენ საქმიანობის სხვადასხვა ფორმას, ტრადიციულად მიეკუთვნებოდნენ კულტურის

სხვადასხვა სახის დაწესებულებებს, სოციალურ სფეროს დარგებს, დასვენების ცენტრებს, ესთეტიკურ ცენტრებს, სოციალურ კულტურულ და კულტურულ სპორტულ კომპლექსებს და სხვ.;

– კულტურის ალტერნატიული ორგანიზაციების განვითარება, კულტურაში კერძო სექტორის ფორმირება; საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გაერთიანებების სპექტრის გაფართოება;

– კულტურის ორგანიზაციების დაყოფა კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებად, კომერციული სექტორის განვითარება,რომელიც განიხილავს კულტურის საქმიანობას, როგორც ბიზნესის ერთ-ერთ სახეს;

– კულტურის არაკომერციულ სახელმწიფო ორგანიზაციებში დაფინანსების არატრადიციული არასაბიუჯეტო წყაროების გამოჩენა, როგორიცაა: შემოსავლები საავტორო უფლებების რეალიზაციიდან, შემოსავლები მეწარმეობიდან, სპონსორთა სახსრები, საქველმოქმედო ფონდების გრანტები და სხვ.;

– კულტურის საქმიანობის საბაზრო ინფრასტრუქტურის ელემენტების განვითარება თეატრალური სააგენტოების, პროდიუსერთა ფირმების,ბირჟების,ფონდების,კულტურისა და ხელოვნების არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სახით და სხვ.;

– კულტურის ორგანიზაციებისა და მართვის ორგანოების როლის ახლებური გააზრება,მათ საქმიანობაში თანამედროვე ინფორმაციული და მმართველობითი ტექნოლოგიების დანერგვა (სოციალურ-კულტურული დაპროექტება, ფანდრეიზინგი, საზოგადოებასთან კავშირი); კულტურის კადრებისადმი ახალი მოთხოვნები.

საკონტროლო კითხვები:

1. როგორია ეროვნული მეურნეობის დაყოფა სფეროებად და რა არის მისი საფუძველი?
2. როგორია კულტურის, როგორც ეკონომიკის დარგის, თანამედროვე კლასიფიკაცია?
3. როგორია კულტურის სფეროს კლასიფიკაცია იუნესკოს რეკომენდაციების მიხედვით?
4. როგორია კულტურის სფეროს დაყოფა საქმიანობის სახეების მიხედვით?
5. დაახასიათეთ კულტურა და ხელოვნება. როგორც დარგი და მისი სტრუქტურა.
6. დაახასიათეთ კულტურის ორგანიზაციები.
7. შეაფასეთ კულტურის ორგანიზაციების დინამიკა საქართველოში 2000-2006 წლებში.
8. რომელია კულტურის ორგანიზაციების გადააგილების პრინციპები და მასზე მოქმედი ფაქტორები?
9. რა ძირითადი ტენდენციებია კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში საქართველოში თანამედროვე ეტაპზე?

თავი 3. კულტურის სფეროს რესურსები

3.1. რესურსების არსი და მისი სახეები კულტურაში

ეკონომიკური აზროვნების ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ ეკონომისტები საგნებსა და მოვლენებს განიხილავენ დანახარჯი-შედეგის პრინციპით. ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების წარმოება მოითხოვს ეკონომიკური რესურსების ხარჯვას. ამ რესურსებს კი ღირებულება (ფასი) გააჩნიათ. სამაგიეროდ, რესურსების გამოყენებით შექმნილი დოვლათიც უნდა გაიყიდოს განსაზღვრულ ფასში. სწორედ ამ ფასების ურთიერთშედარება გვიჩვენებს, ხელსაყრელია თუ არა ის საქმიანობა,რასაც ჩვენ მოვკიდეთ ხელი. სიტყვა „რესურსი“ ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს დამხმარე საშუალებას, წყაროს. აქედან გამომდინარე, კულტურის რესურსის სახით შეიძლება განვიხილოთ საშუალებები, შესაძლებლობები, რომლებიც გამოიყენება კულტურული სიკეთისა და ფასეულობების შექმნისა და მოხმარებისათვის.

კულტურის რესურსები იყოფა წარმოებისა და მოხმარების რესურსებად. წარმოების რესურსები, თავის მხრივ, შედგება ეკონომიკური რესურსებისა და სხვა რესურსებისაგან.

ეკონომიკური რესურსებია:

ბუნებრივი,

შრომითი,

მატერიალური,

ფინანსური.

ეკონომიკური რესურსების ძირითადი მახასიათებლებია: შეზღუდულობა, გაზომვადობა, დაგროვების უნარი.

სხვა რესურსებია:

– ინტელექტუალური,
– შემოქმედებითი,
– დროითი,
– ინფორმაციული,
– სამართლებრივი,
– სივრცობრივი,
– მმართველობითი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

შრომით რესურსებში იგულისხმებიან ადამიანები (მათი შრომა), რომლებიც დასაქმებულნი არიან „კულტურასა და ხელოვნებაში“. მათ ახასიათებთ განათლების შედარებით მაღალი დონე, უპირატესად – გონებრივი შრომა, შრომის ინტელექტუალური ხასიათი.

მატერიალური რესურსებია – ძირითადი და საბრუნავი ფონდები, ანუ, იმავე კულტურის ნივთობრივი საშუალებები.

ძირითადი ფონდები ორგანიზაციის ქონების ის ნაწილია, რომელიც გამოიყენება მრავალჯერად,უცვლელი ნივთობრივი ფორმით და თავისი ღირებულება თანდათანობით გადააქვს შექმნილ პროდუქციაში.

საბრუნავი ფონდები ორგანიზაციის ქონების ნაწილია, რომელიც მთლიანად მოიხმარება ერთ საწარმოო ციკლში და თავისი ღირებულება მთლიანად გადააქვს შექმნილ პროდუქციაში.

ძირითადი ფონდები იყოფა აქტიურ და პასიურ ფონდებად. აქტიურია ფონდების ის ნაწილი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საქმიანობის განხორციელებაში (ტექნიკური საშუალებები,დანადგარები). პასიური ძირითადი ფონდებია: შენობები,ნაგებობანი,და სხვა,რომლებიც ხელს უწყობენ და ქმნიან პირობებს კულტურული საქმიანობის განხორციელებისათვის. დადებითი ტენდენციაა ფონდების აქტიური ნაწილის ზრდა, რაც დიდ გავლენას ახდენს კულტურული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

კულტურის სფეროს ძირითადი და საბრუნავი ფონდები შეადგენენ ე. წ. კულტურის ინდუსტრიას. კულტურის ინდუსტრიას უწოდებენ კულტურული ფასეულობების წარმოებისა და მომსახურების სამრეწველო სერიული ორგანიზების საშუალებებს. კულტურულ ინდუსტრიაში საერთოდ უფრო მეტად შეიმჩნევა კულტურის მაღალხარისხოვანი პროდუქციის შექმნისათვის სახსრების დაბანდების ზრდის მკვეთრად გამოხატული ტენდენცია, ვიდრე სხვა დარგებში.

კულტურული ინდუსტრიის პროდუქტებს მიეკუთვნება:

– მუსიკალური ინსტრუმენტები, როგორც საშუალება, რომლის დახმარებითაც რაღაც იქმნება და როგორც მაყურებლის წინაშე ნაწარმოებების შესრულების საშუალება;

– აპარატურა გადაღებისათვის, ჩანაწერებისათვის და მხატვრული ნაწარმოებების კვლავწარმოებისათვის;

– მხატვრული შემოქმედების პროცესისათვის ან სერიულ წარმოებაში ტირაჟირებული ნაწარმოებებისათვის აუცილებელი მასალები;

– სერიული, ტირაჟირებული მხატვრული ნაწარმოებები გრამაფონის ფირფიტების,აუდიოკასეტების,ვიდეოკასეტების, კინოფილმების,რეპროდუქციების,გრაფიკული ნაწარმოებების და სხვათა სახით.

საერთოდ, კულტურის ინდუსტრია კულტურული ფასეულობების წარმოებისა და მომსახურების გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. კულტურულ ინდუსტრიაში შეიმჩნევა კულტურის მაღალხარისხოვანი პროდუქტების წარმოების და მათი შემქმნელების მატერიალური წახალისების მკვეთრად გამოხატული ტენდენცია. სწორედ ამის გამო კულტურის ინდუსტრია ახერხებს მოთხოვნების დაკმაყოფილებას მაღალი ხარისხის კულტურის პროდუქტებზე ისე,რომ ამას მსხვერპლად არ სწირავს მის ხარისხს.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში ჯერჯერობით არაა განვითარებული კულტურის ინდუსტრია, რის გამოც ჩვენს ბაზარზე არ არსებობს საკუთარი წარმოების აპარატურა, პროფესიული ტექნიკა და კულტურის ინდუსტრიის სხვა ელემენტები.

ფინანსური რესურსები ყველა ფულადი სახსრების ერთობლიობაა, რომელიც არის ორგანიზაციის განკარგულებაში და წარმოდგენილია საბანკო და სალაროში მყოფი სახსრებით.

ბუნებრივი რესურსებია მიწის, წყლის და სხვა ბუნებაში, არსებული რესურსები, რომლებიც გამოიყენება კულტურული სიკეთის შექმნის პროცესში და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კულტურისა და დასვენების პარკების, ზოოპარკების, ლანდშაფტური მუზეუმ-ნაკრძალების საქმიანობაში.

ინტელექტუალური რესურსები განისაზღვრება სპეციალისტების განათლებულობის დონით, კომპეტენციით, ცოდნით, რეალიზდება შემოქმედებითი რესურსების მეშვეობით.

შემოქმედებითი რესურსები ხასიათდება ადამიანთა ტალანტის ზომით, შემოქმედებითი მუშაკების საშემსრულებლო ხელოვნებით, მხატვრული, ისტორიული და მეცნიერული ფასეულობებით. უნდა აღინიშნოს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ტრადიციების შემოქმედებითი რესურსების უნიკალური, სტრატეგიული ხასიათი, მათი ზემოქმედება ადამიანის ემოციონალურ მდგომარეობაზე.

დროითი რესურსები – კულტურის ორგანიზაციების მუშაობის პერიოდი, სეზონი და რეჟიმი. დიდი მნიშვნელობა აქვს ღონისძიებათა დაწესებისა და დამთავრების დროს, მათ „ასაკს“, ინოვაციური სოციო-კულტურული და მმართველობითი ტექნოლოგიების თავისდროულ დანერგვას. ინფორმაციული რესურსები მოიცავენ სამუზეუმო და საბიბლიოთეკო ფონდებს, არქივებს და კულტურის ორგანიზაციების მონაცემების ბაზებს, სტატიებს და რეცენზიებს, აფიშებს, ბუკლეტებს, ინტერნეტის ინფორმაციას, როგორც დამაკავშირებელ რგოლს შემოქმედებით და ინფორმაციულ რესურსებს შორის.

სამართლებრივი რესურსები საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ერთობლიობაა, რომელიც მოიცავს:

საერთაშორისო აქტებს,

საქართველოს კონსტიტუციას,

პრეზიდენტის ბრძანებულებებს,

მთავრობის დადგენილებებს,

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების (სამინისტროები, უწყებები) აქტებს,

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აქტებს.

სივრცითი რესურსები – ეს ადგილის სპეციფიკაა, რომელიც წარმოიქმნება კულტურული პოტენციალების, ტერიტორიების, ცხოვრების სტილის, მოსახლეობის

განსხვავებულობის გამო.

მმართველობითი რესურსები ხელმძღვანელის თვისებების, უნარის, ნიჭის ნაკრებია, რომლებიც საშუალებას აძლევს მას, ეძებოს და გამოიყენოს რესურსების უკეთესი შერწყმა, შეთანაწყობა კულტურული სიკეთის შესაქმნელად, მიიღოს თანმიმდევრული გადაწყვეტილებები, შექმნას და გამოიყენოს სიახლეები, წავიდეს დასაშვებ, გამართლებულ რისკზე. მმართველობითი რესურსები – ეს არის ანალიტიკური, კოორდინაციული და ორგანიზაციული კომპონენტების შეთანაწყობა. წარმატების ძირითადი ფაქტორებია: აქტიური საჯარო პოლიტიკა და პასუხისმგებლობითი ფინანსური მენეჯმენტი. კულტურის სფეროს რესურსები ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან გარკვეულ რაოდენობრივ და თვისებრივ ურთიერთობაში. თანამედროვე ეტაპზე შეიმჩნევა ტრადიციული ეკონომიკიდან სინერგეტიკული, თვითგაფართოებადი რესურსებისაკენ (ინფორმატიკა, სამართალი, საჯაროობა, ადგილის სპეციფიკა) გადასვლის ტენდენცია.

3.2. კულტურული საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფა

ინფორმაცია არის ნებისმიერი შეტყობინება რაიმე მოვლენის შესახებ. იგი უნდა მოგროვდეს, დამუშავდეს და მისგან მიღებული საბოლოო მაჩვენებლები გამოყენებულ იქნეს ანალიზის, კონტროლის, დაგეგმვისა და მართვისათვის.

ინფორმაციის მოგროვების ძირითადი მეთოდებია:

– სტატისტიკური აღრიცხვა,

– საბუღალტრო აღრიცხვა,

– სოციოლოგიური გამოკვლევები (გამოკითხვა, ინტერვიუ),

– შემოქმედებითი ინფორმაციის მატერიალური მატარებლების შესწავლა.

თითოეულ ამ მეთოდს აქვს თავისი გამოყენების ადგილი და მაჩვენებლები.

რეგულარული სტატისტიკური დაკვირვება იყენებს

კულტურის განვითარების ისეთ მონაცემებს, რომლებიც ინარჩუნებს შეფარდებით მემკვიდრეობითობას,მოსაპოვებლად მარტივია; შეესაბამება სახელმწიფო დონეზე დამტკიცებულ პრიორიტეტებს; განსაზღვრულია როგორც სტატისტიკური, ისე კულტურის უწყებების შესაბამისი ნებართვით; უწყებათაშორისი ხაზით შეთანხმებულია ერთმანეთთან, შესადარისია და ურთიერთშემცვლელი; არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

ერთდროული სტატისტიკური გამოკვლევები საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ კულტურის განვითარების ისეთ მაჩვენებლებზე, რომლებიც წარმოადგენენ ინფორმაციას მოვლენებზე,ადრე უცნობს კულტურაში,ავსებენ ტრადიციულ სტატისტიკურ მონაცემებს, საერთო ინფორმაციას; გამოხატავენ სუბიექტების კვლევით და პროგნოზულ ინტერესებს ინფორმაციის მიღებაში.

საბუღალტრო აღრიცხვა იძლევა მონაცემებს კულტურის განვითარების ისეთ მაჩვენებლებზე, რომლებიც:

– ქმნის მეტნაკლებად სრულ სარწმუნო წარმოდგენას შესასწავლი ობიექტის სამეურნეო საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

– უზრუნველყოფს მატერიალური,შრომითი და ფინანსური რესურსების არსებობისა და მოძრაობის აღრიცხვასა და კონტროლს ყველა ორგანიზაციისათვის ერთიანი მეთოდიკით საკუთრების ფორმების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

სოციოლოგიური გამოკვლევები ორიენტირებულია კულტურის მოთხოვნათა,პიროვნების,ინდივიდის კულტურის საქმიანობასთან შეხების დონის და ფორმების შესწავლაზე. სოციოლოგიური გამოკვლევების მიზანს კულტურაში შეადგენს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ჯგუფის ურთიერთობის გამოვლენა კულტურულ ფასეულობებთან და სიკეთესთან მიმართებაში.

როგორც ყველა სფეროში,კულტურაშიც აუცილებელია მონიტორინგი.

მონიტორინგი საერთოდ და მათ შორის კულტურის სფეროში ნიშნავს ნებისმიერი ობიექტის მდგომარეობაზე

სპეციალურად ორგანიზებულ სისტემატურ დაკვირვებას ან გამოკვლევას, რომელიც ითვალისწინებს მონაცემების ერთიანი სისტემის შექმნას,მოგროვებას,შენახვას,შემუშავებას და გავრცელებას. კულტურის სფეროში შეინიშნება მიმდინარე პროცესებზე სტატისტიკური დაკვირვების მეთოდების უპირატესობა, ინფორმაციის მოგროვების არსებული მეთოდების განცალკევებულობა. აუცილებელია აგრეთვე მონიტორინგის ახალი საინფორმაციო სისტემის შემუშავება.

მონიტორინგის ამოცანაა კულტურის სფეროს ფუნქციონირების სწორი სურათის შექმნა მინიმალური ორგანიზაციულ-ეკონომიკური დანახარჯებით. მისი ობიექტებია:

– კულტურული ორგანიზაციები საკუთრების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების და უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად;

– კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები;

– ფიზიკური პირები – კულტურულ ფასეულობათა შემქმნელები და შემგროვებლები;

– კულტურული საქმიანობის არაინსტიტუციური ფორმები;

– კულტურული საქმიანობის ინფრასტრუქტურა;

– მოსახლეობა,როგორც კულტურული და ინფორმაციული სიკეთის მომხმარებელი.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის რესურსები,როგორ ჯგუფდებიან ისინი და მათი სახეები კულტურაში?
2. რა არის კულტურის ინდუსტრია და რა მიეკუთვნება მას?
3. რა არის ინფორმაცია, როგორია მისი მოგროვების მეთოდები კულტურაში და დაახასიათეთ თითოეული მათგანი.
4. რა არის მონიტორინგი, მისი ამოცანა და ობიექტები კულტურაში?

თავი 4. შრომა და მისი შედეგები კულტურაში

4.1. შრომის სპეციფიკა კულტურის სფეროში

როგორც საერთოდ ცნობილია, წარმოების პროცესების ძირითად ელემენტებს მიეკუთვნება: შრომის საგანი, შრომის საშუალება და თვით შრომა. შრომის პროცესის შინაარსი კულტურაში უფრო ნათლად ვლინდება მატერიალურ წარმოებასთან შედარებით.

მატერიალური წარმოებაში წარმოების პროცესი არის ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე, ადამიანი გარდაქმნის ბუნებას და იყენებს თავის სასარგებლოდ. შრომის საგანი არის ბუნების ნივთები უშუალოდ ან გარდაქმნილი სახით, შრომის საშუალებები – შენობა-ნაგებობანი, მანქანა-დანადგარები, მოწყობილობანი და სხვ. შრომის პროცესია თვით ადამიანის ზემოქმედება შრომის საგანზე შრომის საშუალებების გამოყენებით.

კულტურაში შრომის საგნად გამოდის თვით ადამიანი. შრომის საშუალებების სახით აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს კულტურულ'ფასეულობათა და სიკეთის შემქმნელთა შემოქმედებითი პოტენციალი. დიდია პიროვნული ფაქტორის მნიშვნელობა. მუშაკები გამოირჩევიან ინდივიდუალობით. ტექნიკურ საშუალებებს დამხმარე როლი განეკუთვნება. ცოცხალი შრომისა და ტექნიკურ საშუალებათა ურთიერთშეცვლის შესაძლებლობა შეზღუდულია.

შრომა უსათუოდ კვალიფიციურია, შემოქმედებითია, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ნიჭს, უნარს, სპეციალურ მომზადებას, განათლების უფრო მაღალ დონეს.

წარმოების პროცესი არის ადამიანის უშუალო ზემოქმედება ადამიანზე, კულტურული ფასეულობების და სიკეთის წარმოების ინტელექტუალიზაცია. ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი იზრდება.

შრომის,ანუ საქმიანობის,შედეგები კულტურაში შეიძლება დაიყოს უშუალო და საბოლოო შედეგებად. უშუალო შედეგი – ეს არის შექმნილი კულტურული სიკეთე,საბოლოო შედეგი

– ეს არის ამ სიკეთისგან მიღებული საბოლოო სიკეთე – ადამიანთა კულტურული კეთილდღეობის დონის ამაღლება. სხვანაირად,კულტურული საქმიანობის საბოლოო შედეგად კულტურის სფეროში ითვლება ის ცვლილებები,რომელსაც კულტურა იწვევს საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ შემეცნებაში და გამოიხატება სოციალურ ფასეულობათა და იდეალების გავრცელებაში, პიროვნების ფორმირებაში, ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში და სხვ. დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის საშუალებებით ქვეყნის, მისი რეგიონების და ა. შ. პოზიტიური იმიჯის შექმნას. კულტურა მთლიანად ქვეყნის და მისი ცალკეული ტერიტორიის განვითარების, მის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი რესურსია, კულტურის საზოგადოებრივად ღირებული საბოლოო შედეგების – სოციალური ეფექტის პირდაპირი რაოდენობრივი გაზომვა, შეფასების სტანდარტული პროცედურების გამოყენება სირთულესთან არის დაკავშირებული. საჭიროა კულტურის სოციალური შედეგიანობის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ძიება. შესაძლებელია ისეთი სოციოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა: გამოკითხვა, ანკეტირება,მოსახლეობის ინტერვიურება,პროფესიონალური ექსპერტიზა და სხვ.

4.2. კულტურული სიკეთე და მისი ტიპოლოგიები

კულტურული სიკეთე – ეს არის კულტურის ორგანიზაციის მუშაობის უშუალო შედეგი, საზოგადოებრივი სიკეთის სახესხვაობა,რომელიც შექმნილია ადამიანების კულტურული საქმიანობის შედეგად.

თეატრისათვის საქმიანობის უშუალო შედეგს წარმოადგენს სპექტაკლი,საკონცერტო ორგანიზაციებისათვის – კონცერტი, ცირკისათვის – წარმოდგენა, კინოთეატრისათვის – სეანსი, ბიბლიოთეკებისათვის – წიგნების,პერიოდული გამოცემების გაცემა, საინფორმაციო მომსახურების გაწევა და სხვ.

სხვადასხვა კულტურულ სიკეთეს აჯგუფებენ ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორიცაა: მოხმარებაში არდაშვება

და არადაპირისპირება.

არდაშვება ნიშნავს – არ დაუშვათ ის, რომ ხელი შეუშალო ინდივიდებს, პიროვნებებს, გამოიყენოს სიკეთე, შეზღუდო მათთვის სიკეთისადმი ხელმისაწვდომობა.

არადაპირისპირება – მოხმარებაში კონკურენციის არ არსებობაა. სიკეთის მოხმარება ერთი ადამიანის მიერ არ ამცირებს სხვების მიერ მათი გამოყენების შესაძლებლობას.

ამ ნიშნების მიხედვით გამოყოფენ საზოგადოებრივ და კერძო სიკეთეს.

საზოგადოებრივი (სოციალური) სიკეთე – ეს არის სიკეთე მოხმარებული ერთი პირის მიერ,მაგრამ იგი ხელმისაწვდომი რჩება სხვა პიროვნების მოხმარებისათვისაც.

კერძო სიკეთე – ეს არის სიკეთე, რომელიც მოიხმარება ერთი პირის მიერ და იმავე დროს არ შეიძლება მოხმარებული იქნას სხვა პირის მიერაც.

გარდა ამისა, არის აგრეთვე მერიტორული სიკეთე, რომელიც შემოვიდა ხმარებაში დაახლოებით 50 წლის წინათ. მერიტორიკის ცნება უშუალოდ გამომდინარეობს საზოგადოებრივი ინტერესებიდან,რომლებიც არ გამოვლინდება ინდივიდუალურ უპირატესობებში. მერიტორული სიკეთე ეწოდება სიკეთეს,რომელზედაც მოთხოვნა კერძო პირების მხრიდან ჩამორჩება საზოგადოებრივად სასურველს და სტიმულირდება სახელმწიფოს მიერ.

არსებობს სიკეთის სოციალური და ინდივიდუალური სარგებლიანობა, რომელზე დაყრდნობით გაკეთებულია კულტურული სიკეთის შემდეგი ტიპოლოგია:

ჯერ ერთი,კერძო სიკეთე,რაც მოიცავს ინდივიდუალურ სარგებლიანობას, მეორე, საზოგადოებრივი (სოციალური) სიკეთე. იგი მოიცავს სოციალურ სარგებლიანობას.

მესამე, კომუნალური სიკეთე მოიცავს ინდივიდუალურ სარგებლიანობას და კომუნალობას მოხმარებაში.

მეოთხე, შერეული კომუნალური სიკეთე – მოიცავს ინდივიდუალურ და სოციალურ სარგებლიანობას, აგრეთვე კომუნალობას მოხმარებაში.

კულტურის სფეროს პროდუქტის მეტი წილი არსებობს

შერეული და შერეულ-კომუნალური სიკეთის სახით, რომელსაც ახასიათებს ერთდროულად ინდივიდუალური და სოციალური სარგებლიანობა, აგრეთვე სოციალური სიკეთის სახით, რომელსაც აქვს მხოლოდ სოციალური სარგებლიანობა. სახელმწიფო ვალდებულია, მხარი დაუჭიროს ასეთი სიკეთის წარმოებასა და მოხმარებას.

მომსახურება კულტურული სიკეთის ძირითადი ფორმაა. კულტურის მომსახურება მიზანშეწონილი კულტურული საქმიანობაა, რომელიც არსებობს შრომის სასარგებლო ეფექტის ფორმით.

კულტურის მომსახურების თავისებურებებია:

– წარმოებული ეფექტის არამატერიალური ხასიათი;

– მომხმარებლის აქტიური მონაწილეობა მომსახურების წარმოებაში;

– მომსახურების ეფექტის გავლენა მომხმარებლის პიროვნებაზე;

– მომსახურების სივრცობრივ-დროითი ლოკალიზაცია.

კულტურული მომსახურების და მატერიალური წარმოების პროდუქტის თვისებრივი მახასიათებლები მეტად განსხვავებულია.

კულტურის მომსახურების სფეროს ძირითადი მახასიათებლებია:

– პროდუქტის არამატერიალური ფორმა, ბუნება;

– პროდუქციის ზუსტი რაოდენობრივი გაზომვის შეუძლებლობა;

– წარმოების ინდივიდუალური ხასიათი;

– არაეკონომიკური (ესთეტიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური) ფაქტორების განმსაზღვრელი მნიშვნელობა;

– მომსახურების სუსტი სტანდარტულობა, მისი განუმეორებელი ორიგინალობის გამო;

– წარმოებისა და მოხმარების ერთდროულობა და აქედან გამომდინარე პროდუქციის შენახვის,გადაადგილების შეუძლებლობა;

– მოხმარების კოლექტიური ხასიათი აღქმის ინდივიდუალობის შენარჩუნებასთან ან ერთად;

– მომსახურების ეფექტის დროში შეუზღუდავობა;

– პროდუქციის წარმოებაში მომხმარებლის აქტიური მონაწილეობა.

მატერიალური წარმოების სფეროს პროდუქციისათვის კი დამახასიათებელია:

– პრდუქციის მატერიალური სახე, ფორმა;

– პროდუქცია ექვემდებარება რაოდენობრივ გაზომვას;

– წარმოება ატარებს მასობრივ, სერიულ ხასიათს;

– განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ ფაქტორებს;

– ნაწარმის უნიფიკაციის, ანუ, თითოეულ ნაკეთობაში ერთნაირი თვისებებისაკენ მისწრაფების შესაძლებლობა;

– წარმოებისა და მოხმარების ერთმანეთისაგან დაცილება, პროდუქციის შენახვის და გადაადგილების შესაძლებლობა;

– პროდუქციის წარმოებაში მომხმარებლის პასიური როლი;

– პროდუქციის მოხმარების ინდივიდუალური ხასიათი;

– პროდუქციის ეფექტის შეზღუდულობა დროში.

კულტურული მომსახურება არის თვით პროდუქტის თვისებების, მისი მოხმარების პირობების ინტეგრაცია. კულტურის სხვადასხვა მომსახურება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემავსებელია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული პროდუქციის ახალი სახეობების გამოჩენა, კერძოდ, ინფორმაციული პროდუქტის და მომსახურებისა, მათ შორის ვირტუალური, აგრეთვე აზროვნებითი პროდუქტების როლის ამაღლება (იდეების წარმოება, კულტურული კოდების, ფასეულობების, ნიმუშების შექმნა და სხვ.).

კულტურული მომსახურების ხელმისაწვდომობა არის მოსახლეობის შესაძლებლობა, მიიღოს კულტურული მომსახურება. კულტურული მომსახურების ხელმისაწვდომობის პირობებია:

– ფიზიკური-კულტურული მომსახურების, ანუ, მათი კომპლექსის მიღების შესაძლებლობა კონკრეტულ რეგიონში, დასახლებულ პუნქტში;

– ტერიტორიულ-კულტურული ორგანიზაციის

(მომსახურების) მიახლოება საცხოვრებელ ადგილთან;

– დროითი – დამოკიდებულება დროზე,რომელიც იხარჯება გზაზე და კულტურული მომსახურების მიღებაზე;

– ეკონომიკური – კულტურული მომსახურების მოხმარების შესაძლებლობა ფასების და მოსახლეობის შემოსავლების არსებული დონისას;

– ინტელექტუალური – მხატვრული გემოვნების, ინდივიდუალური ესთეტიკური განვითარების შესატყვისი დონე;

– ინფორმაციული – კულტურის მომსახურებასა და ორგანიზაციებზე ინფორმაციის არსებობა.

საკონტროლო კითხვები:

1. რა თავისებურებები ახასიათებს შრომას კულტურის სფეროში?
2. რა ითვლება კულტურული საქმიანობის საბოლოო შედეგად?
3. რა არის კულტურული სიკეთე და როგორ ჯგუფდება იგი?
4. როგორია კულტურული სიკეთის ტიპოლოგიები?
5. რა არის კულტურული მომსახურების და მატერიალური წარმოების სფეროს პროდუქციის დამახასიათებელი ნიშნები?
6. რა არის კულტურული მომსახურების ხელმისაწვდომობა და როგორია მისი სახეები?

თავი 5. კულტურის ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი

5.1. კულტურის ორგანიზაცია, როგორც სამეურნეო სუბიექტი, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და სახეები

კულტურის ორგანიზაციები,დაწესებულებები სამეურნეო სუბიექტებად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საერთო კანონზომიერებისადმი მათი დაქვემდებარების შედეგად ჩამოყალიბდნენ, რაც დიდი ხნის წინათ თეატრების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, არქივების, ნაციონალიზაციის, ანუ, განსახელმწიფოების გზით მოხდა. კულტურის ორგანიზაციებს სხვა მეურნეობრივ სუბიექტებთან აქვთ საერთო ნიშნები. ეს ნიშნებია: საქმიანობის მიზანი, საქმიანობის შედეგი,გარკვეული პროდუქტი ან მომსახურება, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს ადამიანთა მოთხოვნილება; საქმიანობის პროცესში ფულადი, მატერიალური, შრომით რესურსების მოხმარება, რომელთა ფულადი გამოხატულება შეადგენს დანახარჯებს; ამ რესურსების რაციონალური ხარჯვის, დანახარჯების ანაზღაურების და მიღებულ შედეგებთან შეთანაზომვის, პრინციპის დაცვა. საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია მარკეტინგული კომუნიკაციების მეშვეობით.

კულტურის ორგანიზაციებს, როგორც მეურნეობრივ სუბიექტებს, გააჩნიათ სპეციფიკური ნიშნებიც, როგორიცაა: სოციალურ-კულტურული მიზნების პრიორიტეტულობა ეკონომიკურთან შედარებით, ანუ, სოციალური მისიის შესრულება; საქმიანობის შემოქმედებით-საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო მხარეების შეთანაწყობა. კულტურის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, შემოქმედებითი საქმიანობა განიხილება,როგორც კულტურულ ფასეულობათა შექმნა. საწარმოო საქმიანობა ემსახურება შემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკურ უზრუნველყოფას, საფინანსო საქმიანობა – ფინანსური სახსრების მოზიდვას და გამოყენებას; მეურნეობრივი საქმიანობა გამოიხატება

შენობების ექსპლუატაციით და სხვ.

მეურნეობრიობის მიზნების მიხედვით კულტურის ორგანიზაციები იყოფა კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებად. კომერციულია კულტურის ის ორგანიზაციები, რომელთა ძირითადი მიზანია თავიანთი საქმიანობიდან მოგების მიღება.

მოგება მეურნეობრივი ორგანიზაციის ეფექტიანობის ერთ-ერთი განმაზოგადებელი მაჩვენებელია. იგი განისაზღვრება, როგორც პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და მის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეულ ყველა დანახარჯის ჯამს შორის სხვაობა. მეურნეობრივი საქმიანობის ეფექტიანობის განმაზოგადებელი მაჩვენებელია რენტაბელობაც. ორგანიზაციის რენტაბელობა გაიანგარიშება, როგორც თანაფარდობა მიღებულ მოგებასა და საწარმოო ფონდებს შორის,პროდუქციის რენტაბელობა კი – როგორც თანაფარდობა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასა და მის სრულ თვითღირებულებას შორის. წარმოების საერთო რენტაბელობა განისაზღვრება,როგორც თანაფარდობა ორგანიზაციის საბალანსო მოგებასა და ორგანიზაციის ძირითადი საწარმოო ფონდების და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების საშუალო წლიურ ღირებულებას შორის.

კომერციული ორგანიზაციების დადებითი მხარეა მნიშვნელოვანი მოგების მიღების შესაძლებლობა, დამოუკიდებლობა, მუშაკთა შრომის ანაზღაურების უფრო მაღალი დონე. მისი უარყოფითი მხარეა მნიშვნელოვანი სახელმწიფო მხარდაჭერის უქონლობა; არასტაბილურობა, რისკი,მომხმარებლის მოთხოვნასა და გადახდისუნარიანობაზე დამოკიდებულება; საგადასახადო სტატუსი, რომელიც არ ითვალისწინებს გადასახადებში შეღავათებს.

კომერციული ორგანიზაცია შესაძლებელია შეიქმნას შემდეგი ორგანიზაციული სამართლებრივი ფორმებით:

– მეურნეობრივი ამხანაგობები: სრული ამხანაგობები და რწმენაზე აგებული ამხანაგობები;

– მეურნეობრივი საზოგადოებები: საზოგადოებები

შეზღუდული პასუხისმგებლობით, სააქციო საზოგადოებები (ღია და დახურული);

– საწარმოო კოოპერატივები;

– სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები.

კულტურის სფეროში უპირატესი განვითარება მიიღო სახელმწიფო და მუნიციპალურმა უნიტარულმა საწარმოებმა, აგრეთვე სამეურნეო საზოგადოებებმა (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, სააქციო საზოგადოებები).

ორგანიზაციის კომერციული ხასიათი მკაცრად არ არის დაკავშირებული მისი საქმიანობის სახეებთან. კულტურაში ძირითადად კომერციული შეიძლება იყოს საკონცერტო ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან შოუბიზნესზე, გალერეები, არტ-ბიზნესი, კინოსტუდიები, რომლებიც აღჭურვილნი არიან თანამედროვე ტექნიკით, ცალკეული თეატრალური პროექტები, ცირკები და სხვ.

არაკომერციულია კულტურის ის ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიზანი არ არის მოგების მიღება და მისი განაწილება მომუშავეთა შორის. ასეთი ორგანიზაციების უპირატესობაა შედარებითი სტაბილურობა, ხელისუფლების ორგანოების მიერ კულტურის სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებების მხარდაჭერა. მათი უარყოფითი მხარეა სამეურნეო დამოუკიდებლობის შეზღუდვა; მუშაკთა შრომის ანაზღაურების უფრო დაბალი დონე, საქმიანობის უპირატესად არაკომერციული ხასიათი; საბიუჯეტო დაფინანსება და სხვ.

არაკომერციული ორგანიზაციები შეიძლება შეიქმნას შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებით:

– სამომხმარებლო კოოპერატივები;

– საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციები (გაერთიანებები);

– ფონდები;

– დაწესებულებები;

– იურიდიულ პირთა გაერთიანებები (ასოციაციები და კავშირები).

დაწესებულება თანამედროვე ეტაპზე კულტურის

ორგანიზაციის ძირითადი არაკომერციული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა.

დაწესებულების ქვეშ იგულისხმება არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია მესაკუთრის მიერ მმართველობითი, სოციალურ-კულტურული და არაკომერციული ხასიათის სხვა ფუნქციის შესასრულებლად და რომლის დაფინანსება ნაწილობრივ ან მთლიანად ხდება მესაკუთრის მიერ. დაწესებულება შეიძლება იყოს სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო, მათ შორის საზოგადოებრივი, რომელიც:

– მთლიანად ან ნაწილობრვ ფინანსდება მესაკუთრის მიერ;

– განკარგავს მასზე მიმაგრებულ ქონებას ოპერატიული მართვის უფლებით;

– პასუხს აგებს თავის ვალდებულებების მიხედვით მის განკარგულებაში მყოფ ფულად სახსრებზე. მათი უკმარისობის შემთხვევაში დამატებით პასუხისმგებლობას კისრულობს შესაბამისი ქონების მესაკუთრე. ცალკეული სახის დაწესებულებების სამართლებრივი დებულებების თავისებურებები განისაზღვრება კანონით ან სხვა სამართლებრივი აქტივებით.

ამჟამად კულტურის სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებები წარმოადგენენ საბიუჯეტო დაწესებულებას და ფუნქციონირებენ საბიუჯეტო წესების ნორმებში.

საბიუჯეტოა დაწესებულება, რომლის საქმიანობის დაფინანსება ხდება შესაბამისი ბიუჯეტიდან (ფედერალური სუბიექტის, ადგილობრივი ან სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდის ბიუჯეტიდან) შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

კულტურული შემოქმედების განხორციელებისათვის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას არაკომერციული ორგანიზაციის ისეთი ფორმები, როგორიცაა: კერძო დაწესებულებები, ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაციები,არაკომერციული პარტნიორობა; კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა პროფესიული ინტერესების დაცვით დაკავებულნი ფონდები; საზოგადოებრივი

ორგანიზაციები, ასოციაციები და კავშირები.

არაკომერციული ორგანიზაციების სახესხვაობაა საქველმოქმედო ორგანიზაცია. იგი არასახელმწიფო, არამუნიციპალური ორგანოა, რომელიც შექმნილია საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად მთლიანად საზოგადოების ან ცალკეულ პირთა ინტერესების სასარგებლოდ. საქველმოქმედო ორგანიზაციები იქმნება საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ფონდების, დაწესებულებების და სხვა ფორმით. საქველმოქმედო ორგანიზაცია შეიძლება შეიქმნას დაწესებულების ფორმით, თუ მისი დამფუძნებელი არის საქველმოქმედო ორგანიზაცია.

არაკომერციული ორგანიზაციების განმასხვავებელი ნიშნებია ის, რომ მათ აქვთ იურიდიული პირის უფლება; მოგების მიღება არ არის მათი ძირითადი მიზანი; შესაძლებელ მოგებას არ ანაწილებენ მონაწილეთა შორის და არ მიმართავენ მას ძირითადი საქმიანობის უზრუნველსაყოფად. ძირითადად ითვლება არაკომერციულ ორგანიზაციების საქმიანობა, რომელიც შეესაბამება მათი შექმნის მიზნებს, რაც გათვალისწინებულია სადამფუძნებლო დოკუმენტებით. არაკომერციულ ორგანიზაციებს შეზღუდული აქვს მეწარმეობრივი საქმიანობის უფლება.

მეწარმეობად ითვლება დამოუკიდებელი, რისკზე გათვლილი საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების სისტემატურ მიღებაზე. არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის საზოგადოებრივი კონტროლი უცხოეთში ხორციელდება სამეურვეო საბჭოების შექმნის გზით.

სამეურვეო საბჭო – მართვის ორგანოა, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას არაკომერციული ორგანიზაციის საქმიანობაზე შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. ჩვენს ქვეყანაში ამ ორგანომ ვერ მიიღო ფართო გავრცელება.

5.2. კულტურის არაკომერციული ორგანიზაციების დამფუძნებლების უფლება-მოვალეობები. კულტურის ორგანიზაციები, როგორც იურიდიული პირები

დამფუძნებლების უფლებებში შედის:

– ორგანიზაციის საქმიანობის მიზნის, პირობების და თანმიმდევრობის განსაზღვრა;

– წესდების და მისი ცვლილებების დამტკიცება;

– ხელმძღვანელის დანიშვნა და გათავისუფლება;

– შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება;

– ორგანიზაციის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება;

– ორგანიზაციის შექმნა, რეორგანიზაცია და გადაწყვეტილების მიღება მისი ლიკვიდაციის შესახებ;

– სოციალური დაცვა და სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფა;

– პირობების შექმნა კადრების მომზადების,პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

კულტურის არაკომერციულ ორგანიზაციებს აქვთ უფლებები:

– დამოუკიდებლად განახორციელონ შემოქმედებით-საწარმოო და ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობა საკანონმდებლო და დამფუძნებელი დოკუმენტებით დადგენილ ჩარჩოებში;

– დამფუძნებლებთან შეთანხმებით შექმნან ფილიალები და წარმომადგენლობები;

– შევიდნენ სხვადასხვა ასოციაციაში და კავშირში;

– განახორციელონ საერთაშორისო საქმიანობა კანონმდებლობის შესაბამისად.

არაკომერციული ორგანიზაციების ვალდებულებებია:

– განახორციელონ დამფუძნებლური დოკუმენტებით გათვალისწინებული საქმიანობის ძირითადი სახეობები;

– უზრუნველყონ მათზე მიმაგრებული ქონების დაცვა და ეფექტიანი გამოყენება;

– უზრუნველყონ მუშაკთა შრომის კანონმდებლობით

გარანტირებული ანაზღაურება, შრომის პირობები და სოციალური დაცვის ღონისძიებები;

– აწარმოონ ბუღალტრული და სტატისტიკური აღრიცხვა და ანგარიშიანობა კანონით გათვალსიწინებული წესით.

იურიდიულ პირად მიღებულია ორგანიზაცია, დაწესებულება, ფირმა (საწარმო), რომელსაც საკუთრებაში, სამეურნეო განკარგვაში ან ოპერატიული მართვის ქვეშ აქვს გამოცალკევებული ქონება და რომელიც პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე ამ ქონებით, აქვს უფლება, შეიძინოს, მოიხმაროს და განკარგოს საკუთრება, ასევე თავისი სახელით აწარმოოს ეკონომიკური ოპერაციები, სასამართლოში გამოვიდეს თავისი სახელით მოსარჩლის ან მოპასუხის სახით, აქვს დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა. იურიდიულ პირს აქვს თავის საწარმოს სახელწოდება, წესდება, ბეჭედი და ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში, დამოუკიდებელი ბალანსი. იურიდიული პირი გადის სახელმწიფო რეგისტრაციას და შეიტანება სახელმწიფო რეესტრში.

იურიდიულ პირს აქვს ძირითადი ნიშნები, რომელსაც მიეკუთვნება:

ორგანიზაციული ერთიანობა, რომელიც ვლინდება მისი სტრუქტურის გარკვეულ იერარქიაში, ქვედანაყოფთა ურთიერთდაქვემდებარებაში, მონაწილეთა შორის ურთიერთობის მკვეთრ რეგლამენტაციაში და სხვ.

ქონებრივი განცალკევებულობა – ეს არის შენობების, ნაგებობების, მოწყობილობის, ფულადი და სხვა სახსრების გაერთიანება ერთ ქონებრივ კომპლექსში და მისი გამოყოფა სხვა პირების კუთვნილი ქონებისაგან.

იურიდიული პირი გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიძლება არ ფლობდეს ქონებას. ასეთი ორგანიზაციების ქონებრივი განცალკევებულობა მდგომარეობს მათ უნარში, ფლობდეს განცალკევებულ ქონებას.

ქონებრივი განცალკევებულობის ხარისხი განსხვავებულია სხვადასხვა იურიდიული პირისათვის. ასე, მაგალითად, დაწესებულებები და სახელმწიფო საწარმოები განკარგავენ ქონებას ოპერატიული მართვის უფლებით, უნიტარული

საწარმოები – სამეურნეო გაძღოლის უფლებით. სხვა დანარჩენ კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებს მათ კუთვნილ ქონებაზე აქვთ საკუთრების უფლება.

საკუთარი სახელით სამოქალაქო ბრუნვაში გამოსვლა – ეს არის უნარი, შეიძინო და განახორციელო სამოქალაქო უფლებები და ატარო ვალდებულება, იყო სასამართლოში მომჩივანიც და მოპასუხეც.

სამოქალაქო უფლებები, ნივთობრივის გარდა, მოიცავს საავტორო უფლებებსაც (ქონებრივს და არაქონებრივს).

იურიდიულ პირს აქვს ფორმალური ნიშნებიც. ეს ნიშნებია:

იურიდიული მისამართი, ანგარიშსწორების ან პირადი ანგარიში, ბეჭედი,

სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ მოწმობა და ა. შ.

იურიდიული პირის უფლებები წარმოიშობა მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან, ანუ, ერთიან სახელმწიფო რეესტრში შეტანიდან და სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ მოწმობის გაცემიდან.

იურიდიული პირის დამფუძნებელი არის ორგანიზაციის დამაარსებელი, იურიდიული პირის ქონების შექმნის მონაწილე, რომელიც თავისთავზე იღებს ვალდებულებას დამფუძნებელთა დოკუმენტების თანახმად.

იურიდიული პირის დამფუძნებელი შეიძლება იყოს ხელისუფლების ფედერალური ორგანოები,ქვეყნის,სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები.

სადამფუძნებლო დოკუმენტებია – დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე იქმნება და მოქმედებს იურიდიული პირი. იგი მოქმედებს ან წესდების,ან კიდევ დამფუძნებლური ხელშეკრულებისა და წესდების,ან მხოლოდ დამფუძნებლური ხელშეკრულების საფუძველზე. კანონით გათვალისწინებულ იმ შემთხვევაში, როცა იურიდიული პირი არ წარმოადგენს კომერციულ ორგანიზაციას,შეიძლება იმოქმედოს მოცემული სახის ორგანიზაციის შესახებ საერთო დებულების საფუძველზე.

იურიდიული პირის სადამფუძნებლო ხელშეკრულება

იდება, ხოლო წესდება მტკიცდება დამფუძნებელთა მიერ. ერთი დამფუძნებლის მიერ შექმნილი იურიდიული პირი მოქმედებს ამ დამფუძნებლის მიერ დამტკიცებული წესდების საფუძველზე. გამონაკლისს შეადგენენ დაწესებულებები, რომელთათვის,წესდების გარდა,აუცილებელია მესაკუთრის გადაწყვეტილება.

იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტებში უნდა განისაზღვროს იურიდიული პირის დასახელება,მისი ადგილსამყოფელი, საქმიანობის მართვის წესი და სხვ.

არაკომერციული ორგანიზაციების და უნიტარული საწარმოების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა კომერციული ორგანიზაციების სადამფუძნებლო საბუთებში უნდა იყოს განსაზღვრული იურიდიული პირის საქმიანობის საგანი და მიზანი. ეს შეიძლება განისაზღვროს სადამფუძნებლო დოკუმენტებით იმ შემთხვევაშიც,როცა ეს კანონით არ არის სავალდებულო.

სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში დამფუძნებლები ვალდებულებას კისრულობენ შექმნან იურიდიული პირი, განსაზღვრავენ ერთობლივი საქმიანობის წესს,იურიდიული პირისათვის თავისი ქონების გადაცემის და მის საქმიანობაში მონაწილეობის პირობებს. ხელშეკრულებით განისაზღვრება აგრეთვე მონაწილეთა შორის მოგებისა და ზარალის განაწილების,იურიდიული პირის საქმიანობის მართვის,მისი შემადგენლობიდან დამფუძნებელთა (მონაწილეთა) გასვლის წესი და პირობები.

იურიდიული პირის მიერ საკუთარი დასახელების გამოყენება განასხვავებს მას ყველა დანარჩენი ორგანიზაციისაგან. იურიდიულ პირს, რომელიც არის კომერციული ორგანიზაცია, უნდა ჰქონდეს საფირმო დასახელება.

იურიდიულ პირს,რომელიც არ წარმოადგენს კომერციულ ორგანიზაციას,აქვს დასახელება,შეუძლია ჰქონდეს აგრეთვე ბლანკები თავისი დასახელებით და ემბლემა.

იურიდიულ პირს, რომლის საფირმო დასახელება, აგრეთვე ემბლემა დარეგისტრირებულია დადგენილი წესით, აქვს მისი გამოყენების უფლება.

პირი, რომელიც არამართებულად იყენებს სხვის მიერ დარეგისტრირებულ დასახელებას, ემბლემას, ფირმის მფლობელის მოთხოვნით ვალდებულია შეწყვიტოს მისი გამოყენება და აანაზღაუროს მიყენებული ზარალი.

საკონტროლო კითხვები:

1. რა საერთო და სპეციფიკური ნიშნები აქვს კულტურის ორგანიზაციებს სხვა სამეურნეო სუბიექტებთან?
2. მეურნეობრიობის მიზნის მიხედვით როგორ ჯგუფდება კულტურის ორგანიზაციები და დაახასიათეთ ისინი?
3. როგორი ფორმით იქმნებიან კულტურის კომერციული ორგანიზაციები და რომელ ფორმას აქვს უპირატესობა?
4. როგორი ფორმით იქმნებიან კულტურის არაკომერციული ორგანიზაციები და რომელია მათ შორის ძირითადი?
5. რა არის საქველმოქმედო ორგანიზაცია?
6. რა შედის კულტურის არაკომერციული ორგანიზაციების დამფუძნებლების უფლება-მოვალეობაში?
7. ვინ ითვლება იურიდიულ პირად კულტურაში და როგორია მისი ძირითადი ნიშნები?

თავი 6. საკუთრებითი ურთიერთობები კულტურაში

6.1. საკუთრება, მისი ობიექტები და სუბიექტები კულტურის სფეროში

საკუთრება არის ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც ხასიათდება წარმოების მონაწილეთა მიერ წარმოების ფაქტორების (რესურსები) და წარმოების შედეგების მითვისებით.

საკუთრება არის იურიდიული უფლება. საკუთრების უფლების შედგენილობა, როგორც წესი, არის ქონების ფლობის, გამოყენების და განკარგვის უფლება.

ფლობის უფლება – ეს არის ქონების საკუთრებაში ფაქტიური არსებობა და შენახვა.

გამოყენების უფლება – ეს არის ქონების ექსპლუატაციის შესაძლებლობა,მისგან სასარგებლო თვისებების გამოყენება და შემოსავლის მიღება.

განკარგვის უფლება – ეს არის მესაკუთრის შესაძლებლობა თავისი შეხედულებისამებრ და მისი ინტერესების სასარგებლოდ განახორციელოს მოქმედებები, რომლებიც განსაზღვრავენ ქონების იურიდიულ სტატუსს.

ისევე როგორც ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში, კულტურაშიც, საკუთრებას გააჩნია ობიექტები და სუბიექტები.

საკუთრების ობიექტებია:

ისტორიისა და კულტურის ძეგლები, კულტურული დანიშნულების ქონება, ფულადი სახსრები, ბუნებრივი რესურსები, ინტელექტუალური და შემოქმედებითი შრომის შედეგები.

საკუთრების სუბიექტებია:

საქართველოს რესპუბლიკა,საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები, მუნიციპალური წარმონაქმნები, იურიდიული პირები, ფიზიკური პირები, ანუ მოქალაქეები.

სპეციფიკურია ინტელექტუალური საკუთრება. იგი არის მოქალაქის ან იურიდიული პირის განსაკუთრებული უფლება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე და მათთან

გათანაბრებულ შესრულებული სამუშაოს ან მომსახურების პროდუქციის ინდივიდუალიზაციის საშუალებებზე (დასახელება ან საფირმო დასახელება, სასაქონლო ნიშანი, მომსახურების ნიშანი და ა. შ.).

სასაქონლო ნიშანი არის ოფიციალური წესით დარეგისტრირებული აღნიშვნები, რომელთა მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ ერთი იურიდიული ან ფიზიკური პირის საქონელი და მომსახურება მეორე იურიდიული ან ფიზიკური პირის საქონლისა და მომსახურებისაგან.

არსებობს აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებები.

საავტორო უფლება – ეს არის ინტელექტუალური საკუთრების უფლების ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ურთიერთობებს.

მომიჯნავე უფლებები – ეს არის უფლებები, რომლებიც არეგულირებენ ფონოგრამების, შესრულებების, დადგმების, საეთერო თუ საკაბელო მაუწყებლობათა ორგანიზაციების გადაცემების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

ავტორი – ეს არის ფიზიკურ პირი, რომლის შემოქმედებითი შრომითაც შექმნილია მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებები.

შემსრულებელი არის მსახიობი, მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც ასრულებს როლს, კითხულობს, მღერის, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე ან სხვა სახით ასრულებს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებს (მათ შორის საესტრადო, ცირკის ან თოჯინის ნომერს), აგრეთვე სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი და დირიჟორი.

საავტორო უფლებების სფეროში არსებობს საერთაშორისო კონვენციები. ესენია:

– ბერნის 1886 წ. 9 სექტემბრის კონვენცია ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ (1971 წ. რედაქციით);

– საავტორო უფლებაზე 1952 წ. 6 სექტემბრის ჟენევის (1971 წ. რედაქცია) საერთაშორისო კონვენცია;

– კონვენცია ფონოგრამების მწარმოებელთა ინტერესების დაცვის შესახებ მათი ფონოგრამების უკანონო კვლავწარმოებებისაგან (1971 წ.);

– რომის 1961 წლის კონვენცია და სხვ.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამდე მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში და, რა თქმა უნდა, მათ შორის საქართველოშიც, არსებობდა ძირითადად სახელმწიფო საკუთრება.

ამჟამად საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია საკუთრების მრავალი ფორმის არსებობა. საკუთრების მრავალი ფორმა არსებობს კულტურის სფეროშიც, როგორიცაა: კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალური და სხვ.

სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს ქონება, რომელიც სათანადო საფუძველზე ეკუთვნის სახელმწიფოს. სახელმწიფო საკუთრების უფლება განსაზღვრულია კანონით.

მუნიციპალურ საკუთრებას წარმოადგენს ქონება, რომელიც ეკუთვნის მუნიციპალურ წარმონაქმნებს. თანამედროვე კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალურ წარმონაქმნებს მიეკუთვნება: საქალაქო ან სასოფლო დასახელება, რაიონი, საქალაქო ოლქი ან ფედერალური მნიშვნელობის ქალაქის შიდასაქალაქო ტერიტორია. მუნიციპალური საკუთრებაც განსაზღვრულია კანონით. იგი არ არის სახელმწიფო საკუთრება.

კერძო საკუთრებაა ქონება, რომელიც იმყოფება მოქალაქეთა და იურიდიული პირების კუთვნილებაში.

კულტურის ორგანიზაციების კლასიფიკაცია საკუთრების ფორმების მიხედვით (სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო) არ ემთხვევა მათ დაყოფას მეურნეობრივი მიზნების მიხედვით (კომერციული და არაკომერციული). ხშირად თვლიან, რომ ყველა სახელმწიფო (მუნიციპალური) ორგანიზაცია წარმოადგენს არაკომერციულს, ხოლო კერძო – კომერციულს. სინამდვილეში შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო (მუნიციპალური) კომერციული ორგანიზაციები (უნიტარული საწარმოები,აქციონერული საზოგადოებები) და კერძო არაკომერციული ორგანიზაციები (არაკომერციული პარტნიორობა, ფონდები და სხვ.).

6.2. კულტურის დაწესებულებების გაძღოლის სპეციფიკა. განსახელმწიფოებრიობა (პრივატიზაცია) კულტურაში

მეურნეობის გაძღოლის და ოპერატიული მართვის უფლება არის ქონების განკარგვის უფლება. საკუთრების უფლება მისთვის მიმაგრებულ ქონებაზე უნარჩუნდება მესაკუთრეს. მას უფლება აქვს,ქონების გამოყენების შედეგად მიღებული მოგებიდან მიიღოს წილი. ორგანიზაციას არა აქვს უფლება, გაყიდოს ან იჯარით გასცეს მეურნეობრივი გაძღოლის უფლებით მისი კუთვნილი უძრავი ქონება, ასევე გასცეს გირაოს ქვეშ,შეიტანოს ამხანაგობების საწესდებო ფონდში შენატანების სახით ან სხვა სახით განკარგოს ეს ქონება მესაკუთრის თანხმობის გარეშე. მესაკუთრე ახორციელებს ორგანიზაციის კუთვნილი ქონების დანიშნულების მიხედვით გამოყენებასა და შენახვაზე კონტროლს. საკუთრების უფლება მიმაგრებულ ქონებაზე რჩება მესაკუთრეს.

ორგანიზაციას არა აქვს უფლება, გაასხვისოს ან სხვა ხერხებით განკარგოს მისთვის მიმაგრებული ქონება. ქონების მესაკუთრეს უფლება აქვს ამოიღოს ზედმეტად გამოუყენებული და არადანიშნულებით გამოყენებული ქონება და განკარგოს იგი მისი შეხედულებისამებრ.

სამეურნეო გაძღოლის უფლებით ქონება ეკუთვნის კულტურის სახელმწიფო ან მუნიციპალურ საწარმოს, ოპერატიული მართვის უფლებით – დაწესებულებას,რომლის დაფინანსება ხდება მესაკუთრის მიერ (სახელმწიფო მუნიციპალური წარმონაქმნი, იურიდიული ან ფიზიკური პირი), აგრეთვე სახელმწიფო საწარმოს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები (გაერთიანებები), საქველმოქმედო და სხვა ფონდები კულტურის სფეროში წარმოადგენენ მათ მიერ შეძენილი ქონების მესაკუთრეს და შეუძლიათ მათი გამოყენება მხოლოდ მიზნის მისაღწევად, რომელიც გათვალისწინებულია მათი სადამფუძნებლო დოკუმენტებით. ამ ორგანიზაციის დამფუძნებლები (მონაწილეები, წევრები) კარგავენ უფლებას ქონებაზე, რომელსაც ისინი გადასცემენ საკუთრებაში შესაბამის ორგანიზაციას.

წესდებით დადგენილი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით კულტურის დაწესებულებები ფლობენ ქონებას:

– მესაკუთრის მიერ დადგენილი წესით მიმაგრებულს.

– არსებული ფინანსური სახსრების ხარჯზე შეძენილს, მათ შორის იმ სახსრების ანგარიშზე, რომელიც ხარჯთაღრიცხვითაა გამოყოფილი, აგრეთვე დებულებით, წესდებით გათვალისწინებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე;

– მიღებულს ან შემოწირულს იურიდიული და ფიზიკური პირებიდან ჩუქებისა და შემოწირულობების სახით, აგრეთვე ანდერძით, ხელშეკრულებით ან სხვა საფუძველზე.

შენობები, ნაგებობები, ქონებრივი კომპლექსები, მოწყობილობა და სხვა ქონება, რომელსაც გადასცემს მესაკუთრე კულტურის დაწესებულებას, გადადის მის განკარგულებაში ოპერატიული მართვის უფლებით.

კულტურის დაწესებულებებისათვის იმ შენობა-ნაგებობების მიმაგრება, რომლებიც მიეკუთვნება ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, აგრეთვე ბუნებრივ კომპლექსებს და ობიექტებს, ხდება სახელმწიფო ორგანოების რწმუნებულთა მიერ მიღება-გადაცემის აქტის და დაცვის ვალდებულების საფუძველზე, რომელიც ფორმდება დაწესებულებებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის მხოლოდ ოპერატიული მართვის უფლებით.

კულტურის დაწესებულებები განკარგავენ ქონებას, რომელიც შეძენილია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სახსრებით, აგრეთვე წესდებით გათვალისწინებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე – ოპერატიული მართვის უფლებით.

კულტურის დაწესებულებების ქონება, რომელიც მას გადაცემული აქვს ჩუქებით ან ანდერძით, ხელშეკრულებით ან სხვა საფუძველზე, მიიღება ოპერატიული მართვის უფლებით.

სამუზეუმო, არქივების და ბიბლიოთეკების ფონდები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო მუზეუმების, არქივების, ბიბლიოთეკების, ფონდების ნაწილს და შენახვის განსაკუთრებულ რეჟიმის საგნებს, კულტურის დაწესებულებებს მიემაგრებათ მესაკუთრეების მიერ

მხოლოდ ოპერატიული მართვის უფლებით.

საგნები, რომლებიც წარმოადგენენ ისტორიულ, სამეცნიერო,მხატვრულ ან სხვა ფასეულობას,სახელმწიფო მუზეუმებისა და საბიბლიოთეკო ფონდებში ჩაირთვება მათი შეძენის წყაროს მიუხედავად და მათი ოპერატიული მართვის საზღვრები დგინდება რწმუნებული ორგანოს მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით.

ოპერატიული მართვის ქვეშ მყოფი ქონების შენახვასა და ეფექტიან გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებენ სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების მართვის შესაბამისი ორგანოები,აგრეთვე ის ორგანოები,რომლებსაც ეკისრებათ კულტურის დაწესებულებების საქმიანობის რეგულირება.

მიწის ნაკვეთი კულტურის დაწესებულებას გამოეყოფა უვადო სარგებლობაში,მისი არსებობის მთელი პერიოდისათვის კანონით გათვალისწინებული წესით.

პრივატიზაცია – ეს არის სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფი ქონების გადაცემა მოქალაქეთა და იურიდიული პირების კერძო საკუთრებაში.

განსახელმწიფოებრიობა – არის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ქონების გადაცემა მუნიციპალურ ან მოქალაქეთა და იურიდიული პირების საკუთრებაში.

განსახელმწიფოებრიობა და პრივატიზაცია ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის როლის შემცირებას კულტურის ობიექტების შენახვაში.

კულტურაში პრივატიზაციამ ვერ მიიღო საჭირო გავრცელება. საქართველოში კულტურის სფეროში კერძო სექტორი წარმოიშვა არა პრივატიზაციის შედეგად,არამედ დამოუკიდებლად ცალკეული სუბიექტების საკუთარი სურვილით და სახსრებით.

პრივატიზაციის პირობებია:

– კულტურული საქმიანობის შენარჩუნება სამუშაოს ძირითადი სახეობის მიხედვით;

– მომსახურების პროფილის შენარჩუნება;

– მოსახლეობის შეღავათიანი კატეგორიის მომსახურების ორგანიზაცია;

– მუშაკთა დადგენილი რიცხოვნობის სამუშაო ადგილების

და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა.

სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების ქონება შეიძლება გადაეცეს როგორც კომერციულ, ისე არაკომერციულ ორგანიზაციებს კერძო საკუთრებაში. ამგვარად, პრივატიზაცია კულტურაში შეიძლება იყოს კომერციული და არაკომერციული. კომერციული პრივატიზაციის მაგალითია საბიუჯეტო დაწესებულებების გარდაქმნა სამეურნეო საზოგადოებებად სახელმწიფო (მუნიციპალური) კაპიტალის მონაწილეობის გარეშე.

არაკომერციული პრივატიზაციის გატარება ითვალისწინებს ფედერალური კანონის მიღებას, რომელიც რეგლამენტირებას გაუკეთებს სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებების სხვა არაკომერციულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად გარდაქმნის მექანიზმს.

პრივატიზაცია შეიძლება გახდეს კულტურის სფეროში დამატებით ფინანსური წყაროების მოზიდვის ხერხი. ეს კი საბიუჯეტო სახსრების კულტურული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებით კონცენტრაციის შესაძლებლობას იძლევა.

საკონტროლო კითხვები:

1 რა არის საკუთრება?
2. როგორია საკუთრების უფლების შედგენილობა და დაახასიათეთ ისინი.
3. რომელია კულტურაში საკუთრების ობიექტები და სუბიექტები?
4. რა არის ინტელექტუალური საკუთრება, სასაქონლო ნიშანი, საავტორო და მომიჯნავე უფლებები?
5. ვინ არის ავტორი, შემსრულებელი?
6. საკუთრების რა და რა ფორმებია კულტურაში?
7. როგორია კულტურის დაწესებულებების გაძღოლის სპეციფიკა?
8. რა არის პრივატიზაცია და განსახელმწიფოებრიობა?
9. როგორია პრივატიზაციის პირობები კულტურაში?

თავი 7. მეურნეობის გაძღოლის სისტემა კულტურაში

7.1. კულტურის სფეროს სამეურნეო მექანიზმი. კულტურის ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობა

მეურნეობრიობის სისტემა კულტურის სფეროში ზოგადად შეიძლება განვსაზღვროთ როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაკუთრებული მხარე, რომელიც დაკავშირებულია კულტურის სფეროს ფუნქციონირებასთან და მისი განვითარების მართვასთან. კულტურის სფეროში მეურნეობრიობის დონეებია:

– ქვეყნის კულტურის სფერო;

– კონკრეტული ტერიტორიის კულტურის ორგანიზაციის ერთობლიობა;

– ქვედარგი (თეატრები, საკონცერტო ორგანიზაციები და სხვა);

– ცალკეული ორგანიზაცია.

კულტურის ორგანიზაციების სამეურნეო მექანიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც კულტურის ორგანიზაციების მართვის ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი და სხვა ფორმების, მეთოდების და ინსტრუმენტების ერთობლიობა. იგი აერთიანებს კულტურის ორგანიზაციების საქმიანობის მიზნებსა და მეთოდებს.

კულტურის ორგანიზაციების სამეურნეო მექანიზმი მთლიანი მეურნეობრიობის სისტემის შემადგენელი ნაწილია. ის განსაზღვრავს მის ბუნებას, ცვლილების ტენდენციას და სრულყოფის პრინციპებს,მაგრამ მას გააჩნია სპეციფიკური ნიშნები. კერძოდ: კულტურის ორგანიზაციების სამეურნეო მექანიზმი ასახავს მათთვის დამახასიათებელი შრომის რესურსების და შედეგების განსაკუთრებულობას (განუმეორებლობა,შედეგების განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობა,გაზომვის სირთულე და სხვ.); არაეკონომიკური, სოციალურ-კულტურული მიზნების უპირატესობა. კულტურის ორგანიზაციების საქმიანობის ეკონომიკური მხარე თუმცა მნიშვნელოვანია, მაგრამ არ განსაზღვრავს მათი მუშაობის

მთავარ შინაარსს, ატარებს დაქვემდებარებულ ხასიათს. აქ არსებული ეკონომიკური პრობლემების ანალიზი შეუძლებელია საქმიანობის შემოქმედებითი მხარისაგან მოწყვეტით.

კულტურის სფეროში ეკონომიკური ინტერესი იმ ორგანიზაციების კოლექტივების მრავალმხრივი ინტერესების შემადგენელი ნაწილია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება შემოქმედებითი განვითარებისადმი მოთხოვნილებაში. ამიტომ სამეურნეო მექანიზმისადმი პირველი ძირითადი მოთხოვნა არის კულტურის ორგანიზაციების შემოქმედებითი და ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალურად შესაძლებელი ურთიერთშეთანხმება, დაახლოება.

მეურნეობრიობა განიხილება როგორც ეკონომიკური ინტერესების (სახელმწიფოს, ორგანიზაციის, მუშაკთა) რეალიზაციის პროცესი. აღნიშნულ ინტერესებს შორის შესაძლებელია არასრული დამთხვევა, ხშირად წინააღმდეგობებიც. აქედან გამომდინარეობს სამეურნეო მექანიზმისადმი მეორე ძირითადი მოთხოვნა. კერძოდ: მეურნეობრიობის მექანიზმი მოწოდებულია, რომ იყოს სახელმწიფოს, კულტურის ორგანიზაციის და ცალკეული მუშაკის ეკონომიკური ინტერესების შეთანხმების საშუალება.

კულტურის ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი ნიშანია ის, რომ მის მიერ მოხმარებულ რესურსებს და მიღებულ შედეგებს აქვს რაოდენობრივი მხარე.

ეკონომიკურს მიეკუთვნება ყველა ის რესურსი, რომელიც შეიძლება რაოდენობრივად გაიზომოს და რომელთა მოცულობაც შეზღუდულია ამ რესურსებზე საზოგადოების მოთხოვნილებებთან შედარებით. ეკონომიკურ შედეგებს მიეკუთვნება ისეთი შედეგები, რომლებიც მიიღება აღნიშნული რესურსების გარდაქმნით და ექვემდებარება მაჩვენებლებით გაზომვას, რომლებიც ასახავენ საზოგადოების მოთხოვნილებას შესაბამისი კულტურული სიკეთის მისაღებად და საშუალებას იძლევიან ის კულტურული სიკეთე შევუდაროთ საწარმოო დანახარჯებს.

კულტურის ორგანიზაციების ეკონომიკურ საქმიანობაში შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი კომპონენტი:

– შეზღუდული, გაზომვადი რესურსების გარდაქმნის პროცესი გაზომვად შედეგებად;

– გაწეული დანახარჯებისა და მის შედეგად მიღებული შედეგების შეჯერების მოქმედებები;

– ურთიერთობები რესურსებისა და შედეგების მითვისებაში.

კულტურის ორგანიზაციის საქმიანობის რაოდენობრივი გაზომვა აუცილებელია. ამასთან,კულტურის სპეციფიკიდან გამომდინარე,წმინდა ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოადგენენ შედარებით მეორეხარისხოვანს, დამხმარეს, ხოლო მთავარ როლს ასრულებს სოციალური მაჩვენებლები.

დანახარჯების ანაზღაურების თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს
კულტურის ორგანიზაციების სამეურნეო მექანიზმის ორი ტიპი: კომერციული და არაკომერციული.

პრაქტიკაში შეიმჩნევა სამეურნეო მექანიზმის კომერციული და არაკომერციული ფორმების ურთიერთმოქმედება. კულტურის კომერციული ორგანიზაციები ახორციელებენ არაკომერციული სახის საქმიანობასაც. არაკომერციულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ განახორციელონ მეწარმეობითი საქმიანობაც.

როგორც ყველა საქმიანობას, ისევე კულტურის ორგანიზაციის ეკონომიკურ საქმიანობასაც ესაჭიროება მართვა, რისთვისაც გამოიყენება მართვის სხვადასხვა მეთოდი.

მეთოდები – ეს არის ხერხები,ინსტრუმენტები,რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება მმართველობითი ზემოქმედება. ეკონომიკური საქმიანობის მართვის სამი ძირითადი მეთოდი არსებობს:

– ადმინისტრაციული,
– ეკონომიკური,
– სოციალურ-ფსიქოლოგიური.

ადმინისტრაციული მეთოდები მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზაციის საქმიანობის მართვა ხორციელდება

ზემდგომი ორგანოების მხრიდან პირდაპირი რეგულირების წესით, ძალდატანებით (ბრძანებები, განკარგულებები). ძირითადად ეს მეთოდები გამოიყენებოდა 80-იანი წლების დასასრულამდე.

ეკონომიკური მეთოდები ეფუძნება მართვის ობიექტზე ზემოქმედებისათვის მატერიალური სტიმულირების გამოყენებას, ანუ, ეკონომიკურ საქმიანობას აქეზებენ ეკონომიკური ინტერესების მობილიზაციით. ეს მეთოდები ჩვენთან ფართოდ გავრცელდა 90-იანი წლებიდან.

სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები მოქმედებენ ადამიანების ეკონომიკურ საქმიანობაზე ქცევის ეთიკური ნორმების, შეხედულებების, მორალური წახალისების ზომების მეშვეობით და ა. შ. ეს მეთოდები სხვა დარგებში და სფეროებში დამხმარე როლს ასრულებენ, კულტურაში კი მათი მნიშვნელობა მეტია.

საერთოდ, კურსი აღებულია ადმინისტრაციული მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლისაკენ. ეს ნიშნავს ეკონომიკურ ინტერესებზე, ორგანიზაციის და ცალკეული მუშაკთა პარტნიორობაზე, ხელშეკრულებით ურთიერთობებზე ორიენტაციას. ძალიან მნიშვნელოვანია მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მეთოდებზე დაყრდნობა, რომლებიც ეფუძნებიან არაეკონომიკურ საშუალებებს.

7.2. კულტურის ორგანიზაციების სამეურნეო მექანიზმის ძირითადი ქვესისტემები

კულტურის სფეროს, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა სფეროების, დარგების სამეურნეო მექანიზმის ძირითადი ქვესისტემებია: დაგეგმვა, დაფინანსება, ფასწარმოქმნა, სტიმულირება. თითოეულ ამ ქვესისტემას შეიძლება ჰქონდეს მრავალი ვარიანტი, რომლებიც ერთობლიობაში იძლევიან მეურნეობრიობის სისტემის სხვადასხვა მოდიფიკაციას.

გეგმები შეიძლება შემუშავდეს და დამტკიცდეს ზემდგომი ორგანოს მიერ, შეიძლება შემუშავდეს ორგანიზაციის მიერ დამოუკიდებლად და დამტკიცდეს ზემდგომი ორგანოს

მიერ ან შეთანხმდეს მასთან, ან კიდევ შემუშავდეს და დამტკიცდეს ორგანიზაციის მიერ დამოუკიდებლად.

დაფინანსების ტიპის მიხედვით გამოიყოფა:

– საბიუჯეტო დაფინანსება,ანუ ორგანიზაციის ხარჯები, იფარება შესაბამისად ბიუჯეტის სახსრებით;

– შერეული დაფინანსება, ანუ ორგანიზაციის ხარჯები, იფარება შესაბამისი ბიუჯეტის სახსრებით და საკუთარი წყაროებით;

– თვითდაფინანსება, ანუ ორგანიზაციის ხარჯები, იფარება თვით ორგანიზაციის სახსრებით.

იდენტურია კულტურის სფეროსა და ეკონომიკის დანარჩენი სფეროების ფასწარმოქმნა და სტიმულირება.

კულტურის მომსახურებაზე ფასები შეიძლება იყოს:

– ხელისუფლების ორგანოების მიერ რეგულირებადი;

– თავისუფალი;

– სახელშეკრულებო.

სტიმულირება არსებობს მატერიალური და მორალური, ინდივიდუალური და კოლექტიური. კულტურის ორგანიზაციების სამეურნეო მექანიზმის ცვლილება მჭიდროდაა დაკავშირებული საერთო სპეციალურ კანონმდებლობასთან.

სამეურნეო მექანიზმის მნიშვნელოვანი მახასიათებელია კულტურის ორგანიზაციების დამოუკიდებლობის ხარისხი, რომელიც ვლინდება მათ უფლებებსა და მოვალეობებში. სამეურნეო მექანიზმის ცვლილების ეტაპების საფუძველია კულტურის ორგანიზაციებსა და მართვის ზემდგომ ორგანოებს შორის უფლებებისა და მოვალეობების თანაფარდობა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდიდან საქართველოში დაიწყო გადასვლა მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე, კერძოდ: შემოქმედებითი და სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოება; კულტურის კერძო ორგანიზაციების აღმოცენება; კულტურის სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანიზაციების დამოუკიდებლობის გაზრდა; საგადასახადო სისტემის შეცვლა, შეღავათების გადიდება და სხვ.

საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ფორმირებული კულტურული მომსახურების ბაზარი, სუსტია კერძო სექტორი და იგი ვერ უწევს რეალურ კონკურენციას სახელმწიფო, მუნიციპალურ სექტორს. არ არსებობს კერძო სექტორზე სახელმწიფო მხარდაჭერის ადეკვატური ფორმები. მხარდაჭერის ასეთ ფორმებად შეიძლება მიღებული იქნას:

– პროექტების მიზნობრივი საბიუჯეტო დაფინანსება;
– შენობების გამოყოფა, მათ შორის. დაუბრუნებლობის საფუძველზე;
– საგადასახადო შეღავათების გაფართოება;
– შეღავათიანი სესხების მიცემა;
– კადრების გადამზადებაში დახმარების აღმოჩენა;
– შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და სხვა.

საკონტროლო კითხვები:

1. რომელია კულტურის სფეროს მეურნეობრიობის დონეები?
2. კულტურის სფეროს მართვის რა მეთოდები არსებობს, დაახასიათეთ ისინი.
3. რომელია კულტურის ორგანიზაციების სამეურნეო მექანიზმის ძირითადი სისტემები?
4. რა არის კულტურის ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი ნიშანი?
5. დაფინანსების რა და რა ტიპები არსებობს კულტურაში?
6. რაში მდგომარეობს მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლა საბაზრო ეკონომიკის პირობებში?
7. მხარდაჭერის რა ფორმები შეიძლება იქნეს სახელმწიფოს მხრიდან გამოყენებული კერძო სექტორის მიმართ?

თავი 8. კულტურის სფეროს დაგეგმვა

8.1. დაგეგმვა საერთოდ

დაგეგმვა მეურნეობრიობის სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია,რომელიც მოიცავს გეგმის შედგენას, მის რეალიზაციას და შესრულებაზე კონტროლს.

დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხების მთელი წრე პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

– დაგეგმვის ფილოსოფია, ანუ, გეგმების ძირითადი შინაარსი და მიმართულებები;

– დაგეგმვის ტექნოლოგია, ანუ, როგორ ხდება გეგმის შედგენა, როგორია მეთოდები, პრინციპები, მაჩვენებლები, ინფორმაციული უზრუნველყოფა. დაგეგმვის ტექნოლოგია განისაზღვრება დაგეგმვის შინაარსითა და მიმართულებებით, ანუ დაგეგმვის ფილოსოფიით.

არსებობს გეგმების მრავალი სახე:

ა. საგეგმო გადაწყვეტილებათა მიღების დონის მიხედვით გამოიყოფა: ფედერალური,რეგიონული (სამხარეო,საოლქო), ტერიტორიული (რაიონული,დასახლებული ადგილების და სხვ.), კონკრეტული ორგანიზაციების, მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების (საამქროები, უბნები, განყოფილებები და სხვა) და ინდივიდუალური გეგმები.

ბ. ვადების მიხედვით: პერსპექტიული (გრძელვადიანი, საშუალო ვადიანი) და მიმდინარე (მოკლევადიანი და ოპერატიული) გეგმები.

გრძელვადიანი გეგმები მუშავდება 5 წელზე მეტი ვადით, საშუალო 1-დან 5 წლის ჩათვლით, მოკლევადიანი – 1 წლამდე (წლიური, კვარტალური, თვიური). ოპერატიულ გეგმებს მიეკუთვნება 5 დღეზე,კვირაზე,დეკადაზე გათვლილი გეგმები.

გ. საქმიანობის შინაარსის მიხედვით გამოიყოფა შემოქმედებითი,ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები.

დ. დირექტიულობის ხარისხის, ანუ სავალდებულობის, მიხედვით განასხვავებენ: პროგნოზულ გეგმებს, რომელიც უფრო საორიენტაციო ხასიათისაა; სარეკომენდაციო,რომელიც

დასაბუთებულ წინადადებებს შეიცავს; დირექტიული, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად.

ე. განასხვავებენ აგრეთვე სტრატეგიულ და ტაქტიკურ გეგმებს. სტრატეგიის შემუშავება ვარაუდობს საგეგმო პერიოდში სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების დასაბუთებას, ხოლო ტაქტიკური გეგმები უზრუნველყოფენ მათი შესრულების ორგანიზაციას.

დაგეგმვა ხორციელდება მთელი რიგი პრინციპის გათვალსიწინებით. ეს პრინციპებია:

სისტემური მიდგომა – გეგმების შეთანაწყობა დაგეგმვის ვადებისა და დონეების მიხედვით.

პერსპექტიული მიდგომა – პერსპექტიული მიზნების განსაზღვრა, პერსპექტიულ გეგმებს წამყვანი როლი ეკუთვნის.

კომპლექსურობა – რაც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებას მთლიანობაში, კულტურის განვითარების ყველა ასპექტის ურთიერთკავშირს და სხვ.

პროპორციულობა – გამოიხატება გეგმების ცალკეული ელემენტების დაბალანსებულობაში.

ფედერალიზმი – ფედერალური გეგმების შემუშავების შეხამება რეგიონებისა და ორგანიზაციების დამოუკიდებელ დაგეგმვასთან.

დაგეგმვის უწყვეტობა – ის, რომ გრძელვადიანი გეგმები წარმოადგენენ მოკლევადიანი გეგმების შედგენის საფუძველს და ეს პროცესი უწყვეტია.

გეგმების დასაბუთებულობა. გეგმების როგორც მიზნები, ისე მათი შესრულებისთვის აუცილებელი საშუალებები (რესურსები) სათანადო კვლევებს, ანალიზსა და გათვლებს ემყარება.

დაგეგმვის განვითარების რამდენიმე ეტაპი არსებობს:

პირველი, ტრადიციული (დირექტიული) დაგეგმვა. არსებობდა მე-20 ს. 80-იან წლამდე.

მეორე, ნორმატიულ-მიზნობრივი. გამოიყენებოდა, 20 ს. 89-იან წლებში.

მესამე, პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვა. შემოღებულია მე-20 ს. 90-იანი წლებიდან.

არსებობს დაგეგვმის რამდენიმე მეთოდი.

ექსტრაპოლაცია – მიღწეული დონიდან არსებული ტენდენციების გამოვლენა და მათი გავრცელება მომავალში.

ნორმატიული – გეგმური დავალებების დასაბუთება ნორმებისა და ნორმატივების დახმარებით. ნორმა – ეს არის მეცნიერულად დასაბუთებული სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს რესურსების ხარჯვას წარმოებული პროდუქციის ერთეულზე და ახასიათებს ამ რესურსების ხვედრ მოხმარებას. ნორმატივი კი არის წარმოებული საქონელი მომსახურება და ერთეულ მომხმარებელზე, ფინანსებზე, ფართობზე და ა. შ.

კულტურული განვითარების პროგრამულ-მიზნობრივი პროგრამების,სოციალურ-კულტურული პროექტების,ბიზნეს-გეგმების შემუშავება; პროგრამული ღონისძიებების მიმართვა კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად,რესურსების და შემსრულებლების ინტეგრაცია.

საგეგმო პროცესის ან მოვლენის დახასიათებისათვის გამოიყენება საგეგმო მაჩვენებელი. ეს მაჩვენებელი შედგება რიგი ჯგუფისაგან,რომლებიც ასახავს კულტურის სფეროსა და ორგანიზაციებს ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტს. საგეგმო მაჩვენებლები იყოფა:

– დადგენის წესის მიხედვით – ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებულ, ნორმატიულ და საანგარიშო (დამოუკიდებლად განსაზღვრულ) მაჩვენებლებად.

– შინაარსის მიხედვით – რესურსული უზრუნველყოფის, რომლებიც ახასიათებენ მატერიალურ,შრომით,ფინანსურ და სხვა რესურსებს და საქმიანობის მაჩვენებლებად,რომლებიც ახასიათებენ კულტურული სიკეთის მიწოდება-მოთხოვნას.

– გაანგარიშებების ხერხის მიხედვით აღსანიშნავია აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებელი. აბსოლუტურია ღირებულებითი და ნატურალური მაჩვენებლები,შეფარდებითი კი გამოიხატება ხვედრით წილში,პროცენტებში,ინდექსებში, კოეფიციენტებში.

კულტურის სფეროს დაგეგმვის პრაქტიკაში შეიძლება გამოყენებულ იქნას რაოდენობრივი მაჩვენებლები,რომლებიც ახასიათებენ ორგანიზაციების ქსელის და მათი საქმიანობის

მოცულობით მხარეს და თვისებრივი (ხარისხობრივი), რომლებიც განსაზღვრავენ მუშაობის ხარისხიანობას, მის ხარისხობრივ დონეს. მაჩვენებლები შეიძლება ასახავდნენ სტატიკას, ანუ მდგომარეობას, გარკვეული მომენტისათვის და დინამიკას, ანუ ცვლილებას, განსაზღვრულ პერიოდში.

დაგეგმვის ტექნოლოგია შედგება რამდენიმე ეტაპისაგან, რომლის მეშვეობითაც წყდება სპეციფიკური ამოცანები:

ა). ორგანიზაციულ-მოსამზადებელი ეტაპი. აქ შედის შემსრულებლების განსაზღვრა; შემუშავების ვადების განსაზღვრა; ინფორმაციული უზრუნველყოფა; მეთოდური უზრუნველყოფა.

ბ). გეგმის პროექტის შემუშავების ეტაპი. აქ შედის: მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა საგეგმო პერიოდისათვის, მაჩვენებელთა წრის შერჩევა და მათი კონკრეტული მნიშვნელობების გაანგარიშება, გეგმის რეალიზაციის მექანიზმის დასაბუთება; გეგმის პროექტის გაფორმება.

გ). გეგმის შედგენის დასრულების ეტაპი, ანუ, გეგმის შეთანხმება და მისი დამტკიცება.

დ). გეგმის პოპულარიზაციისა და შესრულებაზე კონტროლის ორგანიზაციის ეტაპი, ანუ, საზოგადოების ინფორმირება გეგმის შინაარსის შესახებ და გეგმის შესრულების კონტროლის ორგანიზაცია.

8.2. დაგეგმვა კულტურის სფეროში

ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანია კულტურის, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი სოციალური სფეროს განვითარების დაგეგმვა. იგი აუცილებელი ინსტრუმენტია კულტურული პოლიტიკის გატარებისათვის. სახელმწიფოს კულტურულ პოლიტიკაში იგულისხმება იმ პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლითაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო თავის საქმიანობაში კულტურის შენარჩუნების, განვითარების და გავრცელების საქმეში, საერთოდ, სახელმწიფოს საქმიანობა კულტურის სფეროში. სწორედ კულტურის განვითარების გეგმებში აისახება ქვეყნის კულტურის პოლიტიკა, რომელიც მთლიანად იქნება

მორგებული ქვეყნის, საზოგადოების განვითარების გეგმასთან. კულტურის განვითარების გეგმა მოიცავს ქვეყნის კულტურული ცხოვრების საერთო ანალიზს, პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობებს. ამიტომ კულტურული განვითარების გეგმის მიღების პროცესი წარმოადგენს ხანგრძლივ, გააზრებულ და რთულ პროცესს, რომელიც რამდენიმე ფაზად იყოფა:

– კულტურული ცხოვრების მდგომარეობის ანალიზი;

– კულტურული პოლიტიკის კონცეფციის განსაზღვრა და მიღება;

– კულტურის განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრა;

– კულტურული განვითარების მაჩვენებლების შერჩევა;

– კულტურული განვითარების გეგმის შემუშავება და მისი რეალიზაციის ინსტრუმენტების განსაზღვრა;

– დაგეგმვის პერიოდის მსვლელობაში მოსალოდნელი შედეგების შეფასება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელ ეკონომიკაში, მათ შორის კულტურის სფეროში, არსებობს დაგეგმვის სხვადასხვა მეთოდი და ეტაპი. ამ ეტაპებიდან ტრადიციულ დირექტიულ და ნორმატიულ-მიზნობრივი დაგეგმვა ამჟამად თითქმის აღარ გამოიყენება იმის გამო, რომ მათ გააჩნიათ გარკვეული უარყოფითი მხარეები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ნორმატიულ-მიზნობრივი დაგეგმვა უფრო პროგრესული იყო დირექტიულთან შედარებით. იგი იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი კულტურის სრულყოფის გზაზე, მაგრამ მასაც აქვს გარკვეული უარყოფითი მხარეები. ამიტომ პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვა, კულტურული განვითარების პროგრამები, უნდა გახდეს დაგეგმვის ძირითად ფორმად მაშინ, როცა წინა ეტაპზე ისინი წარმოადგენდნენ ტრადიციული გეგმების დამატებას.

პროგრამული მეთოდების დანერგვა ბოლო პერიოდამდე ფერხდებოდა მთელი რიგი მიზეზის გამო, როგორიცაა:

– ეკონომიკური ხასიათის სიძნელეები, ფინანსური საშუალებების უკმარობა, მათი არარეგულარული შემოსვლა;

– კულტურის ორგანიზაციების მართვის ორგანოთა

ხელმძღვანელების აზროვნების ინერტულობა,პროგრამების როლის შეუფასებლობა;

– პროგრამების შემუშავების ცოდნის, უნარის, გამოცდილების უქონლობა.

პროგრამა წარმოადგენს საგეგმო ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც შეჯერებულია რესურსების, შემსრულებლების, განსახორციელებელი დროის მიხედვით და მიმართულია განსაზღვრულ ვადაში კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად. პროგრამა გამოდის შესაბამისი დონის (ქვეყანა, რეგიონი, ტერიტორია) კულტურული პოლიტიკის შემუშავების და რეალიზაციის ინსტრუმენტად.

პროგრამების ძირითადი მახასიათებლებია:

– კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტის მიმართულება;

– საგეგმო ღონისძიებათა კომპლექსური ხასიათი;

– საგეგმო ღონისძიებათა შეთანხმებულობა,რესურსების, შემსრულებლებისა და განხორციელების ვადების მიხედვით;

– დადგენილი ვადები.

პროგრამების შემუშავების პროცესი იყოფა შემდეგ სტადიებად:

ა). სოციოკულტურული სიტუაციის ანალიზი. აქ შედის სიტუაციის ანალიზი. მნიშვნელოვანი პრობლემების გამოვლენა,რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია პროგრამის საშუალებით, პრობლემების რანჟირება მათი სიმწვავის და მნიშვნელობის გათვალისწინებით, პროგრამების შედგენილობის ფორმირება.

ბ). პროგრამების შემუშავება. ამას მიეკუთვნება: მიზნების დასახვა, მიზნების კონკრეტიზაცია დავალებათა სისტემაში; საქმიანობის მიმართულებათა და კონკრეტულ ღონისძიებათა განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფენ დასმული ამოცანების გადაწყვეტას; მოსალოდნელი შედეგების აღწერა.

პროგრამის შემუშავება შეიძლება განხორციელდეს ორი გზით:

პირველ შემთხვევაში, დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით წინასწარ მუშავდება კულტურული განვითარების

კონცეფცია. მეორე შემთხვევაში, იგი გამოდის როგორც პროგრამის განყოფილება.

კულტურული განვითარების პროგრამები შეიძლება შემუშავდეს მართვის ორგანოების და კულტურის ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების ძალებით, სამეცნიერო კოლექტივების მიერ და ერთობლივად.

კულტურული განვითარების პროგრამები შეიძლება იყოს სახელმწიფო (ფედერალური),რეგიონული და ტერიტორიული (მუნიციპალური).

სახელმწიფო პროგრამები მიმართულია მთელი ქვეყნისათვის პრიორიტეტული ამოცანების გადასაწყვეტად, მუშავდება სახელმწიფო ორგანოების მიერ და მისი დაფინანსება ხდება ცენტრალური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

რეგიონული პროგრამები განსაზღვრავს კონკრეტული რეგიონების კულტურული განვითარების სტრატეგიას; მუშავდება შესაბამისი რეგიონული ორგანოების მიერ,მათი დაფინანსება ხდება რეგიონული ბიუჯეტიდან. ტერიტორიული პროგრამები მუშავდება კონკრეტული რეგიონის კულტურის განვითარების სპეციფიკური პრობლემის,შესაძლებლობების, მათი გადაწყვეტის გზების და ხერხების გათვალისწინებით. მათი დაფინანსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

შემუშავდება ორი ტიპის საბიუჯეტო პროგრამები: სახელმწიფო მიზნობრივი და საუწყებო მიზნობრივი. ისინი ერთიანია ფორმირებისა და რეალიზაციის პრინციპების მიხედვით, მაგრამ განსხვავდება შინაარსისა და სტატუსის მიხედვით.

საბიუჯეტო მიზნობრივი პროგრამების მიმართ წაყენებული საერთო მოთხოვნებია:

პროგრამების მიზნის მკაფიო,ნათელი ფორმულირება. მისი რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგის აღწერა,პროგრამის შედეგების შესაფასებლად მაჩვენებელთა სისტემის არსებობა, რესურსებზე მოთხოვნილების დასაბუთება.

პროგრამები განსხვავდება ტრადიციული გეგმებისაგან, კერძოდ:

– ისინი წარმოადგენენ თვით დაგეგმვის, საკუთარი

კულტურული პოლიტიკის ინსტრუმენტს;

– მიმართულია გარკვეული მიზნების მისაღწევად, კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად. მათ არა აქვთ მკაცრად განსაზღვრული დროის ჰორიზონტები და მათი ვადა განისაზღვრება ამოცანების სპეციფიკით.

კულტურული განვითარების პროგრამების რეალიზაციისათვის საჭიროა როგორც საბიუჯეტო, ისე ბიუჯეტგარეშე მნიშვნელოვანი სახსრების მოზიდვა.

მიზნობრივ სახელმწიფოებრივ პროგრამებში ასახვა პოვა საქართველოს კულტურული პოლიტიკის ძირითადმა მიმართულებებმა, როგორიცაა: ფოლკლორის მხარდაჭერის ეროვნული პროგრამა,ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების, პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების, ლიტერატურისა და საბიბლიოთეკო დარგის განვითარების, ეროვნული უმცირესობების კულტურის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა და სხვა.

2004-2006 წლებისათვის შემუშავებული იყო საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიული პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

1. მძიმე მდგომარეობაში მყოფი უნიკალური ძეგლების გადარჩენა, სამუზეუმო კოლექციათა რეაბილიტაცია და დაცვის პირობების გაუმჯობესება;

2. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვა-გამოყენებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ევროპული თანამშრომლობა;

3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა (უძრავი და მოძრავი ძეგლები, მუზეუმები, დაცვითი ზონები და ა. შ.) ინვენტარიზაცია;

4. ისტორიული ქალაქების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა;

5. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია;

6. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და მის ბაზაზე კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი ბაზის ჩამოყალიბება;

7. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

8. საქართველოს ისტორიული ქალაქების დაცვის პროგრამა;

9. კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა;

10. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაციის პროგრამა.

11. სამუზეუმო რეფორმა (საქართველოს მუზეუმების რეაბილიტაცია და მართვის სისტემების გაუმჯობესება);

12. დასავლეთთან ინტეგრაცია და საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში;

13. კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

14. კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა;

15. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ.

გარდა ამისა,საქართველოს კულტურის,ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებულია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებები 2007-2010 წლებისათვის. ეს მიმართულებებია:

სტრატეგია I. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვა, რეაბილიტაცია, სისტემატიზაცია, დოკუმენტაცია და პოპულარიზაცია. მიზნები:

ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია;

ძეგლების შესახებ არსებული ინფორმაციის შევსება-განახლება და სისტემატიზაცია;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია;

მართვის თანამედროვე სტანდარტების მექანიზმების შექმნა.

სტრატეგიული მიმართულების ძირითადი პროგრამები, ღონისძიებები:

1. საქართველოს ისტორიული ქალაქების დაცვის პროგრამა:

ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმების შედგენა;

ისტორიული ქალაქების ინვენტარიზაცია;

ისტორიულ ქალაქებში კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა;

2. საქართველოს მასშტაბით კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების ინვენტარიზაცია და დამცავი ზონების დადგენის პროგრამა.

3. კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ნიმუშთა გადარჩენის პროგრამა.

საფრთხეში მყოფი უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დიაგნოსტიკა და რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოების განხორციელება.

4. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგის პროგრამა:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მდგომარეობის კონტროლის პრევენციული კონსერვაციისა და რისკისათვის მზაობის მიზნით ეფექტიანი მექანიზმების შექმნა;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა და მათი ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში.

5. კულტურული მემკვიდრეობის ანალიტიკურ-საინფორმაციო სივრცის შექმნის პროგრამა.

6. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის პროგრამა.

საგანმანათლებლო ღონისძიებების,ახალი გამოცემებისა და თარგმანების მომზადება, თავისუფალი ინიციატივებისა და პროექტების ხელშეწყობა.

სტრატეგია II. კულტურული მემკვიდრეობის მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება, კულტურული მემკვიდრეობის სფეროს დაწესებულებათა ხელშეწყობა.

სტრატეგიული მიმართულების ძირითადი პროგრამები, ღონისძიებები:

1. სამუზეუმო რეფორმის პროგრამა;

2.კულტურული მემკვიდრეობის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ხელშეწყობის პროგრამა.

სტრატეგია III. სახელოვნებო დაწესებულებების და სახელოვნებო პროგრამების სახელმწიფო ხელშეწყობა.

სტრატეგიული მიმართულებების ძირითადი პროგრამები,

ღონისძიებები.

სახელოვნებო დაწესებულებების სუბსიდირება შედეგზე ორიენტირებული პროგრამების საფუძველზე;

ქართული პროფესიული თეატრალური, მუსიკალური და სახვითი ხელოვნების, ლიტერატურისა და საბიბლიოთეკო სფეროში აქტუალური პროექტების საკონკურსო მხარდაჭერა.

სტრატეგია IV. ეროვნული უმცირესობების კულტურის განვითარება.

მიზნები:

საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა კულტურის დაცვა, განვითარება, პოპულარიზაცია და მათი საერთო კულტურულ სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა.

სტრატეგიული მიმართულებების ძირითადი პროგრამები, ღონისძიებები:

ეროვნული უმცირესობების კულტურული ორგანიზაციებისა და პროექტების თანადაფინანსება;

საქართველოში მოქმედ სათვისტომოებთან კოოპერაცია.

პროგრამულ მეთოდს ერთვის სოციალურ-კულტურული დაპროექტება. „პროექტი – ესაა იდეა, რომლის რეალიზაციაც ხდება განსაზღვრული შედეგის მიღების პროცესში. პროექტი მოიცავს ჩანაფიქრს, მისი რეალიზაციის საშუალებებს და შედეგებს.

პროექტის ძირითადი მახასიათებლებია:

1. ორიენტაცია გარკვეული მიზნების მიღწევისაკენ;

2. დროის მკვეთრი ჩარჩოებით შეზღუდულობა;

3. ყოველი პროექტის უნიკალურობა, სპეციფიკურობა, განუმეორებლობა;

4. ურთიერთდაკავშირებული მოქმედებების სისტემის გათვალისწინება.

8.3. კულტურის ორგანიზაციების დაგეგმვა

კულტურის, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა სფეროების, ორგანიზაციების დაგეგმვამ რამდენიმე ეტაპი გაიარა. მათ შორის პირველი იყო დირექტიული დაგეგმვა, რომელიც ხასიათდებოდა:

– ხუთწლიანი გეგმების, დაგეგმვის მიზნობრივი სტადიების არ- არსებობით;

– ზემოდან დამტკიცებული მაჩვენებლების სიჭარბით, რაც ზღუდავდა კულტურის ორგანიზაციების ინიციატივას, რესურსების ოპერატიულ მანევრირებას;

– საგეგმო მაჩვენებლების დადგენით „მიღწეული დონიდან“.

მეორე ეტაპი იყო ნორმატიულ-მიზნობრივი დაგეგმვა, რომლის დამახასიათებელი იყო:

– ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმების შემუშავება.

– მკაცრი რეგლამენტაციისაგან უარის თქმა. ზემოდან დგინდებოდა მხოლოდ საკონტროლო ციფრები, რომლებიც დირექტიული ხასიათსა იყო და ასრულებდნენ ორიენტირის როლს.

– დაგეგმვაში სტაბილური ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების გამოყენება.

მესამე ეტაპია – პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვა. ამ ეტაპზე კულტურის ორგანიზაციები თვითონ,დამოუკიდებლად შეიმუშავებენ და ამტკიცებენ თავიანთი საქმიანობის გეგმებს.

პერსპექტიული დაგეგმვა ხორციელდება მიზნობრივი პროგრამების შემუშავების გზით. განვითარების პერსპექტივები განისაზღვრება ორგანიზაციის მისიის, მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით, რომელიც დადგენილია წესდებით,აგრეთვე საკუთარი შემოქმედებითი და სამეურნეო რესურსების და შემოქმედებით-საწარმოო და სოციალური განვითარების გათვალისწინებით.

მიმდინარე დაგეგმვა – ეს არის მიმდინარე საქმიანობის გეგმების შემუშავება, რომლის საფუძველზეც ხდება პერსპექტიული გეგმების დავალებათა კონკრეტიზაცია (ერთ წელზე, კვარტალზე, თვეზე).

შემოქმედებითი, ეკონომიკური, სოციალური და სხვა გეგმები განსაზღვრავენ ორგანიზაციის განვითარების შესაბამის მხარეებს. შემოქმედებითი საქმიანობის გეგმები მოიცავენ საქმიანობის ერთ რომელიმე სახეს, მაგალითად, ახალი სპექტაკლის გამოშვება ან მიმდინარე რეპერტუარის

გაქირავება და სხვ.

ეკონომიკური საქმიანობის გეგმებს შეიძლება მივაკუთვნოთ ინვესტიციური გეგმები და ხარჯთვაღრიცხვები.

ინვესტიციური გეგმა ასახავს კულტურის ობიექტის მშენებლობაზე, რეკონსტრუქციაზე ან ტექნიკურ გადაიარაღებაზე კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობებს და მიმართულებებს.

ხარჯთაღრიცხვა – ესაა ორგანიზაციის შემოსავლების და ხარჯების გეგმა. ეს არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მიმდინარე წლის განმავლობაში სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობას.

კულტურის არაკომერციული ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვაში კომერციული ორგანიზაციების ფინანსური გეგმებისაგან განსხვავებით უფრო დეტალურადაა დასაბუთებული ხარჯები,შემოსავლები სხვადასხვა წყაროის ჭრილში (მიზნობრივი შემოსულობები, შემოსავლები კომერციული საქმიანობიდან).

შემოქმედებითი და ეკონომიკური საქმიანობების გეგმებს შორის არსებობს ურთიერთკავშირი. დაფინანსების მოცულობის შეცვლისას შესაძლებელია შემოქმედებითი გეგმების კორექტირება.

სოციალური განვითარების გეგმა მოიცავს კადრების ფორმირების (შერჩევა, მომზადება, გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება), მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესების და დასვენების საკითხებს.

საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში რიგ ქვეყანაში იქმნება მაკროეკონომიკური ინდიკატიური გეგმა,რომელიც ფირმისათვის არაა სავალდებულო. იგი სარეკომენდაციო, საორიენტაციო ხასიათისაა. ქვედა დონეზე კი მიკრო, ანუ სამეურნეო, ერთეულების მიერ მუშავდება ბიზნეს-გეგმა. იგი დგება 3-5 წლისათვის, ფირმის შექმნის და ფუნქციონირების საფუძველი მიზნებისა და მათი მიღწევის გზების ერთგვარი დასაბუთებაა. როგორც გაშლილ ზღვაში მოცურავე გემისათვის აუცილებელია კომპასი,ისე საბაზრო ეკონომიკაში ჩართული ფირმისათვის აუცილებელია გეგმა-გზამკვლევი [20. 36].

ბიზნეს-გეგმა ყოველთვის აუცილებელია, ერთი მხრივ,

თვით მეწარმისათვის,ფირმისათვის და,მეორე მხრივ,იმათთვის, ვისთანაც ის ეკონომიკურ ურთიერთობაში შედის.

ბიზნეს-გეგმა არის კულტურის ორგანიზაციის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების ინსტრუმენტი. ეს არის დაწვრილებითი, მკაფიოდ სტრუქტურიზებული და გულდასმით მომზადებული დოკუმენტი, რომელიც აღწერს, თუ საით მიისწრაფის ორგანიზაცია, როგორ ფიქრობს მიაღწიოს დასმულ მიზანს და როგორი იქნება იგი ამ მიზნის მიღწევის შემდეგ.

ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა ასეთია: მოკლე შინაარსი (რეზიუმე): საქმიანობის სფეროს დახასიათება; ორგანიზაციის მიერ გამოშვებული პროდუქციის და მომსახურების აღწერა; ბაზრის გამოკვლევა და ანალიზი; მარკეტინგის გეგმა; ორგანიზაციული, იურიდიული, საწარმოო და ფინანსური გეგმები, აგრეთვე შესაძლებელი რისკების შეფასება და დაზღვევა; დაფინანსების სტრატეგია.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის დაგეგმვა?
2. როგორ ჯგუფდება დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები?
3. გეგმის რა და რა სახეები არსებობს?
4. როგორი პრინციპებით ხორციელდება დაგეგმვა?
5. როგორია დაგეგმვის განვითარების ეტაპები?
6. დაგეგმვის რა მეთოდები არსებობს?
7. რა არის საგეგმო მაჩვენებელი და რა და რა ჯგუფებისაგან შედგება იგი?
8. როგორია დაგეგმვის ტექნოლოგიის ეტაპები?
9. რა იგულისხმება კულტურულ პოლიტიკაში?
10. რა და რა ფაზები აქვს კულტურული განვითარების გეგმის მიღების პროცესს?
11. რა არის პროგრამულ მიზნობრივი დაგეგმვა, როგორი მახასიათებლები აქვს პროგრამებს?
12. დაახასიათეთ მიმდინარე, პერსპექტიული, შემოქმედებითი, ეკონომიკური, სოციალური, ინვესტიციური გეგმები.
13. რა არის ინდიკატორული გეგმა და ბიზნეს გეგმა?

თავი 9. კულტურის სფეროს დაფინანსება

9.1. დაფინანსების არსი, კულტურის დაფინანსების მსოფლიო მოდელები

დაფინანსება – ეს არის ფულადი სახსრების გამოყოფა განსაზღვრული წყაროებიდან კონკრეტული მიზნებისათვის, კერძოდ: დარგის განვითარება, ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, საბიუჯეტო ორგანიზაციის შენახვა, სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების გატარება და სხვა საჭიროებანი.

დაფინანსება, კულტურის ეკონომიკის ძირითადი საკითხია. საერთოდ, გამოიყოფა დაფინანსების პროცესის ორი შემადგენელი ნაწილი: ფინანსურ საშუალებათა ფორმირება და მათი გამოყენება.

კულტურის დაფინანსება, სახელმწიფოს კულტურასთან დამოკიდებულების,კულტურული პოლიტიკის ეკონომიკური უზრუნველყოფის მაჩვენებელია.

მსოფლიოში არსებობს კულტურის დაფინანსების რამდენიმე მოდელი [5.69]. ერთ-ერთი ასეთი მოდელია ხ. ჩარტრანდის და ს. მაკკაფის ტიპოლოგია. მისი კრიტერიუმია – პოლიტიკური ტრადიციებით განპირობებული სახელმწიფოს როლი. აქ გამოიყოფა სახელმწიფოს ოთხი როლი:

1. სახელმწიფო – ქომაგი. სახელმწიფო არ ერევა კულტურის საქმიანობის პროცესებში, გადასახადების მეშვეობით ასტიმულებს კულტურის დაფინანსებას ცალკეული პირებისა და კორპორაციების მიერ.

2. სახელმწიფო – პატრონი. იგი აფინანსებს კულტურას მთლიანად „გაშვერილი ხელის დონეზე“. იგი განსაზღვრავს კულტურის მხარდაჭერის საერთო დონეს, გამოყოფს რა შესაბამის სახსრებს. მათ განაწილებას განაგებს მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანიზაცია (საბჭო, ფონდი და სხვა). პირველისაგან განსხვავებით მეორე მაინც ახდენს გავლენას კულტურულ საქმიანობაზე.

3. სახელმწიფო – არქიტექტორი. ეს როლი ითვალისწინებს კულტურაზე სახელმწიფოს ზემოქმედების კიდევ უფრო მეტ

ზომას. სახელმწიფო მხარს უჭერს კულტურას და ხელოვნებას თავისი სამთავრობო ორგანიზაციების – სამინისტროების და სხვათა მეშვეობით. აქ გადაწყვეტილებას იღებენ სამთავრობო ჩინოვნიკები გამომუშავებული სოციალური სტანდარტების შესაბამისად.

4. სახელმწიფო – ინჟინერი. სახელმწიფო აფინანსებს კულტურას მოსახლეობის განათლებისა და ესთეტიკური აღზრდისათვის. როგორც არქიტექტორი,ისე ინჟინერი მხარს უჭერს კულტურას და ხელოვნებას მართვის აპარატის დახმარებით.

მეორე მოდელია ე. ვალზიგერის, დ. მონტიასის, ა. გლაგოლევის ტიპოლოგია. მისი კრიტერიუმია კულტურის ორგანიზაციის ფინანსური წყაროები. ამ ტიპოლოგიის მიხედვით არსებობს დაფინანსების სამი ტიპი: რომაული, გერმანული, ამერიკული. რომაული და გერმანული ტიპის ქვეყნებში კულტურის ორგანიზაციების დაფინანსება 90% ხდება სახელმწიფოს ხარჯზე. მაგრამ რომაული ტიპის ქვეყნებში ასიგნებათა ნახევარზე მეტს იღებენ ცენტრალური ხელისუფლებისაგან, გერმანული ტიპის ქვეყნებში 80-85%-ს – ადგილობრივი ხელისუფლებისაგან. ამერიკული ტიპის ქვეყნებში კულტურის ორგანიზაციების დაფინანსება ხდება სახელმწიფოს მიერ მხოლოდ 5%-ით, კერძო შენატანების ხარჯზე კი – 35-40%-ით [5.69]..

9.2. კულტურის დაფინანსება თანამედროვე პირობებში და მისი მდგომარეობა საქართველოში

თანამედროვე პირობებში არსებობს კულტურის დაფინანსების სამი ძირითადი საშუალება: საბაზრო, საბიუჯეტო და შერეული. თითოეულ ამ სისტემას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

დაფინანსება საბაზრო საშუალებებით პირველ პლანზე აყენებს ცალკეული პიროვნებების კულტურული დონის დაკმაყოფილებას, საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსება კი გათვლილია დიდი საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის. საბაზრო დაფინანსება შეეფერება შეძლებულ მოქალაქეებს,

ხოლო საბიუჯეტო დაფინანსება აძლევს საშუალებას ნაკლებად შეძლებულ ფენას, დაიკმაყოფილოს თავისი კულტურული მოთხოვნილებანი. რადგან საბიუჯეტო დაფინანსება დაკავშირებულია სახელმწიფოსთან,ის თავისი არსით ცენტრისტულია,ხოლო საბაზრო სისტემა გვევლინება დეცენტრალისტურად.

დაფინანსების საბიუჯეტო წესი შესაძლებელს ხდის თავისუფალი შემოქმედების პირდაპირ კონტროლს. საბაზრო სისტემის დროს კონტროლი ხორციელდება ირიბად მაყურებელთან წარმატების მეშვეობით.

ამ ორი სისტემიდან არცერთი არ პასუხობს ჩვენი საზოგადოების კულტურული პოლიტიკის მიზნებს. ჩვენს ქვეყანაში გაჩნდა დაფინასნების ისეთი სისტემის გამოყენების აუცილებლობა,რომელიც ითვალისწინებს ერთი სისტემის ნაკლოვანებების აცილებას და მეორე სისტემის უპირატესობების გამოყენებას. კულტურის დაწესებულებების გარკვეული რაოდენობა,რომელთაც გააჩნიათ ნაციონალური მნიშვნელობა (ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული მუზეუმები, სახელმწიფო არქივი, კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოები) მიზანშეწონილია დაფინანსდეს ბიუჯეტური წყაროებით. კულტურული მოღვაწეობის სხვა დარგებისათვის (კინემატოგრაფია, საგამომცემლო საქმე და სხვ.), რომელთა პროდუქციის მომხმარებლები არიან პიროვნებები, მათთვის უფრო ბუნებრივია დაფინანსების საბაზრო წესი. კულტურულ მოღვაწეობას, რომელიც ორიენტირებულია ბაზარზე, შეუძლია დააკმაყოფილოს მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილებები მდიდარი და მრავალფეროვანი შემოთავაზებებით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას კულტურა და ხელოვნება არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. საბიუჯეტო დაფინანსება მნიშვნელოვნად ჩამორჩება მათ მოთხოვნებს.

კულტურის სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანიზაციების საბიუჯეტო დაფინანსების აუცილებლობა განისაზღვრება თვით ამ ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსით. პრაქტიკულად ყველა ისინი არაკომერციული

ორგანიზაციებია და თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად.

არაკომერციული ორგანიზაციების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, კულტურის სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანიზაციების ყველაზე უფრო ადეკვატური ფორმაა დაწესებულება. თანამედროვე პირობებში კულტურის სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებებისათვის ძნელია მნიშვნელოვანი საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის გამო.

საზღვარგარეთ არსებობს საქმიანობის სპეციალური სფერო – ფანდრეიზინგი, რაც ინგლისურად ნიშნავს ფონდების გაზრდას, ხოლო არსით – ფულადი სახსრების ძიებას არაკომერციული სექტორისათვის. ეს იმაზე მეტყველებს, რომ იქმნება კულტურის სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებების დაფინანსებისათვის მრავალარხიანი სისტემა.

დაფინანსების ძირითად წყაროდ კვლავ რჩება საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა. სტრუქტურის მიხედვით საბიუჯეტო ასიგნებანი იყოფა: კაპიტალურ დაბანდებებად, მიმდინარე ხარჯებად და სოციალურ-შემოქმედებით დაკვეთად (სშდ). იხ. ნახ. 1. თანამედროვე პირობებში კაპიტალური დაბანდებები უმნიშვნელოა. რადგანაც ჯერჯერობით ვერ მიიღო გავრცელება დამფუძნებლების სოციალურ-შემოქმედებითმა მიზნობრივმა დაკვეთებმა.


კულტურის სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებათა ფინანსური სახსრები.
ინფორმაციული ტექნოლოგიები
ინფორმაციული ტექნოლოგიები
ადამიანური რესურსები
ადამიანური რესურსები
ადამიანური რესურს

სშდ წარმოადგენს ცალკეული ღონისძიებების (სამუშაოს, მომსახურების) გაწევისათვის დამატებითი საქმიანობის პირდაპირი ერთდროული საბიუჯეტო დაფინანსების ფორმას.

სშდ-ის კლასიკური მაგალითია კულტურაში მიზნობრივი დაკვეთები მასობრივ დღესასწაულებში, სპექტაკლების დადგმაში, გასტროლების მოწყობაში, ფესტივალებისა და დათვალიერების მოწყობაში მონაწილეობაზე და სხვ. სშდ ხელშეკრულებაში განისაზღვრება ღონისძიებათა გატარების მოცულობა, სტრუქტურა და ვადები, მატერიალური და ფინანსური რესურსებით მათი უზრუნველყოფის წესი. მიგვაჩნია, რომ კულტურის დაწესებულებების მიზნობრივმა დაფინანსებამ სშდ-ის სახით უნდა მიიღოს ფართო გავრცელება. სშდ შეიძლება იქნას უფრო ფართო, თუ ამ სახის დაკვეთები მიიღება ადმინისტრაციებიდანაც (მერია) ან სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან: განათლების, სოცუზრუნველყოფის, ახალგაზრდობის და სხვა სამსახურებიდან. ეს საშუალებას მოგვცემს განხორციელდეს ამჟამად ფართოდ გავრცელებული სოციალური პარტნიორობის პრინციპი.

კულტურის ორგანიზაციების დაფინანსება უნდა ხდებოდეს მიღებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად იმ მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფს:

– კულტურის დაწესებულებების შესანახად საექსპლოატაციო ხარჯების დაფარვას;

– მათ აღჭურვას ტექნიკური საშუალებებით და მოწყობილობებით;

– კაპიტალურ რემონტს, ისტორიული და კულტურული ძეგლების რესტავრაციას და სხვ.

სამწუხაროდ, კულტურის დაწესებულებებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ვერ უზრუნველყოფენ მათ სიცოცხლისუნარიანობას. ეს სახსრები იხარჯება არა შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისათვის, არამედ მატერიალური და შრომითი რესურსებისათვის (ხელფასები, კომუნალური ხარჯები და ა. შ.).

გარდა საბიუჯეტო სახსრების „პირდაპირი“

გამოყოფისა, არსებობს აგრეთვე ე. წ. ირიბი საბიუჯეტო დაფინანსება, რომელიც ხორციელდება კულტურის დაწესებულებებისათვის საგადასახადო შეღავათების მიცემით. ისინი გათავისუფლებულნი არიან ქონების, მიწის და დღგ გადასახადისაგან.

გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს შეუძლიათ, დამატებითი შეღავათები მისცენ ფედერალურ გადასახადებზე, აგრეთვე ისეთი ფინანსური შეღავათებიც, როგორიცაა: იჯარის გადასახადისაგან გათავისუფლება, შეღავათიანი ტარიფები ელექტროენერგიაზე, კომუნალურ მომსახურებაზე და სხვ. ირიბი საბიუჯეტო დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა შემოსავლები როგორც მათი ძირითადი, ისე სამეწარმეო საქმიანობიდან.

მეწარმეობა კულტურაში ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, შესაბამისი საქმიანი სტრუქტურების შექმნის გზით, როგორიცაა:

– საწარმოო უბნები: კერძო გამომცემლობები, მუსიკალური და ვიდეოპროდუქციის, კერამიკული ნაკეთობების მწარმოებელი ფირმები.

– სერვისის სააგენტოები (ინტერნეტში საიტების სარგებლობის, ინტერნეტიდან ინფორმაციის მიღება ოჯახებისათვის, გასტროლები, ფესტივალები, საშუამავლო მომსახურება და სხვ.).

– ანტიკვარული საგნების, სახვითი ხელოვნების ნიმუშების შეკეთება-რესტავრაციის სახელოსნოები.

– წიგნების, ხელოვნების ნიმუშების გასაყიდად მაღაზიები და სალონები;

– საგანმანათლებლო მომსახურების გამწევი სააგენტოები.

კულტურის დაწესებულებების არასაბიუჯეტო დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო არის სპონსორობა, მეცენატობა, ქველმოქმედება, პატრონაჟი, შემოწირულობანი. ეს ჩამონათვალი არის დაფინანსება წარმოებების, დაწესებულებების ან ცალკეული პირების მიერ.

მეცენატობა – ეს არის ინდივიდუალური შემოწირულობა ცალკეული ხელოვანთათვის ან არაკომერციული

დაწესებულებებისადმი.

პატრონაჟი – გრძელვადიანი დახმარება კერძო ფონდებისა და ხელოვანთათვის ან დაწესებულებისადმი.

შემოწირულობა – ქველმოქმედება შეიძლება ატარებდეს ანონიმურ ხასიათს.

სპონსორობა – ეს არის საქმიანი ურთიერთობა კერძო კორპორაციის ან ფონდის დაწესებულებასთან ან რომელიმე პროექტის მონაწილესთან. სპონსორობა ნიშნავს ხანგრძლივ ურთიერთობებს საწარმოთა და კულტურის დაწესებულებას შორის. დონორობა კი ერთჯერადი თანამშრომლობაა.

ქველმოქმედებისა და მეცენატობის ტერმინისაგან განსხვავებით „სპონსორობა“ ჩვენს ლექსიკონში ახალია. სპონსორობა ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა 90-იანი წლებიდან, როგორც საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების შემადგენელი ნაწილი. სპონსორობა, როგორც კულტურის მხარდაჭერის მოდელი, განსხვავდება მეცენატობისაგან კომერციული დაინტერესების არსებობით, შენატანების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე გათვლით.

ქველმოქმედებითი საქმიანობა ხასიათდება სამი ნიშნით: ნებაყოფლობით,უანგარობით და სოციალურად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-სასარგებლო მიზნების რეალიზაციით. უანგარობა არის განსხვავება ქველმოქმედებასა და სპონსორობას შორის.

მეცენატობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ქველმოქმედების განსაკუთრებული სახე კულტურასა და ხელოვნებასთან მიმართებაში. საქველმოქმედო საქმიანობის მიზნები მიმართულია საზოგადოების სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ. მეცენატობის მიზნები კი უფრო კონკრეტულია და მიმართულია კულტურული მონაპოვრის შენახვისა და განვითარებისკენ.

უნდა ითქვას,რომ ამ მოვლენებზე უფრო მეტს მსჯელობენ, ვიდრე რეალურად იგრძნობა მათი ნაყოფი. ეს იმით აიხსნება, რომ ქველმოქმედება და სპონსორობა არ სტიმულირდება მატერიალურად (საგადასახადო შეღავათები), თუმცა გარკვეული მორალური სტიმული (საზოგადოების მიერ აღიარება) მას თან ახლავს.

კულტურული საქმიანობის მხარდაჭერის სისტემაში მნიშვნელოვანი რგოლი ხდება საქველმოქმედო ფონდები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ფონდებმა ფართო გავრცელება მიიღო აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, სადაც არსებობს მძლავრი ინფრასტრუქტურა, რომელიც ახორციელებს კულტურის და ხელოვნების ორგანიზაციების ფინანსურ მხარდაჭერას.

კულტურული დაწესებულებების ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა. მათი სტაბილური დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყენებული დაფინანსების ყველა არსებული წყარო და შეიქმნას პირობები ახალი წყაროების გამოსავლენად.

ამისათვის საჭიროა:

– უფრო ფართოდ გამოვიყენოთ სშდ, როგორც კულტურული დაწესებულებების მიზნობრივი საბიუჯეტო დაფინანსების ფორმა.

– კულტურულ დაწესებულებებს მიეცეთ შესაძლებლობა, მიღებული შემოსავლები მიმართონ შემოქმედებითი საქმიანობის სრულყოფისაკენ, გათავისუფლდნენ ისინი ყველა სახის გადასახადის გადახდისაგან სხვადასხვა დონის ბიუჯეტში.

– მიღებულ იქნეს რიგი ღონისძიებისა კულტურისა და ხელოვნების სფეროში ბიუჯეტგარეშე შემოსულობათა სტიმულირებისათვის: სამართლებრივი ბაზის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს ქველმოქმედებისა და სპონსორობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს; ამაღლდეს საზოგადოების თვალში ქველმოქმედთა და სპონსორთა პრესტიჟი; შეიქმნას ინიციატივები ახალი საქველმოქმედო ფონდების და საზოგადოებრივი გაერთიანებების შესაქმნელად, რომელთა საქმიანობაც მიმართული იქნება როგორც მთლიანად კულტურისა და ხელოვნების შენახვასა და განვითარებაზე ზემოქმედებისაკენ, ასევე კულტურის ცალკეული დაწესებულებების და კულტურის პროექტების მხარდასაჭერად; უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყანაში მსგავსი საქველმოქმედო ფონდების

შესახებ არსებული ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გავრცელება, შემოქმედებით კოლექტივებს გაეწიოს მეთოდური დახმარება.

მხოლოდ დაფინანსების სხვადასხვა წყაროს გამოყენება შესაძლებელს გახდის შევინარჩუნოთ და გავამრავლოთ კულტურული დაწესებულებების შემოქმედებითი პოტენციალი.

აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ქველმოქმედებისა და სპონსორობის მხარდაჭერა. იგი შეიძლება დავყოთ მატერიალურად და მორალურად. მატერიალურ სტიმულირებაში პირველი ადგილი უკავია საგადასახადო შედავათებს, ხოლო მორალურ სტიმულირების კონკრეტულ ზომებს მიეკუთვნება საპატიო წოდებებისა და სახელმწიფო ჯილდოების დადგენა და მინიჭება. დიდი მნიშვნელობა აქვს საქველმოქმედო საქმიანობის ინფორმაციულ გაშუქებას. დღეს ამაზე იწერება სტატიები, გამოდის სპეციალური ბროშურები. სამამულო ქველმოქმედების პრობლემებს სწავლობენ ცალკეული მკვლევრები, ტარდება ე. წ. მრგვალი მაგიდები, სემინარები, კონფერენციები და სხვ.

ჩვენი ქვეყნის სიტუაციის ანალიზისა და ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას,რომ ქველმოქმედების,მეცენატობის და სპონსორობის ჭეშმარიტი განვითარება კულტურაში შეიძლება მოხდეს მხოლოდ ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი ერთობლივი წანამძღვრების შექმნით.

ქველმოქმედების, მეცენატობის და სპონსორობის მხარდაჭერა კულტურის სფეროში უნდა გახდეს სახელმწიფოს კულტურული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება. ამასთან აუცილებელია ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, ქვეყნის სუბიექტების შესაძლებლობების გამოყენება „დონორების“ დამატებითი მატერიალური და მორალური სტიმულირებისათვის. ამ მიმართულებით ბევრის გაკეთება შეუძლიათ თვით კულტურის ორგანიზაციებს – თავიანთ საქმიანობაში ფანდრეიზინგის ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს მათ, კულტურული პროექტების განხორციელებისას გადავიდნენ

„ხელგაწვდილი“ მდგომარეობიდან სრულყოფილ სოციალურ პარტნიორობაზე.

საქართველოში ბოლო პერიოდში შეინიშნება ქველმოქმედების გამოცოცხლება. ზოგიერთი ჩვენი ცნობილი ბიზნესმენი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს კულტურის სფეროს განვითარებას. კერძოდ, მათი უშუალო მონაწილეობით ხდება კულტურის ორგანიზაციების დაფინანსება, მთელი რიგი ახალი ეკლესიის მშენებლობა, არსებულის აღდგენა-რესტავრაცია, შეკეთება, კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა ფინანსური დახმარების გაწევა სტიპენდიების სახით და მრავალი სხვ.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის დაფინანსება, როგორია მისი მოდელები კულტურაში?
2. კულტურის დაფინანსების რა საშუალებები არსებობს საქართველოში თანამედროვე პირობებში?
3. რა არის ფანდრეიზინგი?
4. რომელია კულტურის სფეროს დაფინანსების ძირითადი წყარო და კულტურის სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებათა ფინანსური სახსრები?
5. როგორი ფორმებით ხორციელდება მეწარმეობა კულტურაში?
6. რომელია კულტურის დაფინანსების არასაბიუჯეტო წყაროები, დაახასიათეთ ისინი.
7. რა არის საჭირო კულტურის სფეროს სტაბილური დაფინანსების უზრუნველსაყოფად?

თავი 10. ფასწარმოქმნა კულტურის სფეროში

10.1. წარმოების დანახარჯები კულტურაში

ფასწარმოქმნა – ფასების ფორმირებისა და ცვლილების, მათი დონეების, თანაფარდობისა და სტრუქტურის განსაზღვრის პროცესია. ფასის ძირითადი ელემენტია წარმოების დანახარჯები.

დანახარჯები ეკონომიკური მაჩვენებელია, რომელიც მოიცავს ნებისმიერი სამეურნეო ერთეულის (ორგანიზაციის, ფირმის და ა. შ.) საქმიანობასთან დაკავშირებით მატერიალური, შრომითი, ფინანსური, ბუნებრივი და სხვ. რესურსების ხარჯებს. წარმოების დანახარჯები – ეს არის წარმოების ფაქტორთა მოხმარებული ნაწილის ღირებულება, რომელიც საჭიროა გარკვეული სახეობისა და მოცულობის პროდუქტის საწარმოებლად.

დანახარჯები თავისი შედგენილობისა და ეკონომიკური დანიშნულების, პროდუქციის შექმნასა და რეალიზაციაში მისი როლის მიხედვით, სხვადასხვანაირია, რაც იწვევს მათი კლასიფიკაციის აუცილებლობას. დანახარჯების სტრუქტურა – ეს არის ცალკეული სახის დანახარჯების პროცენტული თანაფარდობა საერთო ჯამთან. დანახარჯების კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

დანახარჯების გამსხვილებული სტრუქტურა ეკონომიკური ელემენტების მიხედვით ასეთია:

1. მატერიალური დანახარჯები (ნედლეული, მასალები, სათბობი და სხვა);
2. მუშაკთა შრომის ანაზღაურების ხარჯები;
3. სხვადასხვა ხარჯი.

დანახარჯების ზრდა საერთო ტენდენციაა. ასევე ხდება დანახარჯების ზრდა ერთ ორგანიზაციაზე და კულტურული პროდუქციის ერთეულზე. ამას კულტურის სფეროში „ბაუმოლის ავადმყოფობას“ უწოდებენ და ნიშნავს კულტურის ორგანიზაციების დანახარჯების წინგამსწრებ ზრდას მათი შემოსავლების ზრდასთან შედარებით.

კულტურის მომსახურებაზე დანახარჯების ზრდის

ძირითადი ფაქტორებია:

– მატერიალურ წარმოებაში საქონელსა და მომსახურებაზე ფასებისა და ტარიფების ზრდა, რის გამოც იზრდება დანახარჯები შენობების, სატრანსპორტო საშუალებების შეძენა-შენახვაზე;

– ახალი ტექნიკის და მოწყობილობის შეძენა,რომელსაც ახლავს დანახარჯების ზრდა მათ მომსახურებაზე;

– კულტურის მუშაკების ხელფასის განაკვეთების გადიდება.

საერთოდ, კულტურის მომსახურებაზე დანახარჯების ზრდა მნიშვნელვოანწილად დაკავშირებულია ეროვნულ მეურნეობაში მიმდინარე პროცესებთან.

90-იან წლებამდე დანახარჯების სტრუქტურა მეტნაკლებად სტაბილური იყო,ყველა ელემენტი ძვირდებოდა პროპორციულად, ჭარბობდა დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე.

90-იანი წლებიდან შეიცვალა დანახარჯების სტრუქტურა. შემცირდა ხელფასის წილი საერთო დანახარჯებში. შეინიშნება მატერიალური დანახარჯების წილის წინგამსწრები ზრდა. ეს გამოწვეულია გარეშე ფაქტორების მოქმედებით. შეინიშნება იმ დანახარჯების უფრო სწრაფი ზრდა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეურნეო საქმიანობას.

10.2. ფასები და ფასწარმოქმნა კულტურაში

ფასი არის კულტურის ორგანიზაციის მეურნეობრიობის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინსტრუმენტი. იგი ინტეგრირებულია ფინანსური სისტემის საერთო რეგულირებაში.

ფასების კლასიკური განმარტება შემდეგია:

ფასი არის საქონლისა და მომსახურების ერთეულის შეძენაზე გადახდილი ფულადი ერთეულების რაოდენობა. კულტურის სფეროში არ არსებობს პირდაპირი, უშუალო კავშირი ფასსა და სარგებლიანობას შორის. ეს კავშირი გაშუალებულია მომსახურების სარგებლიანობით,რომელიც

არსებობს ორი ფორმის: ინდივიდუალური და სოციალური სარგებლიანობა.

კულტურის მომსახურება არსებობს როგორც ფასიანი, ისე უფასო ფორმით, ასევე შედავათიანი ფასებით.

შედავათიანი ფასების განსხვავება დაბალი ფასებისაგან მდგომარეობს იმაში,რომ დაბალი ფასები ვერ უზრუნველყოფენ გაფართოებული კვლავწარმოების პირობებს, მაგრამ ანაზღაურებენ ხარჯებს. ხოლო შედავათიანი ფასები ვერ უზრუნველყოფენ მარტივი კვლავწარმოების პირობებს მთლიანად,ვერ ანაზღაურებენ ხარჯებს. ისინი ანაზღაურდება სუბსიდიებით (ფინანსური დახმარებით).

ფასების ეკონომიკური შინაარსი მეტნაკლებად სრულად ვლინდება მის ფუნქციებში, რომელიც შემდეგია:

– საანგარიშო,ანუ,იგი იძლევა პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე დანახარჯების გაზომვის საშუალებას;

– მარეგულირებელი, ანუ, იგი აწონასწორებს მიწოდება-მოთხოვნას;

– გადანაწილებითი, ანუ, უზრუნველყოფს შემოსავლების განაწილებას ეკონომიკის სექტორებს, დარგებს, რეგიონებს, სამეურნეო სუბიექტებსა და მოსახლეობას შორის;

– მასტიმულირებელი, ანუ, პროდუქციის წარმოებასა და მოხმარებაზე ახდენს წამახალისებელ და შემაკავებელ ზემოქმედებას.

კულტურის მომსახურებაზე ფასების ფუნქციების სპეციფიკა განისაზღვრება ამ მომსახურების სამომხმარებლო ღირებულების ორი ფორმის: ინდივიდუალური და სოციალური სარგებლიანობის არსებობით.

საერთოდ, კულტურის მომსახურებაზე ფასები რეგულატორის როლს ასრულებს მწარმოებლებს, მომხმარებლებს და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში. ფასწარმომქმნელი ფაქტორებია ის მრავალმხრივი პირობები, რომელშიაც ხდება ფასების დონის ფორმირება. კულტურის მომსახურებაზე ფასები განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

– წარმოებასა და რეალიზაციაზე დანახარჯების დონე, რომელიც არსებითად განსხვავდება რეგიონებისა და

მომსახურების სახეობის მიხედვით;

– მომსახურების სამომხმარებლო თვისებები და ხარისხი, აგრეთვე მათი წარმოდგენის პირობები (ადგილმდებარეობა, შენობის ტექნიკური აღჭურვილობა, სმენადობა და სხვ.);

– კონკურენტების ფასები მსგავს მომსახურებაზე.

– მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნილება – ადამიანების მოთხოვნილება მოცემულ მომსახურებაზე, რომელიც უზრუნველყოფილია ფულადი სახსრებით, მათი დამოკიდებულება მოდასთან, გემოვნების მიმართ;

– „ბრენდი“, ორგანიზაციის სასაქონლო ნიშნის, მომსახურების, ან კულტურის კონკრეტული მოღვაწის პოპულარობა;

– მომსახურების უნიკალობა მომხმარებლის თვალსაზრისით, მსგავსი შეფასებების სუბიექტურობა;

– სოციალური ფაქტორი – საზოგადოებრივი მოთხოვნილება მოცემული სახის მომსახურებაზე; სახელმწიფო პოლიტიკა,რომელიც მიმართულია კულტურის მომსახურებით უზრუნველყოფაზე, უპირველეს ყოვლისა – სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფენებისათვის.;

– ფსიქოლოგიური ფაქტორი – ორიენტაცია დამფუძნებლების, სხვადასხვა ჯგუფის მომხმარებლების, თვით კულტურის ორგანიზაციების ფსიქოლოგიურ განწყობაზე;

დროითი ფაქტორი – ფასების დიფერენციაცია სეზონის, კვირის დღეების, დღის განმავლობაში დროის და მომსახურების სიახლისაგან დამოკიდებულებით.

ფასების ფაქტორების ყველა მრავალსახეობა შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: 1). საბაზრო (არაკონიუნქტურული), 2). კონიუნქტურული (მოდა, გემოვნება, მომხმარებლის უპირატესობა და სხვ.),3). მარეგულირებელი – დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკასთან.

თანამედროვე პირობებში არ არსებობს კულტურის სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანიზაციების ხელმძღვანელთა რეალური დაინტერესება ფასების ბერკეტების ეფექტიანად გამოყენებით. კულტურის კომერციული ორგანიზაციები ფასების დაწესების დროს

ორიენტირებულნი არიან ძირითადად მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნილებაზე. სხვა დარგებთან შედარებით კულტურის მომსახურებაზე მოთხოვნა ნაკლებად ელასტიკურია,ცვალებადია,ფასების დინამიკასთან მიმართებაში.

დღემდე ფასების პოლიტიკაში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ეტაპი.

I ეტაპი – მე-20 საუკუნის 80 წლებამდე – სახელმწიფოს მიერ რეგულირებული,ცენტრალიზებულად (დირექტიულად) დადგენილი ფასები. ამ ეტაპის უპირატესობა იყო ფასების სტაბილურობა, კულტურის მომსახურების ხელმისაწვდომობა. ნაკლოვანება იყო ფასების მეტისმეტად დაბალი დონე თვით მოსახლეობის რეალურ შემოსავლებთან, კულტურის ობიექტების დანახარჯებთან, სხვა საქონლისა და მომსახურების ფასებთან შედარებით, არასაკმარისი დიფერენციაცია და მოქნილობა.

II ეტაპი – (მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან) – ფინანსური რეგულირების საერთო კონტექსტში მოქნილი ფასების სისტემაზე გადასვლა; ფასების დიფერენციაციის გაძლიერება; მოსახლეობის კულტურულ ღონისძიებებზე დასწრების სტიმულირების შესაძლებლობის გაჩენა მათი შემოსავლების გაზრდით.

80-იანი წლების ბოლოს ფართოდ გამოიყენებოდა მოქმედი ფასებისადმი დამატებების და ჩამოფასების სისტემა.

დამატებებისა და ფასდაკლების სისტემამ შესაძლებელი გახადა კონკრეტული სიტუაციის,კულტურული საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინება. დამატებებისა და ფასდაკლების სისტემის შემოღება ითვალისწინებდა მათ აუცილებელ გამოყენებას. კულტურის თითოეულ დაწესებულებას, კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, შეეძლო თავისი შეხედულებებისამებრ გამოეყენებინა ან არ გამოეყენებინა დამატებები და ფასდაკლებები ყველა ან ზოგიერთი მომსახურებისათვის.

III ეტაპი – 90-იანი წლების დასაწყისიდან შემოვიდა თავისუფალი ფასწარმოქმნა,ანუ,კულტურის ორგანიზაციების დამოუკიდებლობა ფასების დაწესებაში მათ ფასიან

მომსახურებასა და პროდუქციაზე ბილეთის ფასების ჩათვლით; შედავათიანი ფასები მომხმარებელთა ცალკეული კატეგორიისათვის, მათ მიერ კულტურის ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ფასიანი ღონისძიებების დასწრებისას. შედავათების მიცემის წესი განისაზღვრება ხელისუფლების ორგანოების მიერ,რომელთა დაქვემდებარებაშიც იმყოფებიან კულტურის ორგანიზაციები. კულტურის მომსახურებაზე საჭიროა ფასების შემდგომი სრულყოფა,მათი მოქნილობისა და დიფერენციაციის გაძლიერება.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის დანახარჯები და როგორია მათი კლასიფიკაცია?
2. რომელია კულტურულ მომსახურებაზე დანახარჯების ზრდის ძირითადი ფაქტორები?
3. რა არის ფასი?
4. რა ფუნქციები აქვს ფასებს?
5. რა ფაქტორებით განისაზღვრება ფასები კულტურულ მომსახურებაზე?
6. როგორ ჯგუფდება ფასები?
7. ფასების პოლიტიკაში რა ეტაპები გამოიყოფა დღემდე დაახასიათეთ ისინი.

თავი 11. შრომის ანაზღაურება კულტურის სფეროში

11.1. ხელფასის არსი და შრომის ანაზღაურების სატარიფო სისტემა კულტურაში

შრომის ანაზღაურება – ეს არის ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს გამცემის მიერ მუშაკთათვის შრომის ანაზღაურების დადგენის და განხორციელების უზრუნველყოფასთან კანონების, სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, კოლექტიური ხელშეკრულებების, შეთანხმებების, შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად.

ხელფასი – ეს არის დახარჯული შრომის გასამრჯელო მისი კვალიფიკაციის შესაბამისად, სამუშაოს სირთულის, ოდენობის, ხარისხის, პირობების მიხედვით, აგრეთვე საკომპენსაციო და მასტიმულირებელი ხასიათის გადახდები.

მინიმალური ხელფასი, ანუ შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა,არის არაკვალიფიცირებული მუშაკის გარანტირებული თვიური ხელფასის ოდენობა, რომელსაც იგი შრომის ნორმალურ პირობებში მარტივი სამუშაოს შესრულებისას გამოიმუშავებს.

ხელფასის ძირითადი ფუნქციებია ის, რომ იგი უნდა იყოს: 1. გარანტირებული, ანუ, მან უნდა უზრუნველყოს შრომისუნარიანი, ადამიანის საარსებო მინიმუმი; 2. მასტიმულირებელი – ასტიმულირებს ადამიანის საქმიანობის როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

ხელფასს აქვს ორმაგი ხასიათი კულტურაში. იგი, ერთი მხრივ,დამოკიდებულია დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხზე, მეორე მხრივ, მისი დონე განისაზღვრება შრომის შედეგებით მატერიალური წარმოების სფეროში.

შრომის ანაზღაურების ორგანიზაცია რამდენიმე პრინციპს ემყარება. ეს პრინციპებია: ხელფასის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა

სახელმწიფო დონეზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აუცილებელი ნორმატიული და სამართლებრივი აქტების მიღება; ხელფასის სახელმწიფო გარანტიების დადგენა; ხელფასის დონის პერიოდული გადასინჯვა შრომის პირობების შეცვლასთან დაკავშირებით; ხელფასის დონის დიფერენციაცია დარგების, რეგიონების, მუშაკთა კატეგორიების მიხედვით; საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შეთანხმება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების რეგიონულ დამოუკიდებლობასთან; სოციალური პარტნიორობა, რომელიც მოიცავს სამუშაოს მიმცემისა და მუშაკის მონაწილეობის უფლებას შრომითი ურთიერთობების სახელშეკრულებო რეგულირებაში.

საწარმოო პერსონალის კატეგორიის მიხედვით მუშებისათვის შრომის ანაზღაურება წარმოებს სატარიფო სისტემით, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეებისათვის – თანამდებობრივი განაკვეთებით. სატარიფო სისტემა ნორმატივების ერთობლიობაა,რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა ხელფასის დიფერენციაცია.

ხელფასის სატარიფო სისტემა მოიცავს სატარიფო განაკვეთებს, სატარიფო ბადეს და სატარიფო კოეფიციენტებს.

სატარიფო განაკვეთი – მუშაკის მიერ დროის ერთეულში შესრულებული გარკვეული სირთულის და კვალიფიკაციის შრომის ოდენობაა.

სატარიფო ბადე – სამუშაოს (პროფესიის,თანამდებობის) სატარიფო თანრიგების ერთობლიობაა, რომლებიც განისაზღვრება სამუშაოს სირთულის და მუშაკთა კვალიფიკაციის გათვალისწინებით სატარიფო კოეფიციენტების საშუალებით.

სამუშაოთა სირთულე განისაზღვრება მათი ტარიფიკაციით. სამუშაოს ტარიფიკაცია არის შრომის სახეობისათვის სატარიფო თანრიგების ან კვალიფიკაციური კატეგორიების მიკუთვნება შრომის სირთულის გათვალისწინებით.

სატარიფო თანრიგი – სიდიდეა, რომელიც ასახავს შრომის სირთულეს და მუშაკის კვალიფიკაციას.

კვალიფიკაციური თანრიგი – სიდიდე,რომელიც ასახავს

მუშაკის პროფესიონალური მომზადების დონეს.

სამუშაოს ტარიფიკაცია და მუშაკისადმი სატარიფო თანრიგების მიკუთვნება ხდება სატარიფო კვალიფიკაციური მახასიათებლების გათვალისწინებით კულტურის მუშაკების თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების საერთო დარგობრივი პროფესიებისა და თანამდებობების სატარიფო-კვალიფიკაციური მახასიათებლების მიხედვით.

აღნიშნული სატარიფო-კვალიფიკაციური მახასიათებლები მტკიცდება მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

კულტურის მუშაკების სატარიფო-კვალიფიკაციური მახასიათებლები თანამდებობის მიხედვით მოიცავს თანამდებობების ჩამონათვალს,რომელიც დამახასიათებელია კულტურის ორგანიზაციისათვის; ისინი ადგენენ თითოეული თანამდებობისათვის შესაბამის მოვალეობებს,განსაზღვრავენ მოთხოვნებს,რომელსაც უნდა პასუხობდეს ამ თანამდებობის რეზიდენტი სპეციალისტი.

ცალკეული თანამდებობის მიხედვით ცნობარში არის სამი განყოფილება:

თანამდებობრივი მოვალეობები – ფუნქციების აღწერა, რომელიც ეკისრება მუშაკს სამუშაოს სირთულის გათვალისწინებით.

განყოფილება – „უნდა იცოდეს“ – ეს არის ჩამონათვალი საკანონმდებლო აქტების, დებულებების, ინსტრუქციების, რომელიც უნდა იცოდეს სპეციალისტმა და აგრეთვე პრაქტიკული სიახლეები,რომელიც საჭიროა თანამდებობრივი მოვალეობების შესასრულებლად.

მოთხოვნები კვალიფიკაციისადმი: საერთო და სპეციალური მომზადების მინიმალური დონის განსაზღვრა, ცალკეულ შემთხვევებში მუშაობის სტაჟის მიხედვით, რომელიც უფლებას იძლევა გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად.

არსებობს აგრეთვე შრომის ანაზღაურების უტარიფო სისტემა, რომელიც გამორიცხავს სატარიფო სისტემის რიგ ნაკლოვანებას, რაც მდგომარეობს მის სირთულეში და ხელფასების გამოთანაბრების ტენდენციაში. ამ სისტემის სახესხვაობაა საკონტრაქტო სისტემა,ანუ,ხელშეკრულების

დადება მუშაკსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას შორის გარკვეული ვადითა და პირობით. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ კულტურის სახელმწიფო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების რაოდენობას და პირობებს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ მუნიციპალური, უნიტარული საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაკთა შრომის ანაზღაურებას.

შრომის ანაზღაურების ორი ფორმა არსებობს.

დროითი – ფაქტობრივად გამომუშავებული დროის მიხედვით.

სანარდო – შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით.

ანაზღაურების დროითი ფორმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა შესრულებული სამუშაოს მოცულობის ან შექმნილი პროდუქციის შეფასება რაოდენობრივად შეუძლებელია ან არ არის მიზანშეწონილი. დროის ფორმის გამოყენებისას უნდა იყოს დაცული შემდეგი მოთხოვნები:

– მუშაკის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვა;

– კვალიფიკაციური თანრიგების სწორი მინიჭება.

ანაზღაურების სანარდო ფორმა გამოიყენება კულტურის ორგანიზაციებში, იქ, სადაც შესაძლებელია ნორმირება, მიღწეულ შედეგში ინდივიდუალური და კოლექტიური შრომის წილის გათვალისწინება.

სანარდო ფორმა ითვალისწინებს ისეთი სავალდებულო პირობების დაცვას, როგორიცაა: ნორმირებული დავალების შესრულება და სამუშაოს სწორი ტარიფიკაცია სატარიფო-კვალიფიკაციური მოთხოვნების შესაბამისად.

კულტურის ორგანიზაციებში გავრცელებულია შრომის ანაზღაურების დროითი – პრემიალური და კოლექტიური სისტემები.

დროითი პრემიალური სისტემა ეფუძნება სატარიფო განაკვეთების და მასტიმულირებელი ხასიათის

გადახდების შეთანაწყობას და გამოიყენება შემოქმედებითი მუშაკებისათვის.

კოლექტიური სისტემა ითვალისწინებს ხელფასის ფონდის სახსრების განაწილებას შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტების საფუძველზე და გამოიყენება შემოქმედებითი კოლექტივების საწარმოო ბრიგადებში. კულტურის ორგანიზაცია თვითონ ირჩევს შრომის ანაზღაურების სისტემას, რომელიც შეესაბამება მისი საქმიანობის სპეციფიკას შრომის ასანაზღაურებლად არსებული სახსრების ფარგლებში.

ხელფასი, როგორც წესი, შედგება სამი ნაწილისაგან:

– სტარიფო განაკვეთი (სარგო);
– საკომპენსაციო გადახდები;
– მასტიმულირებელი გადახდები.

საკომპენსაციო გადახდებს მიეკუთვნება გადახდები სამუშაოზე: ღამის პერიოდში,გამოსასვლელ და არასამუშაო დღეებში, განსაკუთრებული კლიმატური პირობების ადგილებში; სამუშაო დროის ნორმალური ხანგრძლივობის ზევით; სხვა შემთხვევებში, რომელიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

გამოიყენება აგრეთვე რაიონული კოეფიციენტები, რომლებიც ხელფასის გადიდების ხარისხის ნორმატიული მაჩვენებელია კულტურის ორგანიზაციის მდებარეობისაგან დამოკიდებულებით. ეს კოეფიციენტები ემსახურება შრომის არასასურველი ბუნებრივ-კლიმატური პირობების კომპენსაციას.

დანამატი მომსახურების ზონის გაფართოებისათვის ნიშნავს იმას, რომ მუშაკი თავისი სამუშაო დროის განმავლობაში თავის ძირითად სამუშაოსთან ერთად, რომელიც გათვალისწინებულია შრომითი ხელშეკრულებით, ასრულებს დამატებით სამუშაოს სხვა პროფესიით.

პროფესიების შეთავსება აკრძალულია ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის, ხორციელდება თავის საკუთარ ორგანიზაციაში, სრულდება მუშაკის მიერ თავის ძირითად დროში.

პროფესიების შეთავსება შეიძლება განვასხვაოთ

სამუშაოს შეთავსებისაგან. შეთავსება არის მუშაკის მიერ თავის ძირითად სამუშაოსთან ერთად სხვა, რეგულარულად ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე თავის ძირითად სამუშაოსაგან თავისუფალ დროს.

შეთავსება ნებადართულია ყველასათვის, მათ შორის ორგანიზაციის ხელმძღვანელისთვისაც, ხორციელდება როგორც თავის ორგანიზაციაში, ისე მის გარეთ (შინა და გარე შეთავსება); ხორციელდება ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს.

შეთავსებითი სამუშაოს საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს დღეში და 16 საათს კვირაში. კულტურის მუშაკებს ნება ეძლევათ იმუშაონ შეთავსებით სამუშაო დროის თვიური ნორმის ფარგლებში დამატებით პედაგოგებად,კონცერტმაისტრებად, ბალეტმაისტერებად, ხორმაისტერებად, აკომპანიატორებად, სამხატვრო ხელმძღვანელებად. შემთავსებელთა შრომის ანაზღაურება ხდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

მასტიმულირებელი ხასიათის გადახდები წარმოებს სამუშაოს მიმცემის მიერ კოლექტიურ ხელშეკრულებაში და სპეციალურ დებულებაში შესაბამისი ჩანაწერების საფუძველზე,რომელიც შემუშავებულია და დამტკიცებული კულტურის ორგანიზაციის მიერ დამოუკიდებლად.

დამატებები ატარებენ ინდივიდუალურ ხასიათს, გადაიხდება შემოქმედებითი მიღწევებისათვის, შრომითი ინტენსივობისათვის და სხვ. დგინდება წინასწარ,გარკვეული ვადით (1 წლამდე).

პრემიები გადაიხდება წარსულ პერიოდში შრომის მაღალი შედეგებისათვის. მასტიმულირებელი გადახდების სიდიდე შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი სახსრების ფარგლებში არ არის მაქსიმალურად შეზღუდული. მასტიმულირებელი გადახდების სიდიდეს კულტურის ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის ადგენს დამფუძნებელი.

კულტურის სფეროში ხელფასის ოდენობა ჩამორჩება

ეკონომიკის სხვა სფეროების ხელფასებს, აგრეთვე ინფლაციის ტემპებს. მეორადი, მესამედი დასაქმების მასშტაბების გაფართოება შემოქმედებითი პოტენციალის ცვეთის, შემოქმედებითი შრომის ხარისხის გაუარესების საშიშროებას ქმნის.

შრომის ანაზღაურებას კულტურის კერძო ორგანიზაციებში აქვს უფრო მოქნილი სისტემა და ხელფასის მაღალი დონე, პროფესიების შეთავსების ეკონომიკური მოტივაცია. შრომის ანაზღაურების საერთო პირობები შეიძლება განისაზღვროს კოლექტიური ხელშეკრულებებით, შეთანხმებებით, შრომის ანაზღაურებაში სატარიფო-კვალიფიკაციური მოთხოვნების და სახელმწიფო გარანტიების გათვალისწინებით.

11.2. შრომით ურთიერთობათა სახელშეკრულებო რეგულირება

შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრავს შრომით საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. შრომითი ხელშეკრულებების მხარეებს წარმოადგენენ სამუშაოს მიმცემი და მუშაკი. შრომითი ხელშეკრულება არის შეთანხმება სამუშაოს მიმცემსა და მუშაკს შორის, რომლის შესაბამისად სამუშაოს მიმცემი ვალდებულია, მუშაკი უზრუნველყოს შრომის პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით; თავისდროულად და სრულად აუნაზღაუროს ხელფასი. მუშაკი,თავის მხრივ,ვალდებულია შეასრულოს შეთანხმებით განსაზღვრული სამუშაო, დაიცვას ორგანიზაციაში მოქმედი შრომითი შინაგანი განაწესი. შრომითი ხელშეკრულება ადგენს ანაზღაურების კონკრეტულ პირობებს,მუშაკის უფლება-მოვალეობებს.

შრომითი ხელშეკრულების სახეებია: განუსაზღვრელი და განსაზღვრული – არა უმეტეს 5 წლის ვადით.

შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით.

კულტურის სფეროში გამოიყენება აგრეთვე სპეციალური გასაცემლები,როგორიცაა: საავტორო ჯილდოები, სტიპენდიები,

პრემიები და სხვ. საავტორო ჯილდოები გაიცემა ავტორზე ნაწარმოების შექმნის ან გამოყენებისათვის.

ადრე საავტორო ჯილდოების განაკვეთები დგინდებოდა მთავრობის მიერ. ამჟამად მისი განაკვეთები, ანაზღაურების წესები და ვადები განისაზღვრება საავტორო ხელშეკრულებაში ნაწარმოების შექმნის ან საავტორო უფლებით დაცული პირობების გამოყენების შესახებ.

საავტორო ჯილდოს მინიმალური განაკვეთი დგინდება მთავრობის მიერ ერთდროულად ხელფასის მინიმალური ზომის ინდექსაციით.

საავტორო ჯილდოს ოდენობა განისაზღვრება:

შესრულების შემდეგ შემოსული შემოსავლიდან პროცენტის სახით ან ფიქსირებული თანხით და ა. შ.

გარდა ამისა, არსებობს აგრეთვე სტიპენდიები და სხვა სახის გადახდები. სახელმწიფო სტიპენდიები მიმართულია კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა მხარდასაჭერად.

სტიპენდია გაიცემა გარკვეული ვადით, მისი ოდენობა განსაზღვრულია კანონით, განაწილება ხდება კულტურის სამინისტროს მიერ.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის შრომის ანაზღაურება, ხელფასი?
2. როგორია ხელფასის ფუნქციები?
3. რა პრინციპებს ემყარება შრომის ანაზღაურების ორგანიზაცია კულტურაში?
4. როგორ წარმოებს შრომის ანაზღაურება მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეებისათვის?
5. რა არის სატარიფო სისტემა და რას მოიცავს იგი?
6. რა არის შრომის ანაზღაურების უტარიფო სისტემა?
7. რა არის შრომის ანაზღაურების დროითი ფორმა?
8. რა არის შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემა?
9. რა და რა ნაწილებისაგან შედგება ხელფასი, დაახასიათეთ ისინი?
10. რა არის შრომითი ხელშეკრულება, მისი სახეები?
11. რა სპეციფიკური გასაცემლები არის აგრეთვე კულტურის სფეროში?

თემა 12. საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობა და საქართველოს კულტურული პოლიტიკა

ყველა ადამიანს აქვს უფლება, ისარგებლოს არა მარტო თავისი ქვეყნისა და ხალხის, არამედ სხვა ქვეყნებისა და ხალხების კულტურის სფეროს მიღწევებით. ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციაში, მის 27-ე მუხლში ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ეზიაროს ხელოვნებას.

საქართველოს კონსტიტუციაში (თავი II, მუხლი 34) აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურის სფეროში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, ადამიანთა კულტურული თვითმყოფადობის გამოვლენას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებასა და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაფართოებას.

ქვეყნის კულტურული თანამშრომლობის წინაპირობას წარმოადგენს „კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის“ ცნების მნიშვნელობის გათვითცნობიერება.

კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის კონცეფცია დაფუძნებულია კულტურის ნიმუშების, ქმნილებათა მნიშვნელობაზე ცივილიზაციის განვითარებაში, მსოფლიო კულტურის ფასეულობათა ერთობლივი დაცვის აუცილებლობის აღიარებაზე ნებისმიერ პირობებში. კულტურა უნდა განიხილებოდეს როგორც კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობა. ეს კონცეფცია ხელს უწყობს ცოდნის შენარჩუნებას, პროგრესს და გავრცელებას, ზრუნავს რა კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის – წიგნების, ხელოვნების ნაწარმოებების და ისტორიული და მეცნიერული მნიშვნელობის სხვა ძეგლთა – შენარჩუნებასა და დაცვაზე. ტერმინი „საერთო მემკვიდრეობა“ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც. იუნესკოს 1954 წლის ჰააგის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული ფასეულობის დაცვის შესახებ, მთლიანად

აგებულია კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობის აღიარებაზე. მასში ნათქვამია, რომ „ზიანი, რომელიც მიეყენება ხალხის კულტურულ ფასეულობებს, წარმოადგენს ზიანს მთელი კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობისათვის,რამეთუ ყოველ ხალხს შეაქვს თავისი წვლილი მსოფლიო კულტურაში“.

კულტურის სფეროში საერთაშორისო კავშირები ხორციელდება გარკვეული მიმართულებით და ფორმებით. ეს ფორმებია: კულტურული ფასეულობების, მაგალითად: კინოფილმების, ფერწერის, ქანდაკებების ნიმუშების ფასეულობების გაცვლა, კულტურულ ფასეულობათა დაცვა,კულტურული ფასეულობების შექმნაზე ერთობლივი საქმიანობა, კონკურსების, ფესტივალების ჩატარება და სხვ.

კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებისას სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ზოგადი, ძირითადი და კულტურული თანამშრომლობის აღიარებული სპეციალური პრინციპებით.

საერთაშორისო სამართლის პრინციპების დეკლარაციაში ჩამოყალიბებულია რამდენიმე პრინციპი,რომელიც მთლიანად ვრცელდება საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის სფეროზე. ეს პრინციპებია: ძალისმიერი მეთოდების გამოყენების აკრძალვა; სახელმწიფო სუვერენიტეტის აღიარება; შიდა საქმეებში ჩაურევლობა, თანასწორობა და თვითგამორკვევების უფლება; დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა; ვალდებულებების შესრულება.

კულტურის სფეროში თანამშრომლობის ზოგადმა პრინციპებმა ასახვა პოვა ისეთ მრავალმხრივ დოკუმენტებში, როგორიცაა, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც მიღებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს და 1966 წლის 19 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ,სოციალურ და კულტურულ უფლებებზე. სპეციალური პრინციპები ჩამოყალიბდა საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის დეკლარაციაში,რომელიც

მოწონებულ იქნა იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე 1996 წ. 4 ნოემბერს. დეკლარაცია აღიარებს შემდეგ პრინციპებს: კულტურათა თანასწორობა, კულტურის მიერ მშვიდობის საქმის ხელშეწყობის,კულტურული საქმიანობის ურთიერთსარგებლიანობის, მშვიდობისა და ომის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის ვალდებულებები.

დღევანდელ პირობებში საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობა აქტიურად ვითარდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით და შემდეგ სფეროებში: მასობრივი ინფორმაციის, კინემატოგრაფია, მუზეუმების საქმიანობა, საავტორო უფლებები.

ბოლო პერიოდის საქართველოში მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნების რთული პროცესი,ნეგატიური მოვლენები, ქართულ კულტურასაც შეეხო, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად სახელმწიფო ხელშეწყობაზეა დამოკიდებული. ამასთან, კულტურის მრავალ სფეროში საზოგადეობრივ ურთიერთობათა დემოკრატიზაციამ ხელი შეუწყო შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას. მნიშვნელოვნად გაიზარდა სატელევიზიო არხებისა და რადიოსადგურების რაოდენობა, შეიქმნა მრავალი საინფორმაციო-ანალიტიკური, შემეცნებითი, გასართობი გადაცემები. განვითარდა კულტურის მასობრივი სახეობები – აუდიო და ვიდეოინდუსტრია. აღდგენილ იქნა და აშენდა უამრავი ტაძარი, ჩამოყალიბდა თეატრალური სტუდიები, გაფართოვდა სამუზეუმო დაწესებულებები, გააქტიურდა საერთაშორისო კავშირები და ქართული კულტურა მსოფლიო კულტურას უფრო მეტად დაუახლოვდა.

1994 წლიდან მცხეთის ისტორიული ძეგლები (სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი,ჯვრისა და სამთავისის მონასტრები) შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში, რითაც საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა ამ ძეგლების გამორჩეული, ზოგადსაკაცობრიო კულტურული მნიშვნელობა. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში ასევე 1996 წლიდან შეტანილია ზემო სვანეთის სოფელი ჩაჟაში, რომელიც გამოირჩევა თავისი არქიტექტურული და შეუდარებელი პეიზაჟით.

ამასთან ერთად,კულტურის სფეროში სახეზეა კრიზისი,

რაც მდგომარეობს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უმწეობაში, აუცილებელი მოწყობილობების უქონლობაში, ინფორმაციული და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ჩამორჩენაში, კულტურისა და ისტორიული ძეგლების,მუზეუმების,ექსპონატების და საარქივო ფონდების არასათანადოდ დაცვაში, კულტურისა და ისტორიულ ძეგლთა სახელმწიფოებრივი აღრიცხვის სათანადო სისტემის უქონლობაში,კვალიფიციური კადრების დენადობაში და სხვ. ყოველივე ამის მიზეზია არასაკმარისი სახელმწიფოებრივი დაფინანსება,რის შედეგადაც კულტურის მუშაკთა შრომის ანაზღაურება მეტად დაბალია, კულტურული პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებზე ვერ ხერხდება სახსრების თავმოყრა. ყოველივე ეს იწვევს ეროვნული კულტურის დაკნინებას და დარგში ნოვატორობის და მოდერნიზაციის შეფერხებას.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში კულტურის სფეროს მართვას ახორციელებს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, რომელსაც აქვს ხელოვნებისა და განათლების, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტები. კულტურულ მემკვიდრეობის დეპარტამენტი,თავის მხრივ, აერთიანებს უძრავი ძეგლების, არქეოლოგიისა და დაცული ზონების, მონიტორინგისა და პრევენციული კონსერვაციის, მუზეუმებისა და მოძრავი ძეგლების, სტრატეგიული დაგეგმვისა და ევროპასთან თანამშრომლობის,საინფორმაციო სისტემების,ექსპერტიზის სამმართველოებს.

ამ სტრუქტურების მუშაობას ხელი შეუწყო სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებამ, რომელმაც უნდა დაარეგულიროს კულტურის სფეროს საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მიღებულია მთელი რიგი კანონი,კერძოდ: „საკუთრების შესახებ“,„მეწარმეთა შესახებ“, რომლებმაც ბიძგი მისცა კერძო მეწარმეობის ფორმირებას და ხელი შეუწყო ახალი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმების ჩამოყალიბებას კულტურის სფეროში.

2004 წელს შეიქმნა საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რომელშიც გაერთიანდა ქვეყნის 11 უმნიშვნელოვანესი

მუზეუმი. 2005 წელს მიღებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, „მუზეუმების შესახებ“ და „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინიშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის და სერგო ქობულაძის სახელობის ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გიორგი ჩუბინიშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი, რითაც ინსტიტუციურად გაერთიანდა სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტული მიმართულებები, როგორიცაა: ქართული ხელოვნების კვლევა, ძეგლთა დაცვის მეთოდოლოგია და ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ.

ისტორიული ქალაქები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ უდიდეს ნაწილს შეადგენს,რომელთა კომპლექსური დაცვის ეფექტური მოდელის ამოქმედება უშუალოდაა დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტთან. ამ მიმართულებით განხორციელდა ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც შეგროვდა და თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით სისტემატიზირებულ იქნა ინფორმაცია ქ. თბილისის სახელმწიფო დაცვისა და განაშენიანების ზონებში არსებულ ურბანულ უბნებზე. უძრავ ძეგლებზე და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებზე მომზადდა კანონმდებლობით დადგენილი სააღრიცხვო ბარათები, დამუშავდა და შეივსო საველე ბარათის ფორმა დამცავი ზონების ფარგლებში არსებულ ყველა შენობა-ნაგებობასა და თავისუფალ ნაკვეთებზე, შეიქმნა თემატური რუკების ციფრული და მყარი ვერსიები.

ისტორიული ქალაქების, არქეოლოგიური არეალებისა და ისტორიული ლანდშაფტების დამცავი ზონების დადგენა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ვინაიდან

კულტურული მემკვიდრეობის სწორედ ეს ობიექტები წარმოადგენენ საქართველოს ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე დასახლებების განვითარების ქრონოლოგიას და სპეციფიკურ ბუნებრივ გარემოში ადამიანის ტრადიციული საქმიანობის შედეგს,ხასიათდება უძრავი ძეგლების მაღალი კონცენტრაციით,ქუჩათა უნიკალური ქსელით,განაშენიანების სტრუქტურით და სხვ.

უკანასკნელ წლებში დაზუსტდა ქალაქების: ქუთაისის, სიღნაღის,თელავის და მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები, ქ. თბილისისა და მცხეთის ტერიტორიაზე და ალაზნის ველის ყორღანებისა და ნამოსახლარების არქეოლოგიური დამცავი ზონები,ვარძია – ხერთვისიოლოდასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული უძრავი ძეგლებისთვის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები.

ძეგლთა ინვენტარიზაცია კულტურული მემკვიდრეობის მოვლის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა,რომლის განხორციელების შედეგადაც სახელმწიფო ფლობს მის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებზე ინფორმაციას, მათი ადგილმდებარეობის, დაცულობის ხარისხის და სხვა სავალდებულო მონაცემების მითითებით.

ძეგლთა დაცვის ერთ-ერთ უპირველეს საშუალებას წარმოადგენს ძეგლთა აღრიცხვა მათი სახელმწიფო რეესტრში გატარების მიზნით, რაც ამ შენობა-ნაგებობებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონით დადგენილ ფარგლებში აქცევს.

ჩატარდა ქ. გორის, ბორჯომის, ფოთის, ქობულეთის, ყაზბეგის რაიონის, მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების,უძრავი ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების ინვენტარიზაცია,პატარა ლიახვის აუზში არსებული ისტორიულ-არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების აღრიცხვა-სისტემატიზაცია.

რეგიონული მუზეუმების რეაბილიტაციის მიმართულებით მნიშვნელოვანია მუზეუმების მართვის ისეთი მოდელის შემუშავება,რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მათი განვითარების შესაძლებლობას. საქართველოში სხვადასხვა

პროფილის 265 მუზეუმია. ყველა მუზეუმზე შედგენილია მრავალპარამეტრიანი პასპორტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მუზეუმის პროფილის, ადგილმდებარეობის შესახებ, კოლექციებსა და განყოფილებებზე, ექსპონატთა რაოდენობასა და დაცულობაზე, მატერიალურ-ტექნიკურ მდგომარეობაზე და სხვ. სამუზეუმო ცხოვრების გააქტიურების მიმართულებით სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა პროექტი. ასევე დაფინანსდა მეთოდოლოგიური ხასიათის გამოცემები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს მუზეუმებში რეფორმის გატარებასა და ქვეყნის მუზეუმების გადასვლას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებზე. ეს ეხება, მაგალითად, სოფ. მირზაანში 1960 წელს დაარსებულ ნიკო ფიროსმანიშვილის სახელმწიფო მუზეუმს. მეთოდოლოგიური ხასიათის გამოცემებიდან აღსანიშნავია კრებული „მუზეუმების შესახებ“, სადაც წარმოდგენილია: საქართველოს კანონები: „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, „მუზეუმების შესახებ“, „კულტურული ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“, ინფორმაცია სამუზეუმო რეფორმის მიმართულებებზე,„მუზეუმების ეთიკური კოდექსი“,პარიზის XI გენერალური სესიის რეკომენდაციები მუზეუმების შესახებ, “ექსპონატების დროებით სარგებლობის წესი“ და ხელშეკრულების ფორმები, საერთაშორისო სამუზეუმო ორგანიზაციების კოორდინატები და სხვ.

„საქართველოს მუზეუმების გზამკვლევში“ თავმოყრილია ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა მუზეუმის შესახებ.

საქართველოს მუზეუმების ვებ-გვერდი მოიცავს ტექსტუალურ და ვიზუალურ ინფორმაციას ქვეყანაში არსებული 222 მუზეუმის შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე, კანონმდებლობას, მუზეუმების ეთიკურ კოდექსს, ინფორმაციას სამუზეუმო სფეროში მიმდინარე სიახლეებზე (სემინარები, ტრენინგები, მეთოდოლოგიური გამოცემები, კატალოგები და სხვ.), ინფორმაციას მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებზე,საქართველოს მუზეუმებისა და საერთაშორისო

სამუზეუმო ორგანიზაციების ვებ-გვერდების მისამართებს.

ინტენსიურ ხასიათს იძენს თანამშრომლობა ევროპის საბჭოსთან სამხრეთ კავკასიის რეგიონული პროგრამის „ისტორიული ქალაქების მართვა და ინსტიტუციური გაუმჯობესება“ – ფარგლებში, რაც უშუალოდაა დაკავშირებული თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციასთან.

კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით ერთ-ერთი პრიორიტეტია მსოფლიოში ქართული კულტურის პოპულარიზაცია და წამყვან სამეცნიერო ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება. აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მაქს პლანკის ინსტიტუტი (ფლორენცია). კულტურის სამინისტროსა და ინსტიტუტს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა შორის თანამშრომლობას რესტავრაციისა და კონსერვაციის დარგში.

კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნის მიზნით განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ინოვაციური რეორგანიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. შეიქმნა გრძელვადიან შედეგებზე გათვლილი,მუდმივად განახლებადი,თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი,გეოგრაფიულ-ინფორმაციულ სისტემებთან ინტეგრირებული, ყველა ტიპის მომხმარებლისთვის ადვილად ხელმისაწვდომი კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზა.

ამრიგად, კულტურის განვითარებისთვის ხელშეწყობა ქვეყნის პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული. სახელმწიფოს კულტურული პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებად აღიარებულია ქვეყნის კულტურული პოტენციალის და კულტურული მემკვიდრეობის, შემოქმედებითი და ესთეტიკური ტრადიციების, ქართული კულტურის განვითარების თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა. კულტურული

ცხოვრების მრავალფეროვნების,კულტურული ინოვაციების ხელშეწყობასთან ერთად ერთიანი კულტურული სივრცის გაფართოვების,სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებისთვის კულტურულ ფასეულობათა გაცნობის თანაბარი პირობების უზრუნველყოფა,საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული თანამშრომლობის განვითარება,პიროვნებისა და სოციალური ჯგუფების ორიენტაციის ფორმირება ფასეულობებზე, რომლებიც განაპირობებენ ქართული საზოგადოების წარმატებულ მოდერნიზაციას.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ნიშნავს ცნება კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობა?
2. რა მიმართულებებით და ფორმებით ხორციელდება კულტურის სფეროში საერთაშორისო კავშირები?
3. რაში მდგომარეობს კულტურის სფეროს კრიზისი დღევანდელ პირობებში?
4. რა დადებითი ძვრები მოხდა ბოლო წლებში საქართველოს კულტურის სფეროში?
5. რაში მდგომარეობს საქართველოს კულტურული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნები თანამედროვე პირობებში?

წიგნში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ავტორი – ფიზიკური პირი, რომლის შემოქმედებითი შრომითაა შექმნილი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები.

არაკომერციული ორგანიზაცია – ორგანიზაცია,რომლის საქმიანობის ძირითად მიზანს არ შეადგენს მოგების მიღება და რომელიც არ ანაწილებს მიღებულ მოგებას მომუშავეებს შორის.

არაკომერციული პრივატიზაცია – სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების გადაცემა არაკომერციული ორგანიზაციის კერძო საკუთრებაში.

ანაზღაურების სისტემა – მუშაკების შრომის ანაზღაურების წესი,რომელიც დადგენილია ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების შერჩეული ფორმის შესაბამისად.

ბიზნეს-გეგმა – დაწვრილებით სტრუქტურიზებული და გულდასმით მომზადებული დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია საით მიისწრაფვის ორგანიზაცია, როგორ ვარაუდობს იგი, მიაღწიოს დასახულ მიზანს და როგორი იქნება ის დასახული მიზნის მიღწევის შემდეგ.

ბიუჯეტი – სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფისათვის გამიზნული ფულადი სახსრების ფონდების წარმოქმნის და ხარჯვის გეგმა.

ბიუჯეტის შემოსავლები – ფულადი სახსრები,რომლებიც შემოდის უსასყიდლოდ და დაუბრუნებლობის წესით,ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ქვეყნის სუბიექტების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განკარგულებაში.

ბიუჯეტის ხარჯები – ფულადი სახსრები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

ბუნებრივი რესურსები – ბუნებრივი რესურსები, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკური სიკეთის შექმნის პროცესში.

გრანტი – მიზნობრივი სახსრები, რომლებიც გაიცემა დაუბრუნებლობის, მოგების გარეშე პირობით.

გადასახადი – სავალდებულო, ინდივიდუალური, უსასყიდლო გადახდა,რომელიც ამოიღება ორგანიზაციებიდან, ფიზიკური პირებიდან მათდამი საკუთრების უფლებით კუთვნილი,სამეურნეო გაძღოლიდან ან ფულადი სახსრების ოპერატიული მართვით მიღებული შემოსავლებიდან სახელმწიფოს და (ან) მუნიციპალური წარმონაქმნების საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით. კანონით დადგენილი განაკვეთებისა და ბერების საფუძველზე.

განკარგვის უფლება – მესაკუთრის შესაძლებლობა თავისი შეხედულებისამებრ და მისი ინტერესების შესაბამისად განახორციელოს მოქმედება ქონების გამოყენებასთან დაკავშირებით.

განსახელმწიფოება – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა მუნიციპალურ, აგრეთვე მოქალაქეებისა და იურიდიული პირების საკუთრებაში.

დოტაცია – საბიუჯეტო სახსრები, რომელიც ეძლევა სხვა დონის ბიუჯეტს უსასყიდლოდ და დაუბრუნებლად მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

დანახარჯები – ეკონომიკური რესურსების მოხმარების საზღაური ფულად ფორმაში, რაც აუცილებელია პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) შექმნისა და რეალიზაციისათვის.

დივერსიფიკაცია – სხვადასხვა დარგის არსებობა რეგიონში ან საქონლისა და მომსახურების ფართო დიაპაზონი, რომელსაც ფირმა სთავაზობს მომხმარებელს. პირველ შემთხვევაში იგულისხმება დარგების (საქმიანობის) მრავალფეროვნება. ფირმის მიმართულებით დივერსიფიკაცია ნიშნავს მიწოდებული საქონლის სახეობათა გაფართოებას. დივერსიფიკაციაში გულისხმობენ საქმიანობის არეალის გაფართოვებას სხვადასხვა მიმართულებით გარანტირებული შემოსავლების მიღების, მათი გადიდების მიზნით.

დარგი – ორგანიზაციათა და შესაბამისი მართვის ორგანოების ერთობლიობა, რომლებიც აწარმოებენ ერთგვაროვან პროდუქციას ერთნაირი ნედლეულისაგან ან

არასამრეწველო ხასიათის ერთგვაროვან მომსახურებას.

დაგეგმვა – მეურნეობრიობის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მოიცავს გეგმების შემუშავებას, რეალიზაციას და მათი შესრულების კონტროლს.

დამფუძნებელი – ორგანიზაციის შემქმნელი, რომელიც მონაწილეობს იურიდიული პირის ქონების შექმნაში და თავის თავზე ვალდებულებას იღებს სადამფუძნებლო დოკუმენტების თანახმად.

დაწესებულება – არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია მესაკუთრის მიერ მმართველობითი სოციალურ-კულტურული ან სხვა არაკომერციული ხასიათის ფუნქციების შესასრულებლად და რომლის დაფინანსება მთლიანად ან ნაწილობრვ ხდება მესაკუთრის მიერ.

დაფინანსება – ფულადი სახსრების გამოყოფა განსაზღვრული წყაროებიდან კონკრეტული მიზნებისათვის: დარგების განვითარება, მშენებლობა და ობიექტების რეკონსტრუქცია, საბიუჯეტო დაწესებულებების შენახვა, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების გატარება და სხვა საჭიროებები.

ეკონომიკურ ურთიერთობები – ურთიერთობები,რომლებიც წარმოიშობა საქონლისა და მომსახურების წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში.

ეკონომიკური ურთიერთობები კულტურის სფეროში – ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა კულტურულ ფასეულობათა შექმნის, დაცვის, გავრცელებისა და ათვისების,კულტურული სიკეთის გაცემის საქმიანობასთან დაკავშირებით.

ეკონომიკური სიკეთე – პროდუქტი,რომელიც შექმნილია ადამიანების სამეურნეო საქმიანობის შედეგად.

თვითანაზღაურება – სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის განხორციელების ხერხი,რომლის დროსაც კვლავწარმოების ყველა ხარჯები იფარება საკუთარი წყაროების ხარჯზე.

ინვესტიციები – კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება, რომელიც მიმართულია ობიექტების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და ტექნიკური გადაიარაღებისათვის.

ინტელექტუალური საკუთრება – მოქალაქის ან იურიდიული პირის განსაკუთრებული უფლება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე და მასთან გათანაბრებული პროდუქციის, შესასრულებელი სამუშაოსა თუ მომსახურების ინდივიდუალიზაციის საშუალებები (დასახელება, სასაქონლო ნიშანი, მომსახურების ნიშანი და სხვ.).

იურიდიული პირი – ორგანიზაცია, რომელსაც აქვს საკუთრებაში, სამეურნეო გაძღოლისათვის ან ოპერატიული მართვის ქვეშ გამოყოფილი (გამოცალკევებული) ქონება და ამ ქონებით პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე, შეუძლია, თავისი სახელით შეიძინოს და განახორციელოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იყოს მომჩივანი და მოპასუხე სასამართლოში.

ინსტიტუციური – სოციალურ ინსტიტუტებზე, ფორმალიზებულ წესებზე, ნორმებზე, კანონებზე, ჩვევებზე და რიტუალებზე დამყარებული (სისტემა, ობიექტი).

კულტურის მომსახურების ხელმისაწვდომობა – მოსახლეობის შესაძლებლობა მიიღოს კულტურის მომსახურება.

კულტურული საქმიანობის ინფრასტრუქტურა – ორგანიზაციების საქმიანობის მიმართულების და მექანიზმების ურთიერთდაკავშირებული კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს კულტურის საქმიანობას სფეროში.

კაპიტალი – მატერიალური საშუალებები და ფულადი სახსრები, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური სიკეთის შექმნის პროცესში.

კვალიფიკაციური თანრიგი – სიდიდე, რომელიც ასახავს მუშაკის პროფესიული მომზადების დონეს.

კომერციული ორგანიზაცია – ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანია მოგების მიღება.

კულტურული საქმიანობის საბოლოო შედეგი – ცვლილებები, რომელსაც იგი იწვევს საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ შემეცნებაში, სოციალური გარემოს თვისებრიობაში და სხვ.

კულტურული საქმიანობა (მოღვაწეობა) – საქმიანობა

კულტურულ ფასეულობათა შენახვის,შექმნის,გავრცელების და ათვისების, კულტურული სიკეთის გაცემის სფეროში.

კულტურული სიკეთე – პირობები და მომსახურება, რომელიც მიეწოდება ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ მოქალაქეებს თავიანთი კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

კულტურული ფასეულობები – ზნეობრივი და ესთეტიკური იდეალები, ქცევის ნორმები და ნიმუშები, ენა, დიალექტი და გამოთქმები, ეროვნული ტრადიციები და ჩვეულებები, ისტორიული ტოპონიმები, ფოლკლორი, მხატვრული ხელოვნება, კულტურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, კულტურული საქმიანობის მეცნიერული კვლევის მეთოდები და შედეგები, ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის შენობები,ნაგებობები,საგნები და ტექნოლოგიები,ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით უნიკალური ტერიტორიები და ობიექტები.

კულტურის სფეროს მონიტორინგი – კულტურის სფეროს მდგომარეობაზე და მისი საქმიანობის ანალიზზე დაკვირვების მუდმივი, უწყვეტი პროცესი.

კულტურის ორგანიზაცია – ორგანიზაცია, რომლის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება კულტურულ ფასეულობათა შენახვის, შექმნის, გავრცელების და ათვისების,მოსახლეობისათვის კულტურის სიკეთის მიცემის მიმართულებით.

კულტურისა და ხელოვნების დარგი – ორგანიზაციების, აგრეთვე კულტურის მართვის ორგანოების ერთობლიობა, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია კულტურულ ფასეულობათა შენახვასთან, შექმნასთან და ათვისებასთან, კულტურული სიკეთის გაცემასთან.

კულტურის რესურსები – სახსრები, შესაძლებლობები, რომლებიც გამოიყენება კულტურის ფასეულობათა და სიკეთის შესაქმნელად.

კულტურის ეკონომიკური რესურსები – წარმოების ფაქტორები, რომლებიც გამოიყენება კულტურის სიკეთის შექმნის პროცესში.

კერძო საკუთრება – ქონება, რომელიც იმყოფება

მოქალაქეებისა და იურიდიული პირების კუთვნილებაში.

კულტურის მომსახურება – კულტურული სიკეთე, მიზანშეწონილი საქმიანობა კულტურის სფეროში შრომის სასარგებლო ეფექტის ფორმით.

კულტურის ორგანიზაციების სამეურნეო მექანიზმი – კულტურის ორგანიზაციების საქმიანობის მართვის ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი და სხვა ფორმების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების სისტემა.

კერძო სიკეთე – სიკეთე, რომელიც მოიხმარება ერთი პირის მიერ და არ შეიძლება ერთდროულად მოხმარებული იყოს მეორე პირის მიერ.

ლიზინგი – ძირითადი საწარმოო ფონდების (ძვირადღირებული ტექნიკური მოწყობილობის) იჯარით გაცემა საშუალო ხანგრძლივი ვადით.

ლიმიტი – შეზღუდვა,რაიმეს (საბიუჯეტო ვალდებულებების, მასალების გაცემის) ზღვრული რაოდენობა ან ზღვრული ნორმა.

ლიცენზია – სპეციალური ნებართვა კონკრეტული სახის საქმიანობის განხორციელებაზე დადგენილი პირობების სავალდებულო დაცვით; ლიცენზია გაიცემა სალიცენზიო ორგანოს მიერ იურიდიულ პირზე ან ინდივიდუალურ მეწარმეზე.

მატერიალური დანახარჯები – წარმოების დანახარჯები მასალებზე, ნედლეულზე, სათბობზე, ელექტრო ენერგიაზე და სხვ.,რომლებიც აუცილებელია პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) შესაქმნელად.

მერიტორული სიკეთე – სიკეთე, რომელზედაც კერძო პირების მოთხოვნა ჩამორჩება „საზოგადოებრივად სასურველს“ და სტიმულირდება სახელმწიფოს მიერ.

მეცენატობა – საქველმოქმედო საქმიანობის სახესხვაობა კულტურის, მეცნიერების და განათლების სფეროში.

მინიმალური ხელფასი – კანონით გარანტირებული თვიური ხელფასის ოდენობა არაკვალიფიციური მუშაკის შრომისათვის, რომელიც შრომის ნორმალურ პირობებში მარტივი სამუშაოს შესრულებისას გამოიმუშავებს სამუშაო დროის სრულ ნორმას.

მოხალისე – პირი, რომელიც მუშაობს საკუთარი ინიციატივით შესაბამისი ფულადი ანაზღაურების გარეშე, უსასყიდლოდ.

მზრუნველობითი საბჭო – მართვის ორგანო, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას არაკომერციულ ორგანიზაციაზე მართვის სხვა ორგანოების გადაწყვეტილების მიღებით და მათი შესრულების უზრუნველყოფით, საშუალებების გამოყენებით, კანონმდებლობის დაცვით.

მფლობელობის უფლება – ქონების ფაქტობრივი მფლობელობა და მისი დაკავება-შენარჩუნება საკუთარ მფლობელობაში.

მეწარმეობრივი საქმიანობა – დამოუკიდებელი,საკუთარი რისკით განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების სისტემატური მიღებისაკენ.

მოგება – ორგანიზაციის მეურნეობრიობის ეფექტიანობის ერთ-ერთი განმაზოგადებელი მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება როგორც პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და მის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეულ დანახარჯებს შორის სხვაობა.

მომიჯნავე უფლებები – უფლებები, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს,წარმოქმნილს ფონოგრამების, შესრულებების, დადგმების, საეთერო და საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციების გადაცემების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

მუნიციპალური საკუთრება – ქონება, რომელზეც საკუთრების უფლება აქვს მუნიციპალურ წარმონაქმნს.

მუნიციპალური წარმონაქმნი – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეული.

მმართველობითი რესურსები – ხელმძღვანელის თვისებების უნარის, ნიჭის ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს მას, იპოვოს და გამოიყენოს რესურსების უკეთესი შეთანაწყობა ეკონომიკური სიკეთის შესაქმნელად, მიიღოს გონივრული, თანმიმდევრული გადაწყვეტილებები, შექმნას და გამოიყენოს სიახლეები,წავიდეს გამართლებულ

რისკზე.

მიზნობრივი დაფინანსება – საშუალებები (ფულად და ნატურალურ ფორმებში),რომელიც ეძლევა არაკომერციულ ორგანიზაციას ძირითადი საქმიანობის წარმართვისათვის.

ორგანიზაციის შემოსავალი – ფულადი ან სხვა საშუალებები, რომელსაც იღებს ორგანიზაცია მისი საქმიანობის შედეგად.

ნორმა – მეცნიერულად დასაბუთებული (საანგარიშო) მარეგლამენტირებელი სიდიდე რესურსების დანახარჯებისა წარმოებული პროდუქციის ერთეულზე,რომელიც ახასიათებს რესურსების ხვედრით მოხმარებას.

ორგანიზაცია – ფიზიკური პირების გაერთიანება მათი ინტერესების ერთობლიობის საფუძველზე, რომელიც სამოქალაქო თვალსაზრისით გამოდის როგორც ერთი პირი, ერთი სამართლებრივი სუბიექტი.

ორგანიზაციის ხარჯები – დასაბუთებული და დოკუმენტურად დადასტურებული დანახარჯები,რომელსაც ორგანიზაცია ახორციელებს.

ორგანიზაციის ფინანსური რესურსები – ყველა ფულადი სახსრის ერთობლიობა,რომელიც იმყოფება ორგანიზაციის განკარგულებაში.

პრივატიზაცია – სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფი ქონების გადაცემა მოქალაქეთა ან იურიდიული პირების საკუთრებაში.

პროგრამა – საგეგმო ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც შეთანხმებულია რესურსების, შემსრულებლების განხორციელების დროის მიხედვით და მიმართულია კონკრეტული პრობლემების დადგენილ ვადებში გადასაწყვეტად.

პროფესიების (თანამდებობის) შეთავსება – მუშაკის მიერ თავისი სამუშაო დროის განმავლობაში შრომითი ხელშეკრულების რეგულარულად ანაზღაურებად საფუძველზე ძირითად სამუშაოსთან ერთად. დამატებითი სამუშაოს შესრულება.

რენტაბელობა – მეურნეობრიობის ეფექტიანობის ერთ-ერთი განმაზოგადებელი მაჩვენებელი, რომელიც

ახასიათებს მომგებიანობის ხარისხს მთლიანად ორგანიზაციის, სამეწარმეო საქმიანობის, პროდუქციის (სამუშაოს,მომსახურების) ცალკეული სახეობის მიხედვით განსაზღვრულ პერიოდში.

საავტორო უფლება – უფლების ნაწილი, რომელიც არეგულირებს მეცნიერების, ლიტერატურის, კულტურის ნაწარმოებთა შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ურთიერთობებს.

საბანკო კრედიტი – ბანკის მიერ გაცემული ფულადი სესხი განსაზღვრული პროცენტით და დადგენილი ვადით.

საქველმოქმედო საქმიანობა – საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეებისათვის ან იურიდიული პირებისათვის ქონების,მათ შორის,ფულადი საშუალებების უსასყიდლოდ ან შეღავათიან საფუძველზე გადაცემასთან, აგრეთვე სამუშაოს შესრულებასთან, მომსახურების გაწევასთან ან კიდევ სხვა სახის მხარდაჭერასთან.

საქველმოქმედო ორგანიზაცია – არაკომერციული (არასახელმწიფო და არამუნიციპალური) ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად.

საბიუჯეტო ორგანიზაცია – დაწესებულება, რომლის საქმიანობის დაფინანსება ხდება შესაბამისი ბიუჯეტიდან ან სახელმწიფო,ადგილობრივი ბიუჯეტიდან,ბიუჯეტგარეშე ფონდიდან,შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

საბიუჯეტო (მიმდინარე) ასიგნებანი – საბიუჯეტო სახსრები, რომლებიც საბიუჯეტო გაწერით გათვალისწინებულია მიმღებისათვის ან საბიუჯეტო სახსრების განმკარგულებლისათვის.

სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდი – ფულადი სახსრების წარმოქმნის ფორმაა,რომლებიც აკუმულირდება ქვეყნის ფედერალური ბიუჯეტისა და სუბიექტების ბიუჯეტების გარეშე. ამათ მიეკუთვნება: საპენსიო ფონდი, სოციალური დაზღვევის ფონდი,სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდი.

სახელმწიფო ან მუნიციპალური დაკვეთა – სახელმწიფო

ან მუნიციპალური კონტრაქტების ერთობლიობა საქონლის მიწოდებაზე, სამუშაოს შესრულებაზე, მომსახურების გაწევაზე შესაბამისი ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

სახელმწიფო ან მუნიციპალური კონტრაქტი – ხელშეკრულება,რომელიც იდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საბიუჯეტო დაწესებულების,ქვეყნის რწმუნებული ორგანოს ან ორგანიზაციის,სუბიექტის ან მუნიციპალური წარმონაქმნის მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან სახელმწიფო ან მუნიციპალური საჭიროების უზრუნველყოფის მიზნით.

სახელმწიფოს კულტურული პოლიტიკა – პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლითაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო თავის საქმიანობაში კულტურის შენახვის, განვითარების და გავრცელების საქმეში, აგრეთვე თვით სახელმწიფოს საქმიანობა კულტურის სფეროში.

საბრუნავი ფონდები – ორგანიზაციის ქონების ნაწილი, რომელიც მთლიანად მოიხმარება ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში და რომლის ღირებულება სრულ გადადის შექმნილ პროდუქციაში.

საზოგადოებრივი (სოციალური) სიკეთე – სიკეთე, რომელიც მოიხმარება ერთი პირის მიერ და რჩება ხელმისაწვდომი სხვა პირების მოხმარებისათვის.

საგეგმო მაჩვენებელი – საგეგმო პროცესის ან მოვლენის ამსახველი რაოდენობითი მახასიათებელი.

საკუთრების უფლება – მესაკუთრის უფლება თავისი ქონების მფლობელობაზე, სარგებლობასა და განკარგვაზე.

სარგებლობის უფლება – ქონების ექსპლუატაციის შესაძლებლობა, მისგან სასარგებლო თვისებების ამოღება და შემოსავლის მიღება.

სამართლებრივი რესურსები – საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების ერთობლიობა.

საკუთრება – ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც ახასიათებს წარმოების მონაწილეთა მიერ წარმოების ფაქტორების (რესურსების) და შედეგების მითვისებას.

სახელმწიფო საკუთრება – ქონება, რომელთა საკუთრების უფლებაც აქვს სახელმწიფოსა და სახელმწიფო სუბიექტებს.

სოციალური სფერო – დარგების ჯგუფი, რომლებშიაც იქმნება სოციალურად სასარგებლო სიკეთე.

სპონსორობა – იურიდიული ან ფიზიკური პირის (სპონსორის) მიერ შენატანების განხორციელება (ქონების, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების, მომსახურების, სამუშაოს შესრულების სახით) სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის (სპონსირებულის) საქმიანობაზე, მის საქონელზე რეკლამის გავრცელების საშუალებით. სპონსორის შენატანები (წილი) ითვლება რეკლამის გადასახადად, ხოლო სპონსორი და სპონსირებული ითვლებიან შესაბამისად რეკლამის მიმცემად და რეკლამის გამავრცელებლად.

სუბვენცია – საბიუჯეტო სახსრები, რომელსაც ბიუჯეტი გასცემს სხვა დონის ბიუჯეტზე ან იურიდიულ პირზე მიზნობრივი ხარჯების განსახორციელებლად დაუბრუნებლობის პრინციპის საფუძველზე.

სუბსიდია – საბიუჯეტო სახსრები, რომელსაც ბიუჯეტი გასცემს საბიუჯეტო სისტემის სხვა დონის ბიუჯეტზე, ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე მიზნობრივი ხარჯების წილობრივი დაფინანსების პირობით.

სამუშაოს ტარიფიკაცია – შრომის სახეების მიკუთვნება სატარიფო თანრიგებზე ან კვალიფიკაციურ კატეგორიებზე შრომის სირთულის მიხედვით.

სატარიფო ბადე – შრომის სატარიფო თანრიგების ერთობლიობა (პროფესია, თანამდებობა), რომლებიც განსაზღვრულია სამუშაოს სირთულის და მუშაკების კვალიფიკაციური მახასიათებლების მიხედვით სატარიფო კოეფიციენტების მეშვეობით.

სატარიფო სისტემა – ნორმატივების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სხვადასხვა კატეგორიის მუშაკების ხელფასის დიფერენციაცია.

სატარიფო განაკვეთი – მუშაკის შრომის ანაზღაურების ფიქსირებული სიდიდე დროის ერთეულში განსაზღვრული

სირთულის (კვალიფიკაციის) შრომის ნორმის (შრომითი ვალდებულებების) შესრულებისათვის.

სატარიფო თანრიგი – სიდიდე, რომელიც გამოხატავს შრომის სირთულეს და მუშაკის კვალიფიკაციას.

სასაქონლო ნიშანი – ოფიციალური წესით დარეგისტრირებული ნიშნები, რომლის მიხედვითაც ერთი იურიდიული ან ფიზიკური პირის საქონელი და მომსახურება გაირჩევა (განსხვავდება) სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირების ერთგვაროვანი საქონლის და მომსახურებისაგან.

სინერგეტიკული – (ბერძნული სიტყვისაგან) თანამშრომლობითი, ეკონომიკური აგენტების, სუბიექტების საერთო მიზნის მისაღწევად ერთობლივად მოქმედებასთნა დაკავშირებული.

ტრანსფერტი – ოპერაცია, რომლის მეშვეობითაც ერთი ინსტიტუციური ერთეული გასცემს საქონელს,მომსახურებას ან ფინანსურ,ან არაფინანსურ აქტივებს მეორე ერთეულზე მისგან შესაბამისი (საქონლით, მომსახურებით, აქტივით) ანაზღაურების მიღების გარეშე.

უნიტარული სახელმწიფო – სახელმწიფო, რომელიც ხასიათდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ცენტრალიზებული ხელმძღვანელობით და რომელსაც არ გააჩნია დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები.

ფანდრეიზინგი – საქმიანობა, რომელიც მიმართულია სახსრების მოსაზიდად არაკომერციულ სექტორში.

ფინანსები – ეკონომიკური ურთიერთობათა ერთობლიობა ფულადი სახსრების ფონდების შექმნისა და გამოყენების პროცესში.

ფასი – ფულადი სახსრები, რომლებიც გადაიხდება საქონლის ერთეულის შესაძენად (ყიდვისას).

ფასწარმოქმნა – ფასების ფორმირების და ცვლილების, მათი დონეების,თანაფარდობის,სტრუქტურის განსაზღვრის პროცესი.

ფასწარმომქმნელი ფაქტორები – პირობების მრავალსახეობა,რომელშიაც ხდება ფასების სტრუქტურისა

და დონის ფორმირება.

შემსრულებელი – მსახიობი, მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც თამაშობს როლს, კითხულობს, დეკლამირებას აკეთებს, მღერის, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე ან სხვა სახით ასრულებს ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებს (მათ შორის: საესტრადო, საცირკო და თოჯინების ნომერს), აგრეთვე სპექტაკლის რეჟისორ-დამდგმელი და დირიჟორი.

შრომის ანაზღაურება – ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დაკავშირებულია შრომის და კანონის, სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, კოლექტიური ხელშეკრულებების,შეთანხმებების,ლოკალური ნორმატიული აქტების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად სამუშაოს მიმცემის მიერ მუშაკებისათვის შესრულებული სამუშაოს საფასურის გადახდასთან.

ძირითადი საქმიანობა – არაკომერციული ორგანიზაციის საქმიანობა მიზნის შესაბამისად, რომლის განხორციელებისთვისაცაა შექმნილი ეს ორგანიზაცია.

ძირითადი ფონდები – ორგანიზაციის ქონების ნაწილი, რომელიც გამოიყენება მრავალგზის,მუდმივად და უცვლელ ნატურალურ ფორმაში და რომელსაც თავისი ღირებულება შექმნილ პროდუქციაზე გადააქვს თანდათან, ცვეთის კვალობაზე.

ხარჯთაღრიცხვა – დოკუმენტი, რომელშიც აისახება ორგანიზაციის შემოსავლები და ხარჯები.

წარმოების ფაქტორები – ეკონომიკური რესურსები, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკური სიკეთის შექმნის პროცესში.

ხელფასი – შრომის ანაზღაურება მუშაკის კვალიფიკაციის, შესრულებული სამუშაოს სირთულის, ოდენობის, ხარისხის და პირობების შესაბამისად, აგრეთვე კომპენსაციური და სტიმულირების ხასიათის გადახდები.

შემოქმედებითი საქმიანობა – კულტურულ ფასეულობათა შექმნა და მათი ინტერპრეტაცია.

შრომითი ხელშეკრულება – შეთანხმება სამუშაოს მიმცემსა და მუშაკს შორის, რომლის შესაბამისადაც

სამუშაოს მიმცემი ვალდებულია მისცეს მუშაკს სამუშაო შრომის განსაზღვრული ფუნქციით, უზრუნველყოს კანონით და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შრომის პირობები,თავისდროულად და სრულად აუნაზღაუროს შრომა,ხოლო მუშაკი ვალდებულია, პირადად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვლისწინებული შრომითი ფუნქცია, დაიცვას ორგანიზაციაში მოქმედი შრომის განაწესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ძირითადი:

1. მილენა დრაგიჩევიჩ-შეშინი,ბრანიმერ სტოიკოვიჩი,კულტურა, მენეჯმენტი,ანიმაცია,მარკეტინგი,ქართული ადაპტირებული ვარიანტი მომზადებულია პროფესორების: ლევან ხეთაგურის და იური მღებრიშვილის მიერ, თბ., 2007.
2. Воронова Е. Н., Экономика культуры, М., 2001.
3. Димникова А. И., Управление культурой в рыночной экономике, 2000.
4. Иванов Г. П., Шустров М.А., Экономика культуры, М., 2001.
5. Игнатьева Е. Л., Экономика культуры, М., 2006.
6. Менеджмент в социально – культурном сервисе и туризме, Санкт- Петербург, 2007.
7. Михеева Н. А., Галенская Л. Н., Менеджмент социально-культурной сфере, 2000.
8. Наиджен Дж., Холден, Кросскультурный менеджмент, М., 2005.
9. Шишкин С. В., экономика социальной сферы, М., 2003.
10. Якобсон Л. И., Государственный сектор экономики: экономическая теория и политика, М., 2000.
11. Экономика культуры. Учебник /отв. редактор Рубинштеин А. Я. М., 2005.

დამხმარე:

12. პ. გარუჩავა, ს. სოსელია, მრეწველობის ეკონომიკა, თბ., 1998.
13. ეკონომიკური თეორია,სახელმძღვანელო გ. ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით, თბ., 1998.
14. მ. ვანიშვილი, ეკონომიკის საფუძვლები, თბ., 2006.
15. ნ. კვარაცხელია, კულტურული ტურიზმი, თბ., 2008.
16. გ. ლორთქიფანიძე,ნ. ჩიქოვანი,საქართველოს კულტურის ისტორია, თბ., 1997.
17. გ. მალაშხია, საქართველოს ეკონომიკა, საუკუნის პანორამის შტრიხები, თბ., 2002.
18. გ. მალაშხია, მეტაეკონომიკა: ეკონომიკის ფილოსოფია,

თბ., 1995.
19. უ. სამადაშვილი, ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2002.
20. აქართველოს ეკონომიკურ განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2006.
21. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი – სტატისტიკური პუბლიკაცია – განათლება, მეცნიერება, კულტურა საქართველოში, თბ., 2006.
22. საქართველოს კულტურის,ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს მასალები.
23. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს ვებ გვერდი: www mcs. gom/ ge/.
24. გ. ყუფუნია, საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2006.
25. ი. ქვაჩახია, თეორიული ეკონომიკა, თბ., 1996.
26. პ. ჩაგელიშვილი, სამრეწველო წარმოების ეკონომიკა და მეწარმეობა, თბ., 2000.
27. დ. ძნელაძე, ლ. ძნელაძე, ბიზნესი, ტ. I, II, თბ., 1999.
28. ნ. ჭითანავა, ლ. თაკალანძე, სოციალური ეკონომიკა, თბ., 2008.
29. ნ. პაიჭაძე, შრომის ეკონომიკა, თბ., 2000.
30. ლ. ჩიქავა, ეკონომიკურ თეორიის მოკლე კურსი, თბ., 2003.
31. Игиатьева Е. Л., Финансирование учреждений культуры современных экономических условиях М., 2002.
32. Левшина Е. Л., Культурные индустрии: Новые грани культурного процесса, М., 2005.
33. Развитие отраслей социальной сферы в переходной экономике, Под редакций Жильцова Э. Н., Ломанова П.Н., М. 2001.
34. Рубинштеин А. Я., Структура и эволуция социального интереса, М. 2002.
35. Экономические основы культурной деятельности: Индивидуальные предпочтения и обшесвеный интерес. Под редакции Рубинштенс А.Я., 2002.
36. Юрьева Т .В., Социальная экономике, М., 2001.
37. www/ spinsorstvo/ru – специализированное интернет-издание, посвяшенное спонсорству, благотворительности и меценатству.

დანართი 1.

საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის კულტურის დარგში

საქმიანობა დასვენების, გართობის, კულტურისა და სპორტის ორგანიზების დარგში.

კინო – და ვიდეოფილმებთან დაკავშირებული საქმიანობა, კინო – და ვიდეოფილმების წარმოება

ქვეკლასი შეიცავს:

– კინოფირზე ან ვიდეოლენტზე გადაღებული სათამაშო და არასათამაშო ფილმების წარმოებას კინოთეატრებში დემონსტრირებისა ან ტელევიზიით ჩვენებისათვის, მათ შორის – გაქირავებასა და გაყიდვას მოსახლეობისათვის;

– ანიმაციური (მულტიპლიკაციური) ფილმების, სრულმეტრაჟიანი, დოკუმენტური, მოკლემეტრაჟიანი ფილმებისა და მისთ. წარმოებას კინოსტუდიებში ან სპეციალურ ლაბორატორიებში გართობის, რეკლამის, განათლებისა და სწავლების მიზნებისათვის;

– დამხმარე საქმიანობას, როგორიცაა: ფილმების დუბლირება, მონტაჟი და მისთ;

– ხმის ჩამწერი სტუდიების საქმიანობას.

ქვეკლასი არ შეიცავს:

– აუდიო და ვიდეოლენტების ასლის გადაღებას ორიგინალური მატრიციდან;

– ფოტოფირების დამუშავებას, კინოწარმოებაში გამოსაყენებლის გარდა;

– სააგენტოების საქმიანობას;

– მსახიობების, მხატვარ-მულტიპლიკატორების, რეჟისორების, კონსულტანტებისა და დანარჩენი ტექნიკური სპეციალისტების დამოუკიდებელ საქმიანობას.

ფილმების გავრცელება

ქვეკლასი შეიცავს:

– კინო და ვიდეოლენტების, DVD-დისკებისა და ვიდეოკასეტების გავრცელებას სხვადასხვა დაწესებულებაში, მაგრამ არა ფართო საზოგადოებსათვის. ეს კლასი შეიცავს ასევე ფილმების, DVD-დისკებისა და ვიდეოკასეტების სხვა დაწესებულებებში გაყიდვას ან გაქირავებას, აგრეთვე ფილმების გავრცელებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, როგორიცაა: კონტრაქტების გაფორმება ფილმების გაქირავებაზე, ადგილზე მიტანა, შენახვა და მისთ.

ქვეკლასი არ შეიცავს:

– კონტრატიპირებას, აგრეთვე აუდიო და ვიდეოლენტების ასლის გადაღებას ორიგინალური მატრიციდან;

– საცალო ვაჭრობას DVD-დისკებითა და კასეტებით;

– საბითუმო ვაჭრობას DVD-დისკებითა და კასეტებით;

– DVD-დისკებისა და ვიდეოკასეტების გაქირავებას მოსახლეობისათვის.

კინოფილმების დემონსტრირება

ქვეკლასი შეიცავს:

– კინო და ვიდეოფილმების დემონსტრირებას კინოთეატრებში, ღია მოედნებზე და ფილმების დემონსტრირებისათვის განკუთვნილ სხვა ადგილებში;

– კინომოყვარულთა კლუბების საქმიანობას კინოფილმების დემონსტრირებით.

ქვეკლასი არ შეიცავს:

– კინომოყვარულთა კლუბების საქმიანობას, რომელიც არ არის დაკავშირებული ფილმების დემონსტრირებასთან.

საქმიანობა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სფეროში

ქვეკლასი შეიცავს:

– რადიო და სატელევიზიო პროგრამების ტრანსლირებას;

– რადიო და სატელევიზიო პროგრამების წარმოებას,მათ ტრანსლირებასთან დაკავშირებულს ან დაუკავშირებელს;

მომზადებული და ტრანსლირებადი პროგრამები შეიძლება განკუთვნილი იყოს გართობის, რეკლამის, განათლების, სწავლებისა და ინფორმაციის გავრცელებისათვის. მომზადებული პროგრამები იწერება მაგნიტურ ლენტზე, რომელიც შეიძლება გაიყიდოს,გაქირავდეს ან შენახულ იქნას ტრანსლირებისა ან განმეორებითი ტრანსლირებისათვის.

ქვეკლასი არ შეიცავს:

– რადიო და სატელევიზიო პროგრამების ტრანსლირებას სადენიანი კავშირგაბმულობის სისტემის საშუალებით;

– რადიო და სატელევიზიო პროგრამების ტრანსლირებას რადიორელეური ან თანამგზავრული კავშირის სისტემების საშუალებებით;

– კინო და ვიდეოფილმების წარმოებას კინოსტუდიებში;

– ბეჭდვის სააგენტოების საქმიანობას.

დანარჩენი სანახაობრივ-გასართობი საქმიანობა, საქმიანობა ხელოვნების დარგში, თეატრალური და შემოქმედებითი საქმიანობა

ქვეკლასი შეიცავს:

– თეატრალური წარმოდგენების,კონცერტების,საოპერო სპექტაკლების, საცეკვაო და სხვა სასცენო გამოსვლების დადგმას;

– ანსამბლებისა და თეატრალური დასების,ორკესტრებისა და მუსიკოსთა ჯგუფების საქმიანობას;

– შემოქმედებითი პროფესიის დამოუკიდებელ წარმომადგენელთა საქმიანობას, როგორიცაა: მსახიობები, რეჟისორები, მუსიკოსები, ავტორები, კონფერანსიები, მოქანდაკეები, მხატვრები, კარიკატურისტები, გრავიორები, ოფორტისტები, თეატარალური მხატვრები, დეკორატორები და მისთ.

ქვეკლასი არ შეიცავს:

– თოჯინების, მარიონეტებისა და მისთ. თეატრების საქმიანობას;

– ყინულზე ბალეტის სპექტაკლებს.

სარესტავრაციო საქმიანობა

ქვეკლასი შეიცავს:

– ხელოვნების, ფერწერის ნიმუშების რესტავრირებას.

ქვეკლასი არ შეიცავს:

– ავეჯის რესტავრირებას;

– შენობების რესტავრირებას;

– ისტორიული მუსიკალური ინსტრუმენტების რესტავრირებას.

საკონცერტო და თეატრალური დარბაზების საქმიანობა

ქვეკლასი შეიცავს:

– საკონცერტო და თეატრალური დარბაზებისა და კულტურის სხვა დაწესებულებების ექსპლუატაციას;

– ბილეთების გაყიდვის სააგენტოების საქმიანობას;

– ხმის ჩამწერი სტუდიების საქმიანობას;

ქვეკლასი არ შეიცავს

– კინოთეატრების საქმიანობას.

კულტურისა და დასვენების პარკების, ბაზრობებისა და ატრაქციონების საქმიანობა

ქვეკლასი შეიცავს:

– ატრაქციონების,კულტურისა და დასვენების პარკების, ბაზრობებისა და მისთ. საქმიანობას;
– გასართობი (საბავშვო) რკინიგზის საქმიანობას.

სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი დანარჩენი სანახაობრივ-გასართობი საქმიანობა

ქვეკლასი შეიცავს:

– საცეკვაო სკოლებისა და ცეკვის მასწავლებლების საქმიანობას;
– საცირკო წარმოდგენებს;
– თოჯინების თეატრების, გასართობი ტირების საქმიანობასა და მისთ;
– ატომოტოროდეოს საქმიანობას.

ქვეკლასი არ შეიცავს:
– დასვენებისა და გართობის ორგანიზების დანარჩენ საქმიანობას.

საინფორმაციო სააგენტოების საქმიანობა

ქვეკლასი შეიცავს:

– მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ახალი ამბების,ფოტოსურათებისა და სხვა მასალების მიმწოდებელი ბეჭდვის სააგენტოების საქმიანობას;
– ჟურნალისტებისა და ფოტორეპორტიორების საქმიანობას.

დანარჩენი საქმიანობა კულტურის სფეროში, ბიბლიოთეკების საქმიანობა, ბიბლიოთეკების, სამკითხველო დარბაზების, ლექტორიუმების საქმიანობა

ქვეკლასი შეიცავს:

– ყველა სახის ბიბლიოთეკების, სამკითხველო დარბაზების, ლექტორიუმების საქმიანობას ფართო საზოგადეობისა ან მომხმარებელთა სპეციფიკური ჯგუფებისათვის, მაგალითად, სტუდენტების, მოსწავლეების, მეცნიერ-მუშაკების, საწარმოებისა და საზოგადოებრივი დაწესებულებების მუშაკებისა და მისთ.,ჟურნალ-გაზეთების საცავების მომსახურებას;

– კატალოგების შედგენას;

– წიგნების,პერიოდული გამოცემების,რუკების,ფილმების, ხელოვნების ნიმუშებისა და ა. შ. გაცემას და შენახვას;

– ინფორმაციის მოძიებას მომხმარებელთა შეკვეთით და მისთ.

ქვეკლასი არ შეიცავს:

– მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებულ საქმიანობას.

ფილმო და ფონოტეკების მომსახურება

ქვეკლასი შეიცავს:

ფილმების, გრამფირფიტების, მაგნიტური ლენტებისა და დისკოების გაცემასა და შენახვას.

ქვეკლასი არ შეიცავს:

– ვიდიოლენტების გაქირავებას.

არქივების საქმიანობა

ქვეკლასი შეიცავს:

– მომხმარებელთა განსაზღვრული კატეგორიისათვის

ნორმატიული დოკუმენტებისა ან მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საარქივო დოკუმენტების, წერილების, აქტებისა და სხვა მასალების შენახვასა და გაცემასთან დაკავშირებულ საქმიანობას კონკრეტულ არქივში მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად;

– დოკუმენტებისა და წიგნების რესტავრირებასა და სარესტავრაციო-პროფილაქტიკურ დამუშავებასთან დაკავშირებულ მომსახურებას.

ქვეკლასი არ შეიცავს:

– მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებულ საქმიანობას.

წიგნის პალატების საქმიანობა, კულტურის სხვა დაწესებულებების საქმიანობა

ქვეკლასი შეიცავს:

– კულტურის სასახლეებისა და სახლების,სტაციონარული და მოძრავი კლუბების საქმიანობას;

– არქიტექტორთა, ექიმთა, ჟურნალისტთა, კინოს, ლიტერატორთა, კომპოზიტორთა და მისთ. სახლების საქმიანობას.

მუზეუმების საქმიანობა და ისტორიული ადგილებისა და შენობების დაცვა, ყველა სახის მუზეუმების საქმიანობა

ქვეკლასი შეიცავს:

– სახვითი ხელოვნების მუზეუმების, საიუველირო ნაკეთობების მუზეუმების, ავეჯის, კოსტიუმების, კერამიკის, ვერცხლის ნაკეთობების მუზეუმების საქმიანობას;

– ბუნებისმეტყველების, მეცნიერებისა და ტექნიკის მუზეუმების,ისტორიული მუზეუმების,სამხედრო მუზეუმებისა და ისტორიული სახლ-მუზეუმების საქმიანობას;

– სხვა სპეციალიზებული მუზეუმების საქმიანობას;

– მუზეუმების საქმიანობას ღია ცის ქვეშ.

ისტორიული ადგილებისა და შენობების, კულტურის ძეგლების დაცვა

ქვეკლასი შეიცავს:

– ისტორიული ადგილებისა და შენობების, კულტურის ძეგლების დაცვას, მათ რეკონსტრუქციასა და რესტავრირებას.

ბოტანიკური ბაღების, ზოოპარკებისა და ნაკრძალების საქმიანობა, ბოტანიკური ბაღებისა და ზოოპარკების საქმიანობა

ქვეკლასი შეიცავს:

– ბოტანიკური ბაღებისა და ზოოპარკების, მათ შორის, საბავშვო ზოოპარკების საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ეროვნული და საზღვარგარეთის ფლორისა და ფაუნის შეძენის, მოვლის, დაცვისა და გამრავლების ხელოვნურ პირობებთან.

ბუნებრივი ნაკრძალების საქმიანობა

ქვეკლასი შეიცავს:

– ბუნებრივი ნაკრძალების საქმიანობას, მათ შორის, ველური ბუნების დაცვასა და ა. შ.

დანართი 2.

კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროში შემავალი ორგანიზაციების ჩამონათვალი

საქართველოს კულტურის,ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს აპარატი;

ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი;

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი;

თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი;

თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრი;

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი;

თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი;

ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი;

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“;

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“;

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;

საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი;

თბილისის ჯანსულ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი;

ეროვნული კინოცენტრი;

გორის ქალთა კამერული გუნდი;

დ. ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი;

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი“;

მირზა-ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის

მუზეუმი (ყოფილი საქართველოს აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი);

რუსეთის კულტურის ცენტრი;

თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო აკადემიური თეატრი;

თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი;

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია;

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი;

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია;

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი;

გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი;

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯი;

საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მომზადების ეროვნული ცენტრი;

თბილისის სამუსიკო კოლეჯი;

თბილისის №2 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი;

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის №1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი;

თბილისის საბავშვო სამხატვრო სასწავლებელი;

საქართველოს ეროვნული მუზეუმი;

საქართველოს თეატრის,მუსიკის,კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი;

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი;

სახელმწიფო მუზეუმი – „საქართველოს ეროვნული გალერეა“;

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი;

ნიკო ფიროსმანიშვილის სახელმწიფო მუზეუმი;

ვარძიის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული მუზეუმ-ნაკრძალი;

დავით-გარეჯის ხუროთმოძღვრული მუზეუმ-ნაკრძალი;

უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმ-ნაკრძალი;

ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმ-ნაკრძალი „გრემ-ნეკრესი“;

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი;

ქუთაის-გელათის ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმ-ნაკრძალი;

ახალგორის რაიონის ქსნის ხეობის ისტორიის-არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალი;

პეტრაციხისძირის მუზეუმ-ნაკრძალი;

წალკის რაიონის კლდეკარის ისტორიის,არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალი;

ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი;

გურიის მხარის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმ-ნაკრძალი;

გიორგი ჩუბინიშვილის სახელობის ქართული ხელოვნების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი;

დიდი ლიახვის ხეობის სახელობის მუზეუმ-ნაკრძალი;

მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი;

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმი;

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი;

სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტი;

სამინისტროს პროგრამები;

ცხინვალის თეატრი;

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი;

თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სამხატვრო თეატრი;

ახალციხის თოჯინების თეატრი;

ფოთის გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;

ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;

ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრი;

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;

მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი;

ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი;

ბათუმის თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი;

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;

თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;

საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი.